

1893 1923

1893 1923



საიუგილეთ პრეზული

სახელმწიფო ინსტიტუტი


35122

1893—1923



საქართველო.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგ. განკ. 1-ლი სტამბა, პლექ., № 91, დაიბ. 400 ც.



სახალხო სახლის პირველი შენობა „ავჭალის ავუდიტორია“



სახალხო სახლი.

## სახალხო თეატრის 30 წლის არსებობა.

90-იან წლებში და კიდევ ცოტა უფრო ადრე, ტფილისის განაპირა სხვადასხვა უბნებში უმთავრესად მდაბიო ხალხის წრიდან გამოსულმა; სახელოსნო სკოლის მოწაფე-ხელოსნებმა—მუშებმა, საოჯახო წარმოდგენების მართვა დაიწყეს.

ეს ის დრო იყო, როცა ყოფილი არწრუნისეულ, შემდეგ ქართ. სათავად-აზნაურო ქარვასლაში, სისტემატიურად იმართებოდა ქართული წარმოდგენები, მაგრამ მდაბიო ხალხადან თუ ვინმე დაიარებოდა თეატრში ეს ქარვასლის ნოქტობა და იარმუკის მეთევზე—ბაყლები, ისიც ქანდარაზე. ქალაქის განაპირა უბნების მუშა-ხელოსნებისა და სხვა მდაბიო ხალხის გასართობი კი ყომარჩობა ანუ სამიკიტნო-ტრაქტირები იყო,—სულიერი საზრდოს მიმცემი—სამკითხველო, თეატრი, კლუბი და სხვ. ასეთი—მათ არ მოეპოვებოდათ.

და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თუ დედა ქალაქის შუაგულას მოთავსებული სათავად-აზნაურო თეატრი ვერ აკმაყოფილებდა მდაბიო ხალხის ფართე წრეებს, თვითონ ხალხის შვილებმა განიზრახეს საკუთარი თეატრის შექმნა.

და შექმნეს კიდეც.

წარმოდგენები იმართებოდა ეზოებში, აივანზე, სახლებში, საღაც ფარდისა და დეკორაციის მაგიერობას სწევდა ხალიჩა, ჩარსავი, საბნის პირი და სხვ. პიესები იდგმეოდა პოლიციის ნამალევად, უნებართვოდ. ამ ამ დროს წარმოდგენის ნებართვის აღება შეეძლო მხოლოდ დრამატიულ საზოგადოებასა და მსახიობს, ხოლო არც ერთი ეს შეალობის თვალით არ უყურებდა ასეთ საქმეს—საოჯახო-საუბნო წარმოდგენებს.

იმ დროს შეართებლობა სასტიკად სდევნიდა ასეთი წარმოდგენების მმართველთ: შინაური წარმოდგენების მმართველნი—სცენის-მოყვარე—„მსახიობნი“, გრიმებსა და ტანისამოსში გამოწყობილნი, არა ერთხელ პოლიციაში წაუყვანიათ.

უფრო ძლიერი და მომზადებული ჯგუფი შესდგა ავჭალის ქუჩის მიდამოებში, წმ. ნინოს უბანში. ამ ჯგუფს შეუერთდენ სხვა უბნების მოწინავე სცენის მოყვარე ახალგაზრდანიც, უმეტესად სახელოსნო სკოლის მოწაფენი და შეადგინეს „სცენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“ საკუთარი ხელმძღვანელი გამგეობით.

სახალხო თეატრის პირველი გამგეობა შესდგებოდა შემდეგი წევრებისაგან: ვასილ თევდორაშვილი—ჯანიაშვილი (თავმჯდომარე), ისაკ ძე-

ლაშვილი, გიორგი ჯაბაური, იოსებ იმედაშვილი—ხაშმელი (რეფისორი), შ. მჭედლიშვილი, დავით შველიძე და ამ. ნიკოგოსოვი (ხაზინადარი).

მეორე წარმოდგენიდან შემოუერთდა მიხ. თუშმალიშვილი (მოკარნახე).

ყველა ზემოხნენებული პირი, დ. შველიძის გარდა, ტფ. სახელოსნო სკოლები იყვნენ. არც თუ შემთხვევითი იყო მათი ამ მიზნით შეკავშირება. ამ დროს ტფილისის სახელოსნო სკოლაში მათ ასწავლიდენ იმ ხანებში ცნობილი მოღვაწე — მასწავლებელნი — ხალხოსანნი ვ. ი. რცხილაძე, ზ. გ. კანდელაკი, მ. ბეჟანიშვილი და სხვ., რომელნიც მოწაფეებს ხალხოსნურ-მამულიშვილურ აზრებს უნერგავდენ, საზოგადოებრივ გრძნობებს უღვიძებდენ.

ამ „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“-ს პერნდა საკუთარი წესდებაც \*).

ამხანაგობამ წიგნები შექრიბა წიგნთსაცავის დასაარსებლად ხელოსანთათვის.

ამხანაგობასთან გუნდი მოაწყო წრის წევრმა, ქალების როლთა შემსრულებელმა გ. მურმანიშვილმა, რომელიც ხელოსანთაგან შემდგარი გუნდით წარმოდგენების დაწყებაზე და ანტრაქტებში მღეროდა ქართულ ხალხურ-ეროვნულ სიმღერებს.

ამხანაგობამ დაინახა, რომ დასახული მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო შესაფერი დარბაზი. დაიწყო ძებნა. ამ ძებნის დროს ამხანაგობის რამდენიმე წევრმა ავჭალის ქუჩაზე შეამჩნია შენობა, ქალაქის თვითმართველობის მიერ ხორცელობის დროს (1892 წ.) საჩაიედ აგებული.

ამხანაგობამ შეიტყო, რომ ამ შენობის საჭმესთან ახლო იდგა ექიმი ნ. ა. ხუდადოვი, იმ დროს ქალაქის ხმოსანი, სიფხიზლის საზოგადოების წევრი-თავმჯდომარე, ძევლ ხალხოსნად ცნობილი.

ამხანაგობამ გადასწყვიტა მისი ხელში ჩაგდება და ექ. ნ. ა. ხუდადოვის დახმარებით მიზანსაც მიაღწია: „ჩაინაიას“ კარი შეაღო.

ეს საჩაიე შენობა ორად იყო გაყოფილი: ერთ ნაწილში,—უკან,—წყლის ასაღულებელი კუბი იდგა, თავის მოწყობილებით, ხოლო მეორეში—წინ—ჩაისმსმელთათვის მაგიდა-სკამები. „სცენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის“ წევრთ, როგორც ხელოსნებმა, თვითონ აშალეს კუბი, საამხანაგოთ შეკრებილ თანხით (საწევრო 17 მ.) საჭირო ფიცრები იყიდეს, საკუთარის ხელით ჩასდგეს სცენა და 1893 წ. ენკენისთვეში გამართეს პირველი სახალხო წარმოდგენა, უფასოდ. დასდგეს „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ა. ცაგარლისა.

ია, ეს წარმოდგენა და თარიღია (1893 წ.) დასაწყისი იმ დიდი საქმისა, რომელსაც სახალხო თეატრი ეწოდება, და რომელიც უკანასკნელი ოცდათი წლის განმავლობაში შეუქრებლად ემსახურებოდა მდაბიო ხალხის გათვითცნობიერებას, ხოლო მის დამაარსებელ-პიონერები მუშა—ხელოსნები, რომელთაც თვითი დაკავებულის ხელებით, პირადის შრომით და საკუთარის ხარჯით ჩასდგეს პირველი სცენა სახალხო თეატრისა. ესენი არიან:

\* ) წესდება იხ. ამ წერილის ბოლოზე.

ვასო თევდორაშვილი, ის. ძნელაშვილი, იოსებ იმედაშვილი, აშ. ნიკოგოს სოვი, გ. ჯაბაური და დ. შველიძე, დ. შველიძის გარდა, მუშა-ზეინკლები, გ. ჯაბაური—დურგალი \*). ყველა ამათ არა ერთი და ორი ღამე გაუთენებიათ ამ „სახაიეში“ მუშაობით სცენის ასაგებად, სარეპეტიციოდ თუ სხ. ღამე-ნათევენი მეორე დღეს მუშაობას უნდა შესდგომოდენ თავთავის ქარხანა-სახელოსნოებში.

ყოველი წარმოდგენის აფიშა იბეჭდებოდა.

სცენისმოყვარე—ხელოსანთა სიყვარული სცენისადმი ეგოდენ ძლიერი იყო, რომ არავითარ დაბრკოლებას არ უდრკებოდენ, ოლონდ წარმოდგენა რიგიანად ჩაეტარებინათ. რადგან ყველა პიესისთვის საჭირო დეკორაციები არა ჰქონდათ, სცენას ბუნებრივად მართავენ, მაგ. „არსენა“-ს დალგმის დროს ნამდვილი შეფოთლილი ხეები დასდგეს, ხოლო ღობისთვის ძეძვი ზურგით ჩამოიტანა მახათის სერიდან ვ. თევდორაშვილმა და ლობე ააგეს.

ბილეთები ქარხნის მუშებში რიგდებოდა, რის გამოც ახლოშაბლო მცხოვრებნი, უბილეთობით გარედ დარჩენილნი, უკმაყოფილებას აცხადებდენ და არა ერთხელ ძალდაძალ იერიში მიუტანიათ და შუშები ჩაუტრევიათ—შეგვიშვით.

ნამდვილი სახალხო თეატრი, თანამედროვე კეთილშობილი გაგებით, ეს იყო ავჭალის აუდიტორია და მისგან წარმოშობილი, მისივე გავლენით და წაბაძვით აშენებული ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.

პირველიდანვე, როგორც ითქვა, ავჭალის აუდიტორიაში დაიდგა უფასო წარმოდგენა, შემდეგ ხარჯების დასაფარავად—მხოლოდ თითო შაური თავიდან ბოლომდე, პიესები მტკიცედ გარკვეული—ხალხური.

სცენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობამ გაიჩინა საკუთარი ტანისამოსი (გარდერობი), წიგნთსაცავი, პიესები და სხ.

როგორი იყო სახალხო თეატრის აუდიტორია—დამსწრე საზოგადოება?

ქარხანაში მომუშავე, სარდაფის მუდმივი მუშტარი, ხელოსან-ქარგალი, შეგირდები, წვრილი ვაჭრები და სხვა მდაბიო ხალხი, რომელიც ხშირად დარბაზში ღვინის სველი ხელადებით შემოდიოდა... ღრიანცელი, აღგილის გამო მიწოლ-მოწოლა, მაგრამ სცენიდან გაღმოსროლილი ყოველი სიტყვის გაფაციცებით მოსმენა,—აი სურათი იმ დროის სახალხო თეატრის დამსწრეთა.

რა პირობებში უხდებოდათ სცენის მოყვარეთ მუშაობა?

თითოეული მათგანი ერთსა და იმავე დროს იყო როლის აღმსრულებელი, რეკვიზიტორი, დეკორატორი, პარიკმახერი... წარმოდგენის საღამოს საკუთარის ზურგით მოიტანდა, ვისაც რა მოეპოვებოდა სცენისათვის საჭირო ბარგი-ბარხანა ტანისამოსი, ღამპა, სკამები, მუთაქა-ხალიჩები, საფენი, კუშეტკა და სხ., ხოლო წარმოდგენის გათავების შემდეგ თითო-

\* ) აღნიშნულ პირმა დასწერა სახალხო თეატრის ისტორია.

ეული მათგანი ისევე ზურგზე წამოიკიდებდა ჩამოტანილ ავეჯს და ბნელო ქუჩებით თავისი სახლებისკენ გაემართებოდა.

სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობას თანდათან ემატებოდენ ახალი ძალი. 1897 წლიდან შემოუერთდა ნიკო გოცირიძე ოკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მუშა მხატვარი.

სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობამ სამოქმედო ფარგალი გააფართოვა და სხვა კუთხეებშიც დაიწყო სახალხო წარმოდგენების მართვა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ჰქონდა რკინისგზის მთავარხელოსნოების თეატრში გამართულ წარმოდგენებს, სადაც ავჭალის აუდიტორიის შემდეგ დაიწყო წარმოდგენები ამავე „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობაში“.

სცენისმოყვარეთ აქ ძლიერ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა: ხშირად უკუმეთ ღამეებში, შემოდგომა-ზამთრის ჭონჭყობ ამინდში თავისი ბარგი-ბარხანით მატარებელთა ქვეშ ძრომა, პიესების აუტანელ პირობებში მზადება-დადგმა და სხ.

ამ დროს ამხანაგობას სარეპეტიციო ბინა არ ჰქონდა, რეპეტიციები პირველხანად იმართებოდა ეკ. ასათიანის გამგებლობაში მყოფ საქალაქო სკოლაში პეტ. ციხისთავთან, შემდეგ „კვალი“-ს რედაქციაში, რომლის რედაქტორ-გამომცემელი გ. წერეთელი და მეულლე მისი ან. წერეთლისა დიდის თანაგრძნობით ეკყრობოდენ ხელოსანთ, ხან მ. დემურიას ბინაზე, ს. რომანიშვილისას, /ნინო ნაკაშიძისას, კ. ხახანაშვილის ბინაზე და სხვ.

ამ დროს, ავჭალის აუდიტორიის მსგავსად ავლაბარში, მურაშვილი მიერ პეტრეპავლესთან აშენებულ თეატრში იოსებ იმედაშვილის ხელმძღვანელობით შესდგა სცენის მოყვარე მუშა-ხელოსანთა წრე, რომელიც ყოველკვირეულად მართავდა სახალხო წარმოდგენებს. წარმოდგენებს განსაკუთრებით ადელხანოვისა და სხვ. ქარხნის მუშები ესწრებოდენ. აქვე იყო შემდგარი ადელხანოვის ქარხნის მუშათა მონაწილეობით და ამავე ქარხნის ოსტატის ივანე ქურთიშვილის თავმჯდომარეობით კომიტეტი, რომლის მოვალეობა იყო წარმოდგენების ნივთიერ მხარეზე ზრუნვა და ბილეთების მუშათა შორის გავრცელება, რასაც ისინი პირნათლად ასრულებდენ.

ამ წრემ გამართა პირველი იუბილე მუშა-სცენისმოყვარის გ. გელიკურაშვილისა და განჯაში რამდენიმე წარმოდგენი პოლიტიკურთა სასარგებლოდ. აქ უანგარიოდ მოღვაწეობდენ ალ. ბაჯიაშვილი, ბესო მაისურაძე, თამ. აფხაზიშვილი, ვანო მჭედლიშვილი-ქიზიყელი (ასოთ-ამწყობი), რომ. სალაყაია, გ. გელიკურაშვილი, მიხ. ლელაშვილი, ივანე იმედაშვილი, ან. უურული—იმედაშვილისა, ლევ. ბალაშვილი და სხვ., თითქმის ყველანი მუშა-ხელოსნები ზოგი თუთუნის ქართვის, ასოთ-ამწყობი, მღებარი, მეტყავე და სხვ.

არც ერთი მუშაკი შრომის ფასს არ იღებდა.

განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინ რუს-იაპონიის ომის დროს ავჭალის აუდიტორიაში ყოველი ნაწარმოების შემდეგ იმართებოდა დივერ-

ტისმენტ-კონცერტი; აქ იყითხებოდა სააგიტაციო ცეცხლის მომდები ლექ-  
სები და მთელ დამსწრე ხალხი ერთის გრძნობით იქლინთებოდა არსებულ  
წყობილების წინააღმდეგ, რის გამო შავრაზშულებმა სასტიკად გაიღაშქრეს  
თეატრის წინააღმდეგ და დახურვაც დაუპირეს, მაგრამ გადარჩა.

ქართული წარმოდგენების შემდეგ სომხებმაც დაიწყეს სომხური სახ.  
წარმოდგენები, სდგავდენ კანტიკუნტად.

სცენისმოყვარე ხელოსანთა მუშაობა ყოფილ საჩაიეში, რომელსაც  
შემდეგ ავჭალის აუდიტორია ეწოდა, იყო იდეური, უანგარო,—არც ერთი  
მათგანი შრომისათვის გროშს არ იღებდა,—ეს საძრახისადაც იყო მიჩნე-  
ული: თითოეული მათგანი საკუთარის ჯიბიდან ეხმარებოდა სახალხო თე-  
ატრს, როგორც და რითაც შეეძლო.

ავჭალის აუდიტორიაში მუზა-ხელოსანთაგან გაჩაღებულმა მუშაობაშ  
ინტელიგენციის უურადღება მესამე-მეოთხე წლიდან მიიპყრო:

მარიამ დემურია—1896 წლიდან, სოფიო რომანიშვილი 1898 წლი-  
დან, კოტე ხახანაშვილი—1900 წლიდან, სოსო რომანიშვილ—1901 წლი-  
დან, იოსებ ბესელიძე, სამ. ტოროშელიძე, სიმ. ჯულელი და სხ.

სახალხო სახლის სცენაზე ქართული წარმოდგენის ფარდა აიხადა  
1909 წ. აპრილის 4.

ამ დღიდან კიდევ უფრო წარმატების გზას დაადგა სახალხო სცენა.

ამ დრომდე და შემდეგაც სახალხო თეატრის რეპერტუარის ირგვ-  
ლივ არა ერთხელ ამტყდარა კამათი, თუ როგორი პიესები დაედგათ, ანუ  
ვინ სდგომოდა საქმეს სათავეში: რეპერტუარი უმთავრესად ყოფა-ცხოვ-  
რების დამახასიათებელ, ეგრედ წოდებულ ნატურალისტურ და სოციალურ  
შინაარსის პიესებისგან შესდგებოდა.

სახალხო თეატრს და მასში მომუშავეთა შემადგენლობას ავჭალის  
აუდიტორიიდან მოყოლებულ ამ ოცდა-ათი წლის განმავლობაში რამდენ-  
ჯერმე შეეცვალა. სახელი. პირველად ეწოდებოდა: „სცენის მოყვარე ხე-  
ლოსანთა ამხანავობა“, შემდეგ—მესამე წლიდან: „სახალხო კითხვათა საზო-  
გადოების ქართული სექცია“, „სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქარ-  
თული წარმოდგენების სექცია“, „სახალხო სახლთან არსებული ქართული  
წარმოდგენების მმართველი წრე“, —გასაბჭოების აქედ: „სახალხო განათლე-  
ბის კომისარიატის განკარგულებაში მყოფი დასი“, „პოლიტიკურ განათლე-  
ბის მთავარ სამსართველოს ქართულ დასი“, „ტე. აღმასკომის პოლიტიკო-  
სკეტის განკარგულებაში მყოფი ქართული დრამა“ (1922 წ. მარტიდან), ამ  
უამად „სახალხო სახლის ქართული დრამა.“

## „სცენის მოუკარე ხელოსანთა ამხანაგობის“ წესდება.

მიზანი, სამოქმედო წესები და მოვალეობა

1. სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა შესდგა იმ მიზნით, რომ  
ა. მართოს უფასო წარმოდგენები ღარიბ ხელოსანთათვის, ქარგლებისა  
და მოსამსახურეთათვის, დასდგას ხალხის ცხოვრებიდან აღებული პიესები;  
ბ. ხელოსანთათვის გააღოს წიგნთსაცავ-სამკითხველო განაპირო უბანში; გ.  
მოაწყოს მომლერალთა გუნდი.

2. ამ მიზნის განსახორციელებლად ამხანაგობა: ა. შოულობს შესაფერ  
შენობას; ბ. ხარჯების დასაფარავად ამხანაგობის ყოველი წევრი თვიურად  
იხდის 50 კ. (ათ შაურს); გ. აგროვებს შემოწირულებას; დ. წარმოდგენე-  
ბის გასამართავად მოიპოვებს პოლიციებისტრისაგან საჭირო ნებართვას.

3. „სცენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“ში წევრებად მიიღე-  
ბიან შხოლოდ ხელოსნები და წარმოდგენების საკუთარი ძალლონით და-  
სდგავებ.

4. თუ ამხანაგობა საკუთარი საწევრო გადასახადით ვერ დაფარავს  
წარმოდგენების ხარჯს და თუ საჭიროდ დაინახა, დანიშნავს წარმოდგე-  
ნაზე შესასვლელი ფასს, მაგრამ ეს ფასი არ უნდა აღმატებოდეს პირველი  
რიგიდან ბოლომდე ურთ შაურს (5 კაპ.)

5. ამხანაგობის ყოველი წევრი ერთგულად უნდა ასრულებდეს საერ-  
თო დავალებასა და თავმჯდომარის განკარგულებას:

6. სასტიკად აკრძალულია რეპეტიციებზე დაგვიანება, როლის უცო-  
დინარობა, რეჟისორის წინააღმდეგობა და სიტყვის შებრუნება რეპეტი-  
ციის გავლის დროს; ვინც დანიშნულ დროზე არ მოვა რეპეტიციაზე (10—  
წუთით მეტს დაიგვიანებს) ან უწმაწურ სიტყვას იხმარებს, რეჟისორისგან  
მიცემულ როლზე უარს იტყვის, რეჟისორის შენიშვნას არ შიიღებს, ანუ  
სხვა რაიმე დანაშაულს ჩაიდენს,—პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება. ამ-  
ხანაგობის სასარგებლოდ ორი შაურიდან ხუთშაურამდე (10—25 კაპ.), ხო-  
ლო თუ მესამედაც შენიშნეს დანაშაული,—ამხანაგობიდან გაირიცხება.

7. ყოველი სცენის მოყვარე—წევრი ჩეკნი ამხანაგობისა ისე უნდა  
შედიოდეს სცენაზე, როგორც ეკლესიაში და ისე ეპყრობოდეს, როგორც  
საკუთარ ოჯახს. ამხანაგობის ყოველი წევრი შეძლებისადაგვარად ხალხს  
უნდა უხსნიდეს თეატრის მნიშვნელობასა და გულში უნერგვადეს სიყვა-  
რულს სცენისა და თეატრის.

8. ყოველი სკენისმოყვარე, როცა ტანისამოსს ჩაიცვამს და გრიმს გაიკეთებს, უნდა გამოეცხადოს რეჟისორს, ეჩვენოს და მხოლოდ რეჟისორის დასტურის შემდეგ გავიდეს სკენაზე. წარმოდგენაში მონაწილე სკენისმოყვარე იმ მოქმედების დროს, რომელშიაც მონაწილეობს, თავის ადგილს უნდა იდგეს.

9. ყოველმა სკენისმოყვარემ, როცა როლს მიიღებს, მთელი პიესა უნდა წაიკითხოს და შეიცნოს; როლების განაწილებამდე მთელ პიესას კი-თხულობენ, რასაც ყურადღებით უნდა ისტენდენ და ყურად იღებდენ რე-ჟისორის აღსნა-განმარტებას. მიუღებელია როლის საკუთარი სიტყვებით ჩატარება, სუფლიორის ბუდკისკენ ცქერა, ხალხისკენ ზურგის შებრუნება, წარმოდგენის საღამოს ხალხში გასვლა, წადმოდგენის მსვლელობის დროს თავის დაკვრა, დარბაზში ნაცნობებისკენ გახელვა და სხვა.

10. აკრძალულია სკენაზე უცხო პირთა შესვლა, კულისებში პაპი-როზის მოწევაც და სხ.

11. რომ ყველა სკენისმოყვარემ უკეთ შეიგნოს თავისი როლი და შესაფერისად შეასრულოს, უნდა გაეცნოს ქართულ-მშობლიურ მწერლობას, შეისწავლოს ჩვენი წარსული, დაუკვირდეს ცხოვრების ყოველ მოვლენასა, სხვა და სხვა ხნოვანებისა და ხასიათის ადამიანთა ზნე-ჩვეულებასა, ლა-პარაკ-სიცილის, მიხვრა-მოხვრასა და სხ. ამ მიზნით, შეიძლება დახმარება მოეთხოვოს ჩვენს მოწინავე მოღვაწეთ და მწერალთ.

12. ეს არის ჩვენი საერთო საამხანაგო წესდება და აქ გამოხატული მიზანი ჩვენი მრწამსი. ვინც ამ ჩვენს წმინდა საქმეს ულალატოს დედა შეერთოს ცოლათა და ყოველგანაც გარისხული იყოს, ამხანაგობის ულირკი. და ვინც ახალი წევრი შემოვა, ამ წესდებას უნდა დაემორჩილოს.



ჯგუფი: მ. თუმაშვილი, ი. იმედაშვილი  
 (პირველი ჩეჭისორი), ა. ჯანიაშვილი,  
 გ. ჯაბაური



ან. ნიკოლოსოვი.



დავით შველიძე,



ისაკ ძელაძე.

სახალხო თეატრის დაარსების პირველი ინიციატორნი.

## სახალხო თეატრის განვითარების მოქლე მიმოხილვა.

მიმდინარე წელს ტფილისის ქართულ სახალხო თეატრს შეუსრულდა არსებობის 30 წელი.

ეს 30 წელი აღვსილია ჯერ აკლდამისებური ჩუმი მუშაობით, აქა-იქ ჯგუფობრივ გამოძახილებით, შემდეგ მასიური ალტყინებით და ბრძოლით, ბოლოს ყიუინით და ამ ხანად კი დადინჯებული გარკვეული სახეობით.

იდეა სახალხო თეატრის დაარსებისა უსაფუოდ იწყება 1879 წლის დღიდან ქართულ თეატრის გაჩენისა ჩვენში. მუდმივ ქართულ თეატრის არსებობამ და იქ სისტემატიურმა მუშაობამ—ჩაქსოვა ქართველ ხალხში სურვილი მისი აყვავების და გაძლიერების. ქართულ თეატრისაღმი მიზნი-დველობამ, ბევრი ახალგაზდა გაიტაცა და ჩაუნერგა სურვილი მისდამი პატივისცემის და სამსახურისა.

აი, ეს იყო მთავარი მოტივი იმის, რომ ჩვენი დედა-ქალაქის სხვადა-სხვა განაპირა უბნებში ჩნდება ახალგაზდათა ჯგუფები, რომელნიც მიზნად ისახავენ ჯერ ყოველგვარ სისტემის გარეშე, განსაკუთრებულ უბნებში სცენიური მოღვაწეობის დაწყებას და მით იმ უბნების მცხოვრებთა კულ-ტურის ფერხულში ჩაბმას, რომელთაც არამცთუ არა გაეგებათ რა თეატრალობის, არამედ არც შესაძლებლობა აქვთ ამის და მტრულადაც არიან განწყობილნი ამ სიახლისაღმი.

სურვილი თანდათანობით მტკიცე ხასიათს ლებულობდა და ელოდა მხოლოდ მემანქანეს, რომელიც დაგუბებულ ორთქლს—ამოძრავებდა და გაქანების მდგომირეობაში მოიყვანდა.

და 1890 წელს სანდრო დავითაშვილის მეთაურობით, რომელსაც მიემხრო ტფილ. სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე ისაკ ძნელაშვილი უდგებიან სათავეში ახალგაზდობას და მიზნად ისახავენ თავიანთ უბანში-აც ავჭალის ქუჩის ახლოს მოაწყონ წარმოლგენა.

ამისთვის აუცილებელი იყო რაიმე მიზეზი, რომ ხალხი ამ „ახალ“ მოვლენას არ გაჰქცეოდა და განზრახულ მიზანს აუდიტორია შერჩენდა.

მიზეზიც ხელთ იგდო ანალგაზდობამ და ისარგებლა რა შემთხვევით. რომ მათ უბანში ვიღაც თვალთმაქც, სახელად „ტუჩად“ წოდებულს, უნდა ხილხისთვის თვალთმაქცობა ეჩვენებინა, ზემოდ დასახელებულ სანდრო დავითაშვილის ინიციატივით ადგილობრივშა უბნის ახალგაზდობამ დადგა ორ მოქმედებიანი კომედია „ქაპიშონი“, რამც პირველი სხივი შეიტანა ხალხში და იქ საბოლოოდ განამტკიცა სახალხო თეატრის იდეა, როგორც თვით ამ საქმის პიონერებში, ისე მაყურებელ აუდიტორიაში—მასაში. და

ეს მოვლენა იყო მიზეზი, მით უმეტეს, რომ პირველ პიესის დადგმას ხალხი თანაგრძნობით შეხვდა, რომ მოწინავე ახალგაზღათა ჯგუფს გადა— ეწყვიტნა—მისცეს თვის მუშაობას სისტემატიური ხასიათი.

შესდგა განსაზღვრული ჯგუფი და სათანადო მშადებასაც შეუდგა.

პირველ ჩამოყალიბებულ ჯგუფის მუშაობის დაწყება ისევ კომედია „კაპიშონი“ იყო, რომელიც დაიდგა 1890 წელს მაისში—ისაკ ძელაშვილის სახლის დერეფანში, რომლის ღეკორაციებათ გამოყენებულ იქნა ხალიჩები და ჩარსავები.

მაგრამ ამ ჯგუფს ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი დაუდგა წინ თავიდანვე. ეს მიზეზი იყო ქალის როლის აღმასრულებელის არ ყოლა ლაქალის გამოყვანა და დათანხმება ამ საქმეზე—ხომ ყოველგვარ შესაძლებლობის გარეშე იყო იმ დროს და ახალგაზღებიც იძულებული იყვნენ ეს ტვირთი. თვითონ ეკისრათ. ჯგუფმა ეს ტვირთი ი. ძელაშვილს დააკისრა და „სცენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის“ პირველ წარმოდგენის ფარდა—იაწია.

პირველი წარმოდგენა იყო უფასო, ხალხი ბევრი დაესწრო და ნაიამოვნები დაიშალა. ამ დღიდან შეიკრა ორგანიზაცია ხსენებულ სახელწოდებით და 1890 წლის მაისის ოვიდან მოყოლებული იმართებოდა სახალხო წარმოდგენები. მიიღო რა აღნიშნულ ჯგუფმა ორგანიზაციის სახე და სახელწოდებაც, შემდეგში აღარ დაშლილა და ერთის ხელიდან მეორეში გადასვლით, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლს მიაღწია.

პირველ წარმოდგენის შემდეგ მნედ შეუდგა ამხანაგობა მუშაობას და ზედიზედ გამართა უბანში წარმოდგენები: „რაც გინახავს-ველარნახავ“, „ძუნწი“ და „არსენა“ ყველა ეს წარმოდგენები უფასოდ იმართებოდა, გარდა უკანასკნელისა. მოსასმენად დაწესებული იყო ბილეთის საფასური 5 კაპეიკი.

ასე გაიდგა ფეხი უბნებში წარმოდგენებმა, რომლებმაც არა მარტო დამსწრე საზოგადოება შეაჩეია წარმოდგენებს, არამედ ახალგაზღობაც ნელი-ნელ ჩაითრია და ბოლოს იმდენად გაიზარდა ამხანაგობა, რომ თვისი ხელმძღვანელი გამგეობა აირჩია, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო ვასილ თევდორაშვილი, მაშინ იმავე სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე, ხოლო წევრებად დ. შვილიძე, ი. ძელაშვილი გ. ჯაბაური და შაქრო მჭედლი-შვილი.

ასეთი უბნის წარმოდგენებმა გახშირებული ხასიათი მიიღო არა მარტო დასახელებულ ერთ უბანში, არამედ ჩუღურეთში ა. აღამიძეს მეთაურობით და ავლაბარში იოსებ იმედაშვილის და ფირუმიანის ხელმძღვანელობით.

ყველა გამართულ წარმოდგენებს ჰქონდა არა ოფიციალური ხასიათი—შინაურული, სათანადო ხელის უფლებისაგან ნებადაურთველი, ხასიათი კერძო ინიციატივისა და ახალგაზღური აღფრთოვანებისა.

რამდენადაც ეს იდეა ვრცელდებოდა და ფეხს იკიდებდა როგორც ფართე მასაში ისე ინიციატორთა შორის „სცენის მოყვარე ხელოსანთა

„ამხანაგობა“—ში, იმდენად იგი ველარ ეტეოდა კიშრო კერძო ბინების დე-  
რეფანში და მისი თეატრალური მოთხოვნილება ველარ ეგუებოდა ხალი-  
ჩებისგან და ჩარსავებისგან შექმნილ სცენას.

დაიბადა სურვილი განკერძოებული, სპეციალური სათეატრო ბი-  
ნის შოვნისა—რის ძებნასაც მხნედ შეუდგა ამხანაგობა.

იმავე უბანში, საღაც პირველი სხივი ამოიწვერა ქართულ სახალხო  
წარმოდგენებისა, შემჩნეულ იქნა შენობა, რომელიც ქალაქის თვითმარ-  
თველობას ჰქონდა აგებული „საჩაიერა.“

ამ შენობის გულდასმითი დათვალიერების შემდეგ—ამხანაგობამ შე-  
იტყო, რომ უკეთუექიმი ნ. ა. ხუდადოვი მოინდომებდა, შენობას დაუთმომბ-  
და ქალაქის თვითმართველობა—წარმოდგენების გასამართავად.

ამხანაგობის მიერ ამორჩეულმა პირებმა: ვასო თევდორაშვილმა, ამირან  
ნიკოლოსოვმა, გიორგი ჯაბაურმა და სხვებმა მიმართეს ხსენებულ ხუდადოვს  
თხოვნით, რომ მას უშამდომლა ქალაქის ხელისუფლებლების წინაშე  
ზემოდასახელებულ შენობის დათმობის შესახებ. ექიმ ხუდადოვის, ქ-ნ მა-  
რიამ არღუთინსკის და ვერა დავითის-ასული ქართველიშვილი—მიქაბერი-  
ძის დახმარებით და შემწეობით, ამხანაგობამ მიიღო ნებართვა ქალაქისგან  
ავჭალის მაშინდელ „საჩაიერში“ წარმოდგენის მართვისა.

„საჩაიერ“ ორად გაყოფილი შენობა გადაკეთებულ იქნა თვით „სცენის-  
მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის“ წევრთა მიერ და პირველი წარმოდგე-  
ნაც დადგმულ იქნა უკვე განსაკუთრებულ—სპეციალ შენობაში ცოტად თუ  
ბევრად თეატრალური ტეხნიკით 1893 წელს ენკენისთვეში „რაც გინახავ-  
ველარ ნახავ“ ა. ცაგარლისა. ამ წარმოდგენასაც აგრეთვე მრავალი დაბრკო-  
ლება გადაელობა წინ, როგორც მაგ: ქალის როლის აღმასრულებლის არ-  
ყოლა, დეკორაციების და ტეხნიკურ ხელსაწყოს უქონლობა, მაგრამ ყველა  
ეს დაბრკოლებანი გადალახულ იქნა. ქალის როლის აღმასრულებისთვის ნა-  
შოვნი იქნა ერთი მოსარეცხე დედაკაცი—გვარად იმედოვი, რომელმაც  
ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. რის გამო როლი ამხანაგობამ ზეპირად  
შეასწავლა, დეკორაციები ქ-ნ არღუთინსკის დახმარებით მოტანილ იქნა  
ძველი საკრებულოდან და ამრიგად 1893 წლის ენკენისთვე და პიესა  
„რაც—გინახავს—ველარ ნახავ“ უნდა ჩაითვალოს დასაწყისად და სა-  
ძირკვლად იმ სახალხო თეატრის და სახალხო წარმოდგენების, რომელ-  
მაც ასე დიდი ღვაწლი დასდო ხალხოსნურ განვითარებას და მისი სუ-  
ლიერად ამაღლებას.

ამ პირველი წარმოდგენის შემდეგ აღარ გამქრალა მუშაობა სახალხო  
თეატრალობის სფეროში და „ავჭალის საჩაიერ“ გადაიქცა „ავჭალის მუშაობა  
აუდიტორიათ“, რომლის მხნე და მტკიცე ენერგიამ გამოიწვია მასიური  
მიზიდვა თვისკენ, როგორც მუშების ისე ინტელიგენციისა და თან და  
თანობით მიიღო სერიოზული ორგანიზაციის ხასიათიც. რომელსაც ანგა-  
რიშს უწევდენ, ეხმარებოდენ.

პირველ წარმოდგენას მოჟყვა მეორე: „და-მმა“, რომელ წარმოდგენის  
მსულელობის ღრუსაც დიდ დახმარებას უწევს დამსახურებული მასწავლე-

ბელი ქალი ეკ. ასათიანისა და აბედვინებს თვის მოწაფე ქალს ეკ. იოსე-ლიანს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებას (მარინეს როლი) ამ წარმო-დგენიდან უკვე წესდება შესავლელ ბილეთის ფასი შ კაპ. რაოდენობით და ამხანაგობასაც მცირეოდენი თანხა უჩნდება.

წარმოდგენების მართვა ლებულობს სისტემატიურ ხასიათს, ხალხი თანაგრძნობით ხვდება და მესამე წარმოდგენა „არსენა“ს დადგმის შესახებ გაზეთი „ივერია“ ეხმაურება სახალხო წარმოდგენის პირველი რეცენ-ზის დაბეჭდით ია ეკალაძის ფსევდონიმით.

ავჭალის აუდიტორიის ირგვლივ თავს იყრის მრავალი ქართველი. მოღვაწე და მის ფრთის გაშლისთვის კარს ულებენ მრავალი ქართული საზოგადოებრივი და ბეჭვდითი დაწესებულებანი, როგორც მაგალითად ქ-ნ სოფიო ციციშვილის დახმარებით რეპეტიციები გაზეთ „კვალი“ს ჩე-დაქციის შენობაშიც იმართებოდა.

ბუნებრივად საჭირო ხდება სცენის-მოყვარეთათვის პიესათა სათანა-დოდ მზადება და მათი გაგებისათვის გაცნობა და შეძლებისდაგვარად შესწავლა მშობლიურ ლიტერატურა—ისტორიისა, რის შესრულებასაც, თვისი ინიციატივით კისრულობს ქართველთა სასიქადულო მოღვაწე—გი-ორგი წერეთელი.

ავჭალის აუდიტორიის სცენის-მოყვარენი ხშირად იკრიბებიან გიორ-გი წერეთელთან და იგიც უკითხავდა ლექციებს საქართველოს ისტორია-ლიტერატურიდან.

გიორგი წერეთლის ამ მხრივ მუშაობა ახალგაზდა სცენის-მოყვარე-თა შორის დიდათ მნიშვნელოვანი და დიდი ლიტებულების იყო ამხანა-გობისათვის, ვინაიდან მათი სასწავლებელი ამ დარგს აგრე რიგად ყურა-დლებას არ აქცევდა და სცენის-მოყვარე ახალგაზდობისთვის კი ეს აუცი-ლებლობას წარმოადგენდა, თუ კი მათ სურდათ ქართველ ხალხისათვის სამსახური და მის ცხოვრების გამომხატველი პიესათა სათანადო დადგმა-შესრულება.

მეოთხე წარმოდგენის შემდეგ („ადვოკატები“) ადგილობრივი ხე-ლისუფლების წარმომადგენლობამ ამხანაგობას მოსთხოვა, რომ ყოველ ქარ-თულ წარმოდგენის შემდეგ ერთი მოქმედებიანი რუსული პიესა დადგმუ-ლიყო, უკიდურეს შემთხვევაში მას აუკრძალავდა მუშაობის განგრძობას.

ამასაც არ შეუშინდა ამხანაგობა და ბ. ოდო სახოკიას დახმარებით ეს პირობაც დაძლეული იქნა და პირველი რუსული პიესა, რომელიც ამ-ხანაგობამ დასდგა, იყო „დათვი“—ჩეხოვისა.

მრავლდება ავჭალის აუდიტორიის ირგვლივ ქართველ. მოწინავე პი-რების თავის მოყრა და უფრო ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობის სურ-ვილით 1895 წელს ინიშნება მასწავლებელ ქალთა საზოგადოების დარ-ბაზში საზოგო კრება საქმის დაწვრილებითი გასაცნობად და სისტემის მისაცემად.

ხლება რამოდენიმედ რეორგანიზაცია. მესვეურთა და მუშავდება მო-  
ქშედების გეგმა, მაგრამ ამავე წელს ხელისუფლება უკრძალავს წარმოდგე-  
ნების ავჭალის აუდიტორიაში მართვას და მუშაობაც წყდება.

ამხანაგობის აღტყინება ვერ ისვენებს და ვერ იტანს უმოქმედობას  
და რადგან ტფილისში უკვე აღარ არის შესაძლოება წარმოდგენების მარ-  
თვის, თვისი მოქმედება გადააქვს პროვინციაში და პირველ თვის წარმო-  
დგენას „პეპო“. — ისეს დამტკიცილის რეუისორობით მართვას მცხეთაში  
1895 წელს კვირაცხოვლობა დღეს ატგილობრივ წიგნთ საცავის სასაჩ-  
გებლოდ.

ასე გრძელდება სახალხო წარმოდგენების ბედ-ილბალი 1896 წლის  
მიწურულამდე და 1897 წლის დასაწყისამდე, რა ხნის განმავლობაში სათ-  
ვეში სდგებიან მომზადებულნი და საზოგადო მოღვაწე პირნი. რომელნიც  
უფრო ფართე ხასიათს აძლევენ დაწყებულ საქმეს.

1897 წელს იბადება სურვილი სათეატრო დარბაზის გაფართოვებისა  
და ამ მიზნით ამხანაგობის ხელმძღვანელი ორგანო ეხლა უკვე „სახალხო  
წარმოდგენების მმართველი ქართული სექციის“ სახელწოდებით სთხოფს  
ქართულ დრამატიულ საზოგადოებას დაზმარებას. დრამატიული საზო-  
გადოება ბ. გიორგი ლასხიშვილის შუამდგომლობით, რომელიც ერთი და-  
იგივე დროს ავჭალის აუდიტორიის სექციის წევრადაც ირიცხებოდა და  
დრომ. საზ—ბის გამგეობის წევრათაც, აძლევს სექციას 150 მანეთს და  
ამით შესაძლებელი ხდება დარბაზის გადიდება.

სათეატრო დარბაზის შეკეთების შემდეგ 1898 წელს — 4 იანვრიდან  
უკვე იწყება სისტემატიური მუშაობა — სეზონის სახით, სდგება დასის  
კადრი და ინიშნება რეუისორი.

დასში შედიან როგორც ძველი მომუშავენი, აგრეთვე ახალნიც, რო-  
მელთა შორის ბევრი ნიჭიერი მსახიობი ეხლაც ამშვენებს ჩვენს ეროვნულ  
მელპომენას, გამოცდილ და დამსახურებულ მსახიობის სახელწოდებით,  
როგორც მსახიობნი: ნიკო გოცირიძე, ნინო დავითაშვილი, ა. ქიქოძე ო.  
ლევაზა და სოსო რომანიშვილი. ამ სეზონის რეუისორებად ითვლებოდნენ  
იურემა გულისაშვილი და ი. ილლაძე.

ამ წლიდან მუშაობას ეძლევა განსაზღვრულ სეზონის სახე და ჩნდება  
უკვე პროფესიონალი რეუისორები ქართულ თეატრის დასიღან სვ. სვიმო-  
ნისძე და შემდეგ ჭ. შათირიშვილი, უკანასკნელი თითქმის აღარ მოშორებია  
სახალხო სცენას და მას შეალია თავის ძალ-ლონე. ავჭალის აუდიტორიის  
დასში მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მსახიობნი: ჭ-ნი ნატო გაბუ-  
ნია — ცაგარელისა ელ. ჩერქეზიშვილი და საფაროვ — აბაშიძისა.

რაც დრო გადის ავჭალის აუდიტორიის ფარგლებში მუშაობის სურ-  
ვილი მეტად იზრდება და ბევრი ახალგაზრდა და მომზადებული პირი  
მისკენ მიეშურება.

მუშაობის სურვილი მით უფრო იზრდება, რომ იქ იყიდებს ცეხს  
ნელი-ნელ, პოლიტიკური კაზუსი და თუ აშკარათ არარის შესაძლებელი

ფართე მასაში პოლიტიკური ლოზუნგების და სოციალური უთანასწორობის საკითხის გადატანა და ამ გზით მებრძოლთა რიგების განმტკიცება, სცენის რამპაზე აღის ტრიბუნის განმასახიერებელი რეპერტუარი და ამ გზით ფეხს იყიდებს საქმიანი ორ მხრიანი მუშაობა.

ამ მუშაობას ხელს უწყობენ როგორც თვით სცენის-მოყვარენი, ისე მომზადებული და იმ დროს თეატრალურ ტეხნიკაში გამოცდილი რეჟისორნი, ხშირად უცხოეთის ლიტერატურით ზიარებულნი.

ამ წლების განმავლობაში რეჟისორთა კოლეგიას ამშვენებენ: კ. შათო-ალშვილი, ნიკ. ავალიშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ასიკო ცაგარელი, სვ. სვიმონიძე, ნიკო გოცირიძე და შალვა დადიანი. იდგმება პიესები უმთავრესად ორიგინალური ნაწარმოების და ზოგიერთ—შემთხვევაში თარგმანი, რომელთა კეთილშობილურ კომიზმში და სიცილში გამოინასკვება მაშინდელი ხალხის ჭირ-ვარამი, სოციალური უთანასწორობა და გაკიცხვა მონობა—დაბექავებისა. დასის მმართველი ორგანო „სექცია“—დაუღალავად ებრძვის ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებს და მთელ თვის ღონეს. ალევს მოქმედების ფარგლების გადიდებას.

ამ მუშაობაში თვალსაჩინო და საპატიო ადგილი ეკუთვნის ქ-ნ მარიამ დემურიას, რომელიც თითქმის უცვლელად თავის სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა სახალხო თეატრს სექციის აქტიურ წევრის სახით.

აღნიშნული დასი აფართოებს თვის მოქმედების რეალს და ერთი და იგივე სეზონის განმავლობაში მართვს წარმოდგენებს რამდენიმე აღას.

მთავარ მუშაობის ცენტრს წარმოადგენს ისევ ავტალის აუდიტორია და იქ დადგმულ წარმოდგენებს დასი იმეორებს რკინის გზის თეატრში და სხვა უკნებში.

ასეთის მუშაობით იგი აღწევს მებრძოლ-ქარიშხლიან 1905—1906 წლებს, როდესაც მისი მაჯისცემა საერთო სახელმწიფოებრივი მდგომარეობის მიზეზობრივობის ზეგავლენით სუსტდება და ნელდება.

ამ ორი წლის განმავლობაში დასი ახერხებს მხოლოდ II. წარმოდგენის გამართვას.

**1907** წელს შენდება ზუბალაშვილის სახალხო სახლი და იქ სახალხო უნივერსიტეტი ემზადება სამოქმედოთ. თვის თეატრალურ სექციაში იწვევს ავტალის აუდიტორიაში მომუშავე დასის ნაწილს: მარიამ დემურიას, სოფიო რომანიშვილს, ვანო დურგლიშვილს, მიხ. თუშმალიშვილს, გიორგი ჯაბაურს, სიმ. ჯულელს და ვას. რაკვიაშვილს—„სახალხო უნივერსიტეტიან არსებული თეატრალური სექციის“ სახელწოდებით. მეორე ნაწილი დასის რჩება ისევ ავტალის აუდიტორიაში: კოტე ხახანაშვილის, ნიკ. გოცირიძეს, ი. ბესელიძეს, ვას. ხახანაშვილის და დ. ბაქრაძეს. შემადგენლობით და განაგრძობს წარმოდგენების მართვას. სახალხო სახლი ჯერ დამთავრებული არ არის და იქ გადასული დასი ვერ იწყებს მოქმედებას.

იბადება თითქოს ორი ნაკადი, ერთი და იგივე სათავედან წარმოდგარი და იბადება სურვილიც მათი ისევ შეერთების.

სამსონ ტოროშეშიძეს ცდის მეოხებით ნიკო გოცირიძეს იწვევენ უნივერსიტეტის სათეატრო სექციის რეისონრად, სამსონ ტოროშელიძეს სექციის წევრად და ამ რიგად ისევ ერთდება, თითქოს გაბზარული მთლიანობა.

სახალხო სახლი მაინც ისევ დამთავრების პროცესშია და სექცია 1908 წელს იძულებულია ისევ დაუბრუნდეს ავჭალის აუდიტორიას ვ. შათიროშვილის რეესისორობით მოქმედების დასაწყებად.

ამ ხანად დასს ემატება ბევრი სასარგებლო ძალა და მათ შორის ქ-ნი ე. ანდრონიკაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ც. ამირაჯიბი, ბარათაშვილი, ს. ანკარა და ალ. ბადრიძე, რომელთაგანაც ბევრი დღვევანდლამდე სიყვარულით ემსახურება სახალხო თეატრს.

1908 წელი—ეს იყო უკანასკნელი თარიღი ავჭალის აუდიტორიაში აურაცხელ წვალებიან მუშაობისა, რომლის გვირჩვინად მზადდებოდა ნამდვილ თეატრალური სახით მზირალი სახალხო სახლი, სადაც დაულალავ და საქმის მოყვარულ მუშაქთ ელოდა ნორმალური და კაპიტალური მუშაობა თვისი ნიჭის გასაფართოებლად ერის ლირსების განდიდებისათვის.

ასეთი იყო თავგანწირული მუშაობა სახალხო თეატრალობის ფუძე—ავჭალის აუდიტორიაში და მის რაიონში, მაგრამ ამით მარტო არ ხასიათდება საერთოდ ტალღისებური ზრდა სახალხო თეატრის მუშაობისა. იმავე საფუძველზე და იმავე მიზეზის ზეგავლენით, როგორც ავჭალის ქუჩის უბანში, თავი იჩინა თეატრალურმა საქმიანობამ სხვა, ჩენი დედა-ქალაქის, უბნებში: ავლაბარში, ნაძალადევში და სხვაგან. მაგრამ ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი ადგილი უკავია ავჭალის აუდიტორიის შემდეგ უბნების მუშაობაში ავლაბარს, ნაძალადევს და ჩულურეთს. ჯერ კიდევ 1902 წლამდე შინაურ არა-ოფიციალურად წარმოდგენების მართვას ადგილი ჰქონდა ავლაბარში. მაგრამ 1902 წლიდან მას მიეცა ოფიციალი სახე და ნორმალობა.

ამ წელს შტაბს-კაპიტან მურაშვილ აგო სათეატრო დარბაზი 200 სულისათვის განზომილი და ი. წ. 16 ნოემბერს ოფიციალ პირველ ქართულ წარმოდგენის ფარდაც აიწია.

პირველი პიესა, რომელიც იყო გათამაშებული ეს იყო „მე მინდა კნეინა გავხდე“.

ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ქართულ წარმოდგენების მართვის და დღემდე არ შეწყვეტილა. პიონერებად ამ საქმისა იყვნენ: ბესო მაისურაძე, ვანო იმედაშვილი, ივ. მჭედლიშვილი და ლევან პოლოსოვი.

ასევე ჩერის ნაბიჯით გაიზარდა ავლაბრის სცენის-მოყვარეთა წრე, რომლის ზოგიერთი წევრები დღესაც გულმოდგინეთ ემსახურებიან შეძლებისდაგვარად სახალხო სცენას და თავისებურებას არ კარგავენ. პირველი მუდმივი რეესისორი ავლაბრის სახალხო სცენის— იოსებ იმედაშვილი იყო, რომლის ირგვლივ თავს იყრიდა ადგილობრივი მოწინავე ძალები.

მურაშვილს თეატრიდან წრემ გადაინაცვლა არაქსიანის. სათეატრო დარბაზში, სადაც მისი მუშაობა ხასიათდება მრავალი წყვეტით და ერთ მუღმივ და მთლიან სახეს ვერ ლებულობს.

ხშირი და თითქმის მუღმივი დეფიციტები ამხანაგობის სალაროსი მიუღებლად ხდიდა სისტემატიურ მუშაობის გაგრძელებას, თუნდაც ისეთ დარკინულ ბუნების მქონე ადამიანის ხელმძღვანელობით, როგორსაც წარმოადგენდა მსახიობი სოსო ივანიძე, რომლის რეჟისორობითაც იდგმებოდენ იმედაშვილის შემდეგ წარმოდგენები. საჭირო იყო საშუალების გამონახვა გაბზარულობის გამთლიანებისთვის—მით უფრო, რომ ამ ხანად აკლაბარში უკვე ორი სცენის-მოყვარეთა დასი მუშაობდა და მეტოქეობას უწევდენ ერთი მეორეს.

ფირუმიანის მეთაურობით შეერთებულ იქნა ქართული და სომხური დასი და 1904 წლის მაისის თვის 7 რიცხვიდან დაიწყო მოქმედება „ქართველ-სომეხთა სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ“.

რეპერტუარიც შერქული იყო და ერთი და იგივე დღეს წარმოდგენები ორივე ენაზე მიმდინარეობდენ.

თუ იდგმეოდა მთლიანი რომელიმე ქართული პიესა, მას ემატებოდა ერთი მოქმედება სომხურ ენაზე და პირაქეთ.

დეფიციტი თავიდან მაინც ვერ იქნა მოშორებული, ამას ზედ დაერთო თეატრის დარბაზის მოიჯარადრის მიერ შენობის ქირის მომატებაც—და 1905 წელს ამხანაგობის სალაროს კრიზისის გამო—თეატრი დაიკეტა.

თეატრის დაკეტვამ და მდგომარეობის გამოსწორების მეთოდების ძიებამ—ამხანაგობა გაპყო ორ ნაწილად და ავლაბრის თეატრის ხელ-ახალი გახსნისას ახალ მოიჯარადრის თაოსნობით—ორივე დასმა დაიწყო მუშაობა,

ხალხის მოსაზიდათ და ამ გზით დეფიციტის თავიდან ასაცლენათ, პირველმა ჯგუფმა: დავით ჩარქვიანმა, რევაზიშვილმა და სხვ. მოიწვიეს ანტრაკტებში დასაკრავად გიტარა-მანდალინისტთა გუნდი, ხოლო მეორემ: ფირუმიანმა, რომანოზ სალაყაიამ და ბალაშვილმა 25 კაცისაგან შემდგარი თარის და ჭიანურთა დაკვრელი გუნდი. პირველი მართავდა მხოლოდ ქართულ წარმოდგენებს, მეორე კი ქართულ-სომხურს.

ამ შეჯიბრების ზეგავლენით პირველ ჯგუფმა შესწყვიტა წარმოდგენების მართვა და სარბიელი დარჩა—მეორეს.

მაგრამ მაწვალებელი ეკალი—დეფიციტი—ამ შემთხვევაშიც ვერ მოიშორეს და თეატრი 1908 წელს ხელმესამედ დაიკეტა. იმავე წლის მიწურულში იმავე თეატრის ირგვლივ დასი კვლავ შეიკრიბა და მსახიობ ვ. ურუშაძეს რეჟისორობით განაახლა მუშაობა „ახალი დრამა“ს სახელწოდებით..

ამ ხანაში რეჟისორობის პიროვნებანი ხშირად ახლდებოდენ და კუიფიანი და სოსო ივანძე სცენის-მოყვარეთა ჯგუფი თეატრისთვის ხალხში სასურველ ნიადაგის მოპოვებისთვის და მათი ერთი-მეორესთან

იბრძოდა მხნედ ავლაბრის სცენის-მოყვარეთა ჯგუფი თეატრისთვის ხალხში სასურველ ნიადაგის მოპოვებისთვის და მათი ერთი-მეორესთან

დაახლოებისათვის, ხშირად თვითვე სცენის-მოყვარენი და მათი ხელ-მძღვანელნი თვის წარმოდგენების ბილეთებს. თვითვე ყიდულობდენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდენ, რომ მით დაეკავშირებინად ხალხი თე-ატრისთვის, მაგრამ მაინც ულმობელი დეფიციტი ყველგან და ყოველთვის თან სდევდათ მათ და მათი მიზანიც ფრთა-მომსხვრეული რჩებოდა.

ნაძალადევის უბნის სახალხო წარმოდგენათა მართვის დასაწყისი არის 1897 წელი, რომელიც გაიმართა ვრ. ჩარკვიანის თაოსნობით და შაქრო საფაროვის ოჯისორობით უბნის პირველ-დაწყებით. სასწავლებლის სასარ-გებლოდ.

პიესა „ძუნწი“-ს დადგმით საფუძველი ჩაეყარა ნაძალადევის სათეა-ტრო საქმეს, რომელსაც დღეს გაფართოებულ სახით ვხედავთ. ნაძალადევ-ში ავჭალის აუდიტორიის ძალებით დაიდგა რამოდენიმე დამოუკიდებელი წარმოდგენები, მაგრამ უბინაობამ და მოუწესრიგებლობამ ადგილობრივი თეატრის მესვეუნი აიძულა, რომ ნაძალადევის სათეატრო საქმის ხელმძღვა-ნელობა და მისი სისტემატიზაცია გადაეცა ავჭალის აუდიტორიის სექცი-ისთვის, რომელმაც ხელთ იღო მისთვის საყვარელი საქმიანობა. ვართულ დრამატიულ საზოგადოების ნივთიერი დახმარების საშუალებით შეაკე-თა დარბაზი და მუშაობაც დაიწყო.

ავ. ცაგარლის ცნობილ კომედია „ხანუმა“-ს დადგმით.

ასეთი იყო უბნებში სახალხო წარმოდგენათა ჩანასახი, რომელთაც მხარს უმშვენებდა შედარებით სივრცით უფრო პატარა—ჩულურეთის უბა-ნი შემდეგში ქართულ თეატრის მსახიობ ანდრო ადამიძეს და ვიქტორ გამყრელიძეს მეთაურობით და ხელმძღვანელობით, რომელთა პირველი ნა-ბიჯი იყო ბაჯიაშვილის სახლში „არსენა“ს დადგმა:

ხსენებულ პირთა მეოხებით რამოდენიმე წელს იარსება უბნის სცე-ნის-მოყვარეთა წრემ, მაგრამ მას შემდეგ რაც ა. ადამიძე და ვ. გამყრელი-ძე მიიწვიეს სხვა თეატრებში, ჩულურეთში დაირღვა მუდმივი მუშაობა და სცენის—მოყვარენიც ნელინელ გაითანაზენ სხვა და სხვა მოწმედ ამხა-ნაგობა—დასებში.

ასეთივე სურათად გვეშლება ვერის უბანიცა, სადაც გიგო იორდანი-შვილის მეთაურობით შეიკრიბნენ ამ უბნის მოწინავე ახალგაზღვობა და შეუდგა მუშაობას.

ამ ჯგუფის მასაზრდოვებელი და მტკიცე ყავარჯენთ წარმოდ-გენდნენ სახალხო თეატრის დღევანდელნი მსახიობნი ჭ-ნი სოფიო ანკარა და ალ. მეტრეველი.

1907 წელს თიბათვის პი-ს აიწია პირველი ფარდა ვერის აუდიტო-რიის ერთ-მოქმედებიან კომედია „ჭკუისა—მჭირს“ ის გათამაშებით. მიეცა ვერის უბანში მუდმივი წარმოდგენების მართვის ხასიათი—ყოველ-კვირე-ული წარმოდგენების მართვის სახით სხვა და სხვა დროს მსახიობთ ს. ივა-ნიძეს, ალ. იმედაშვილის, სვ. სვიმონიძეს, მატარაძეს რეჯისორობით და მსახიობთ ნიკო გოცირიძეს, ელ. ჩერქეზიშვილის, ნინა საფაროვის და გაბუნია-ცაგარელის დახმარებით.

ასე მიმდინარეობდა უერის სახალხო აუდიტორიის მუშაობა 1910 წლამდე. ორდესაც შენობის დაკავების ვადა გაუვიდათ, სახლის პატრონმა შენობა სცენისთვის აღარ დაუთმოთ და წარმოდგენების მართვაც შესწყდა. ასეთი იყო სტრუქტურა და თავგანწირული მუშაობა უბნებში—სახალხო წარმოდგენების მართვის ირგვლივ.

1911 წელს იწყება. ახალი ერა—სახალხო სცენის მოღვაწეობაში.

ამდენი წნის ნანატრი—საკუთარი თეატრალური ტეხნიკით, შემცული ზუბალაშვილის სახელობის სახალხო თეატრის აგება მთავრდება და ყველა ცოცხალი თეატრალური ძალა, აქნობამდე უბნებში გაბნეული, თავს იყრის მის გარშემო.

იმავე წლის 4 აპრილს დიდის ზეიმით სამხიარულო და გამარჯვების შრიალით ადის ზევით სახალხო თეატრის პირველი ფარდა „სახალხო უნივერსიტეტის არსებულ ქართულ თეატრალურ სექციის“ სახელით და იდგმება სათუთად მომზადებული პირველი წარმოდგენა „რევიზორი“ გოგოლისა—კ. შათირიშვილის რეჟისორობით.

„რევიზორი“-ს შემდეგ იდგმვა „სიძე-სიმამრი“, „ქოცნა პირველი და უკანასკნელი“, „ქოჩიანი ტოროლა“, „მეზობლები“ და შილლერის „ყაჩალები“. წარმოდგენების სკოლა ეხლა ეტყობა მეტი დაღინჯება, თეატრალობა და დაკვირვებული რეჟისურის ხელი.

პქრება და ისტორიის ფურცლებს ბარდება სიჩბილი ტეხნიკურ ხელ-საწყო და ტანისამოსებისთვის, მოგონებათა შორეთში გადადის სცენის-მოყვარეთა ფუსტუსი და სცენის მოწყობა მათ მიერვე გრიმებ-ტანისამოსში. უბრალო ჭრაქების და სანათების სინათლეს სცვლის და გაცისეროვნებული ელექტრონის შუქი ავსებს თეატრის დარბაზს. დამსწრე საზოგადოება თაცი-სუფლად, ქმაყოფილი სუნთქვას და დაუსრულებელი ტაშის კვრით აჯილ-დოებს. ბრძოლაში გამარჯვებულ თავგანწირულ მსახიობთ. მაგრამ შეუძლებელი ხდება ძველი სისტემით მუშაობა აქ. თეატრში, და სექციასაც სურს რეორგანიზაციის მოხდენა.

ეს საკითხი ღებულობს მწვავე ხასიათს და სახალხო სახლში მომუშავე ერთი მთლიანი ოჯახი ორ ბანაკად იყოფა და მათ შორის ბრძოლა და შეჯახება ისეთ მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ გაზეთებში იწვევს დიდს პოლემიკას და ნელი-ნელ ჩაღდება სახალხო სახლში მომუშავე ქართულ და-სის ირგვლივ პოლიტიკურ პარტიათა შორის ბრძოლა.

არც ერთს მხარეს არ სურს დათმობა და ორივე მიმართულება ცალ-ცალკე აფიშას უშვებს ერთი და იგივე დღისთვის: პირველი: „ლალატე“-ს ხოლო „უნივერსიტეტის სექცია“—„ციმბირელი“-ს.

ფერხდება წარმოდგენების მართვა და დროებით სწყდება, სადაო კი-თხვის გადაჭრა ქნდობა ქართულ ღრამატიულ საზოგადოების გამგე-ობას—პართენ გოთუას თავმჯდომარეობით და ორივე მხარე მის გარდაწ-ყვეტილებას უცდის.

საქმე წრის გამარჯვებით თავდება და ამიერილან სახალხო სახლში იმართება წარმოდგენები „სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენათა მმართველ წრის“ სახელით კ. შათირიშვილის რეჟისორობით.

მეორე მოწინააღმდეგე ჯგუფი უბრუნდება ისევ ავჭალის აუდიტორიას და იქ განაგრძობს მუშაობას 1911 წლამდე რომელ წლიდან იგი ისევ უერთდება სახალხო სახლის დასს და დღემდის ერთად ეწევა ჭაპანს დღევანდელ 30 წლოვან სახალხო თეატრში. სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მართვას იმ დროს არალეგალურად მომუშავე საქართველოს პოლიტიკური პარტიები აქცევენ დიდ ყურადღებას და წრის მუშაობას იყენებენ, როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალება-სარჩიელად. ამ მიზნით რეპერტუარი ატარებს სავსებით ტრიბუნის და სოციალურ ურთიერთობის დამახასიათებელ სახეს და იდგმება განსაკუთრებით პროპაგანდის მატარებელი სულის პიესები, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

აქტიურ წევრთა—სცენის-მოყვარეთა გარდა, წრეში შედიან პასიური წევრებიც, წრის წევრთა სახელწოდებით სათანადო რეკომენდაციის შემდეგ.

წრის საერთო წლიური კრებები ხასიათდება, როგორც პარტიული ფრაქციათა ბრძოლა და ყოველი პარტია ცდილობს თავის კანდიდატთა გამრავლებას და მით წრის მესვეურობის ხელში ჩაგდებას.

1909 წლიდან, ვიდრე 1917 წლამდე, როდესაც მზის შუქმა ყველა-თანაბრათ გაათბო, ასეთი ბრძოლა არ შეწყეტილა სახალხო სახლში, ქართულ წარმოდგენათა მართვის ირგვლივ. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა დროს რეჟისორობენ: კ. შათირიშვილი, ნ. გოცირიძე, ალ. წუწუნავა, ი. ბარველი, შ. შარაშიძე და ბუდუ მდივანი. ალ. წუწუნავას რეჟისორობის დროს სახალხო სახლი აღწევს მაქსიმუმს თავის ენერგიისას მხატვრულ წარმოდგენათა დადგმის მხრივ.

წრის გამგეობა ყოველ წელს ხელახლად ირჩევა და უმრავლესობა ხან ერთ პარტიულ მიმდინარეობას ხვდება წილად და ხან მეორეს.

ხდება პოლიტიკური გარდატეხა და სახალხო სახლის მიმართულება და მწყობრი ხასიათი იშლება. პოლიტიკური პარტიები სცილდებიან მას, როგორც მისი ხელმძღვანელნი და აღვილობრივი დასის მუშაობის ფარგლებიც ვიწროვდება.

სათავეში თუმც ისევ არა მსახიობნი სდგანან, მაგრამ თითქმის უკვე უცვლელნი ხდებიან და წრის საერთო კრებების მწვავე ფრაქციათა შორის ბრძოლაც სუსტდება.

რეჟისორად რჩება კ. შათირიშვილი და რეპერტუარიც ცოტაოდნად იცვლება ძველ რეპერტუართან შედარებით.

ნელი-ნელ პროპაგანდის და ტრიბუნის ხასიათის პიესებში ფეხს იკიდებს სხვა მიმართულების პიესებიც. ასე მიმდინარეობს მისი მუშაობა 1921 წლამდე, როდესაც სახალხო თეატრის დიდი მოამაგე, მისი პედაგოგი და თითქმის უცვლელი რეჟისორი—მესაიდუმლე კ. შათირიშვილი გარდაიცვალა.

სახალხო სახლი რჩება ურეუისოროდ.

რეუისორის მოწვევა ძნელდება; მას უშლის ხელს ქართულ თეატრის გაფართოებული და თამამი, აკადემური მუშაობის დაწყება და იქ თითქმის ყველა ქართველ რეუისორის მიწვევა.

საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის მიხედვით და ხელოვანთა კავშირის ინსტრუქციის ზეგავლენით, დასის გამგეობის ფუნქციები — გადაღის მსახიობთა „ადგილობრივ კომიტეტი“-ს ხელში და სახალხო სახლის სკენის მოყვარეთ ეძლევა „მსახიობის“ სახელწოდება რეუისორობა, მართვა-გამგეობის შეცვლა და იმ დროინდელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები: საფუძვლიანად აბრკოლებს დასის ნორმალურ მუშაობას, და მიაქანებს დაღუპისაკენ.

ერთხელ შემუშავებული რეპერტუარი — შემდეგში ველარ აქმაყოფის ლებს საზოგადოების მოთხოვნილებას და სახალხო თეატრის მუშაობაც 1921—1922 წ.წ. კრიზისს განიცდის. ამ წლებში დასს ემატება მრავალი ახალგაზდა ცოცხალი, ძალა და შეერთებულის ძალ-ლონით ცდილობენ სახალხო სახლის უკვე „ქართულ დრამის“ გაჯანსალება — გამოცოცხლებას.

1921 წლის მიწურულში რეუისორობას ავალებენ ნ. გოცირიძეს და მის თანაშემწედ ალ. ბადრიძეს და არის ცდა საქმის გამოსწორებისა. რეპერტუარის სიძველე, თეატრალური ტექნიკის უმაღლეს წერტილამდე განვითარება, კინემოტოგრაფის სისწავეთით ზრდაწარმოება, ქართულ აკადემიურ დრამის კაპიტალური მუშაობა და თანამედროვე ეკონომიკური პირობები. დასის სალაროს კატასტროფიულ პირობებში აყენებენ და დაღუპვისაკენ გაქანება. უფრო სწრაფ ხსიათს ღებულობს.

ამ ნიადაგზე დასის ახალგაზდა ძალებს შორის იბადება სურვილი მუშაობის კურსის შეცვლის — საერთო საქმის გამოგვარებისთვის და ასკვნის: დაუბრუნდეს ისევ ძველ-ნაცად მართვა გამგეობის სისტემას — „გამგეობის“. ფორმის შემოღების სახით, შეიქმნას რეუისორთა კოლეგია — მხატროლ შხარის გაუმჯობებისათვის, და რეპერტუარიც რაღიკალურად შეიცვალოს.

გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავთ სათავეში საქმეს უდგება გამგეობა: ბესელიძეს, ა. თოლირიას, აკ. ხორავას, შ. გომართელის, ს. რომანიშვილი — დებულებეს, ნ. გერგესელის და კ. სალირაშვილის „შემადგენლობით, სარეუისორო კოლეგიაში ინიშნებიან: ნ. გოცირიძე, ალ. ბადრიძე, სოსო რომანიშვილი და სარევიზიო კომისიაში ს. რომანიშვილი, რ. ჯიბლაძე და გ. გარსიაშვილი.

ამ ორგანოთა ხელმძღვანელობით თითქმის იწყება განახლებული მუშაობა სეზონის მიწურულში, მაგრამ სეზონის პირველ ნახევრის მდიმე დავალიანებას მაინც სავსებით ვერ აჯანსალებს და 1921/22 წლის სეზონი უნუგეშო მდგომარეობით იხურება — ფიცით, რომ ყოველგვარი შესაძლოება იქნეს გამონახული, რომ 1922/23 წლის სეზონი ლირსეულ და სასურველ პირობებში მიმდინარეობდეს: 1922/23 წლის სეზონში გამგეობის: ნ. გერგესელის, კ. ხახანაშვილის, ა. თოლირიას, კ. სალირაშვილის, ს. რომანი-

შეიღის, ალ. თავდგირიძეს, ტრ. რამიშვილის, შემადგენლობით იწვევს დასში მთავარ რეჟისორად დამსახურებულ და გამოცდილ პირს. შ-დადიანის სახით და მას გვერდში უყენებს მორიგ რეჟისორებად ალ. ბალონიძეს და ს. რომანიშვილს. დასს აფართოებს ბევრი ახალგაზდა ძალებით და იმე-დანად იწყებს სეზონს.

პირველ ხანებში მუშაობა მიმდინარეობს სასურველად. რეპერტუა-რიც ახლდება, რეჟისურა ხარჯავს მაქსიმუმს თავის ენერგიისას, მაგრამ ხდება ეროვნები რყევა როგორც დასში, ისე გამგეობაშიც და მუშაობაც ისევ ექანება ძირს და დასის სალაროც თითქმის ცარიელდება.

ამავე დროს ქართულ აკადემიურ დრამის კრიზისიც ხდება და იჭრე-ბა საკითხი საქართველოში. სათეატრო საქმის მოგვარების.

აკადემიური დრამა მაღე პოულობს ხსნის გზას ცნობილ, სახელგან-თქმულ რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახით. მაგრამ სახალხო თეატრი ისევ უმწერ მდგომარეობაშია.

აშვარა ხდება დასის წევრთა და მსახიობთათვის, რომ მათ აკლიათ საკმარისად გამოცდილი მმართველი ხელი, რომლის ნაკლები უნარიანობა რეჟისორის მუშაობასაც აფერხებს—რეპერტუარის ვიწრო ფარგლებში ჩა-ყენებით. და: არსებულ მომენტის ალლოს აულებლობით და მით შეუწყნა-რებელ მდგომარეობაში აყენებს დასს და მთელს მის მუშაობას.

ამ გარემოებას თან ერთვის თანამედროვე ხელოვნების გარდატეხა რომლის ნიშნების სიძლიერით იჭრებიან საქართველოშიც და მოითხოვნ მისთვის ანგარიშის გაწევას:

სახალხო თეატრის ქართულ დრამის წინაშე მთელი თავისი მახვილო-ბით იჭრება საკითხი ყოფნა-არყოფნის და მის ირგვლივ ხდება დასში ერთ-გვარი მწვავე ხასიათის შეჯახება ორ მიმართულების შორის.

მიმდინარე სეზონის გამგეობის პირველ სხდომიდანვე ამ ორ მიმდი-ნარეობათა წინააღმდეგობამ თაქი იჩინა:

გამოირკეა, რომ გამგეობის შემადგენლობაში არჩეულ ყოფილან წევ-ბი თეატრალურ მიმართულების სხვადასხვა შეხედულობისა.

ჯერ კიდევ წარსულ კატასტროფიულად დასრულებულ სეზონშივე გა-დაწყვეტილად მიღებულ იქნა დასის მესვეურთათვის, რომ სახალხო თეატრმა უნდა გადაუხვიოს თავის. ძველ გზას და განახლების დაადგეს—ახალი ძა-ლების შემწეობით.

მისი დღევანდელი არსებობის რეზონია: ტრადიცია და გულწრფელი სცენის-მოყვარეობა, რაიც არ კმარა დასის დანიშნულების თანამედროვე ტვალსაზრისით გამართლებისათვის. სახალხო სახლი ველარ ივლის და არც უნდა იაროს უბრალო „გამოცდილებაზე“ დამყარებულ რეჟისურის ხელ-მძღვანელობით და სცენისადმი ბარტოლოდენ სიყვარულით და სცენის მოყვა-რეობის აღზნებულ სურვილით მომუშავე პირების შემწეობით. დღევანდე-ლი სახალხო სახლი ველარ ისაზრდოვებს და თავის რეპერტუარს საფუძ-ვლად ვერ დაუდებს აქ. ცაგარელის სკოლის პიესებს, მათ შეხედავს რო-

გროც ისტორიულ, ლიტერატურულ ნაწარმოებს და ღრო გამოშვებით მხოლოდ პირობების მიხედვით განახლებს მათ სეზონის განმავლობაში, ახალი დაზღვით და ახალი გაგებით.

აღვილს არ მისცემს მელოდრამას და რომანტიულ სკოლის ისტორიულ პიესებს, რომლებიც თავისი ყალბი ეფექტებით უკან აქანებს თეატრალურ ხელოვნებას.

ადგილი ექნება მხოლოდ ესთეთიკას, მხატვრობის და შემოქმედებითი ინტუიციით აღვსილ პიესებს—ფსიქოლოგიურ განცდებთან შეზავებულს. ამ რიგად ცხადი ხდებოდა, რომ საჭირო იყო პროფესიონალურ ნიადაგზე მდგარი და ამ ძალისთვის ახალი ძალა.

ამ აზრს ვერ ურიგდება მეორე მიმართულება და მასი მესვეურნება და წინააღმდეგობაც ძლიერდება, მწვავე ხასიათს ღებულობს. საჭირო ხდება გარდატეხა, თუნდაც ტკბვილები დიდათ საგრძნობი იყოს.

ასეთი გამგეობაში წინააღმდეგობა გადადის დაშვირ და იქ შებრძოლება ხდება გამგეობის მიერ მოწვეულ მსახიობთა საერთო კრებაზე. მსახიობთა ერთი მიმართულება არსებულ გამგეობის ზოგიერთ წევრთა მეთაურობით, აღგას ძველ ტრადიციულ გზას და მის რეპერტუარს, ხოლო მეორე, ახალგაზღა მსახიობთა და ჩრგიერთ დამსახურებულ ნიჭიერ მსახიობთა—მეთაურობით, ითხოვს ძველი გზის უარყოფას, ძველი რეპერტუარის ისტორიაში ჩაბარებას და სიახლის გამეფებას—ახალგაზღდულ მიმართულებას მთლიანად მხარს უჭერს რეჟისურა და თანახმად მსახიობთა საერთო კრების დადგენილების ირჩევა ახალი გამგეობა.

გამგეობა შედგა არა მსახიობთაგან, რომლის შემაღენლობაში შეტანა: თავმჯდომარედ ს. ახვლედიანი. წევრებად: ი. ვარაზაშვილი ი. ბესელიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ. სამსონ ტოროშელიძე, წევრებად ნ. გერგესელი, აბელიშვილი ქ. საღირაშვილი (ხაზინადარი) ი. ბესელიძე, ჭელიძე და ელიაშვილი.

დასის მმართველთა დარკინულს მუშაობა ნორმალურ სკლას აძლევს მუშაობას, მტკიცდება დარღვეული დისკიპლინა, ახლდება და ნორმალობის ხასიათს ღებულობს კვლავ დასის მუშაობა, და საზოგადოებრივი გამოძახილი პოულობს. გასავალს ბეჭვდით-ორგანოებში მოთავსებულ რეცენზიებში.

ამ ხანებში სახალხო თეატრს უსრულდება 30 წელი თავის არსებობისა და გამგეობის მეთაურობით იწყება მხურვალე მუშაობა. ამ დღის ზემით შეხვედრისთვის.

1923 წელი ეს იქნება საზღვარი ძველის და ახლის შორის, რომელ დღესაც „ახალი“ სახალხო თეატრი „ძველს“ მიუძღვნის დაფნის გვირვენს დაუღალავ და კეთილ მუშაობისათვის, ზარებიან ჰანგებით შეამკობს მის რვაწლს, ხოლო თვითონ კი ლურჯოვან ფერით აელვარებული გასწევს ახალ გზით, თეატრალურ სიახლის და გაქანებისკენ განახლებულ მელპომენის დაჭიმულ დროშით ხელში ზედ წარწერით: „განახლებული ქართული დრამა“!..



პირველი მოღვაწე ქალი სახალხო თეატრის აღორძინების საქმეში  
მარიამ დემურია.

ი. გომართელი.

## სახალხო დრამატიული დასის რეპერტუარი

დღევანდელს თეატრსა და საყდარს შორის თითქოს არაფერი არ არის საერთო; ნამდვილად კი ორივეს ერთნაირი დასაწყისი აქვთ. ორივეს სათავე არის სარწმუნოება.

თეატრი წარმოიშვა წარმართობის დროს; იქ ადიდებდენ ერთ ერთ ღმერთს.

საყდარი წარმოიშვა შემდეგ და აქაც თაყვანსა სცემენ და ადიდებენ ღმერთს.

როდესაც გავეცნობით ძველი ელლინური თეატრის არხიტექტურას, დავრწმუნდებით, რომ დღევანდელი საყდარი მისი პატარა კოპიოა.

მთელს ბუნებაში გამეფებულია სასიცოცხლო ძალა. სიკვდილი შეუზრალებლად და შეუჩერებლად ანადგურებს ყოველისფერს, რასაც კი მისი ცელი მიეკარება. მაგრამ ძალა სიცოცხლისა სჩქეფს ყველგან და ერთი დალუბულის ალგას ის აჩენს ათასს.

მას თან დასდევს ახალგაზრდობა, გატაცება, მხიარულება და ღვინო, როგორც აღმძვრელი, გამომწვევი მხიარულებისა.

ყოველივე ეს ძველი ელლინის შემოქმედებამ ერთად შეაერთა და დაუქვემდებარა ღმერთს დიონისოს.

და აი თეატრი დავდაპირველად იყო საზეიმო წირვა დიონისეს საღიდებლად. ამგვარად ის აღმოცენდა სარწმუნოების ნიადაგზე და მალე გადაიქცა დიდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მოვლენად.

ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივი ცხოვრებაში, კულტურა წარმოუდგენელია უთეატროთ. თეატრი მაშინ არა თუ უმწვერვალესად იყო განვითარებული, ერს და ერის მთავრობას კარგადა ჰქონდათ გათვალისწინებული თეატრის უდიდესი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა და თეატრი იყო მთავრობის უდიდესი საზრუნავი. თეატრი იყო უდიდესი სკოლა მოქალაქეთა აღსაზრდელად; ეს სკოლა იყო უაღრესად დემოკრატიული. ამ სკოლაში უნდა მიეღო აღზრდა და მომზადება ყოველ მოქალაქეს. ზოგიერთი თეატრი იტევდა ორმოცი ათასამდე მაყურებელს. შესვლა თავდაპირველად იყო უფასო. შემდეგ დაწესდა მცირეოდენი ფასი თეატრის შესანახად, სამაგიეროდ ყოველ მსურველს შესასვლელ ფასს ხაზინა აძლევდა.

რას ემსახურებოდა მაშინ თეატრი?

საზოგადოების განვითარებას.

ამ მიზანს ახორციელებდენ ტრადედიები, რომლებშიაც ზნეობრივი და საზოგადოებრივი აზრები იყო გატარებული.

მაგრამ საჭირო იყო ერის აღზრდასა და განვითარებასთან ერთად ერის ნერვიული ძალ-ლონის აღდგენა და გაზრდა სანახაობით, მხიარულებით.

ამ მიზანს ახორციელებდენ სხვათა შორის კომედიები და მიმები.

როდესაც შეადარებთ ევროპის თანამედროვე თეატრს თავის უძველეს ელლინურ წინაპარს, რა დიდი განსხვავება!

ელლინური თეატრი იყო ეროვნული დაწესებულება. ის აძლევდა გონებრივსა და ზნეობრივ საზრდოს მთელ ერს და რადგანაც ყველგან ერის უმრავლესობას მშრომელი ნაწილი შეადგენს, ამიტომ ელლინური თეატრი ემსახურებოდა მშრომელ, ხალხს და წარმოადგენდა უღიდეს სკოლას მშრომელი ხალხისათვის.

ბურუუზიულმა წყობილებამ დღევანდელ, თეატრს დააჩნია ერთი დიდი შავი ლაქა—ფული.

რაც შეიძლება ბევრი ფულის აღება,—აი ერთი მიზანთაგანი დღევანდელი თეატრისა. ამიტომ ის იძულებულია ემსახუროს მათ, ვის ხელშიაც ეს ფულია.

თეატრი არის დიდი ეროვნული საქმე. მას აქვს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა.. კერძო პირის ხელში ან კერძო საზოგადოებას, ამხანაგობის ხელში ის ძალაუნებურად გადაიქცევა ფულის მომგებ დაწესებულებად. ამიტომ ის უნდა იყოს მთავრობის ხელში და უზრუნველყოფილი მთავრობისაგან. ეს ძალიან კარგათა ჰქონდათ შეგნებული ძველ ელლინებს.

ევროპის თეატრი ასცდა ამ გზას და ამიტომ რა თქმა უნდა, მიუხედავად თავისი დიდი ღირსებისა, მას არა აქვს ის მნიშვნელობა საზოგადოებისა და მთელი ერისათვის, რაცა ჰქონდა თეატრს ძველ საბერძნეთში.

თეატრი უსათუოთ უნდა დაუბრუნდეს ხალხს. მისი მიზანი უნდა იყოს მშრომელი ხალხის აღზრდა, გაწვრთვნა, სულიერად გაჯანსაღება, გადახალისება და მისი სამოქმედო ენერგიის გაზრდა.

თეატრი უნდა აშუქებდეს ყველა იმ საკითხს, რასაც კავშირი აქვს მშრომელი ხალხის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან.

თეატრი უნდა არკვევდეს მხატვრულ სურათებში ყველა იმ საზოგადოებრივ და ზნეობრივ საკითხებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მშრომელი ხალხის აღზრდა განვითარების საქმეში.

მშრომელი ხალხი ყოველ დღე ხარჯავს თავის სამუშაო ძალლონებს, რაც მას მარტო ფიზიკურად კი არა სულიერადაც ჰქანცავს. სულს დასვენება, გადახალისება ესაჭიროება ახალი შრომისათვის, დახარჯულ ჯანღონეს კიდევ— ანაზღაურება.

ეს კი უნდა მისცეს მას თეატრშა.

რითი, რა საშუალებით?

სანახაობითა და ესტეტიური მხიარულებით. დღიური შრომისაგან მოქანცული ადამიანი უნდა გამოვიდეს თეატრიდან მარტო გონებრივი საზრდოთი დატვირთული კი არა, არამედ დასვენებული, ხალისიანი და სამუშაო ძალლონით შევსებული. ამისათვის კი საჭიროა სალი მხიარული სიცილი, ხალისიანი, მხიარული განწყობილება სულისა.

წარმოიდგინეთ მშრომელი ადამიანი ზნეობრივ-საზოგადოებრივი აზ-რებით დატვირთული, მაგრამ მოშვებული, მოდუნებული, უხალისო, უენერ-გიო, ასეთი ადამიანი მიუხედავად თავისი სულიერი ლირსებისა ხშირად უსარებლო წევრია საზოგადოებისა და ერისათვის.

მეორეს მხრივ ენერგიით სავსე, მაგრამ ზნეობრივ-სოციალური აზროვნებით ღარიბი მშრომელი ადამიანიც დიდ ნაყოფს ვერ მისცემს საზოგადოებასა და ერს.

ერთი მიზანიცა და მეორეც შეერთებული უნდა იყოს სახალხო თეატრში,—მხოლოდ მაშინ მისცემს ის საზოგადოებას მთლიან მშრომელ წევრს.

სწორეთ ასეთი მიზანი პქნდა დასახული ქართულ სახალხო ღრამა-ტიულ დასს და მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა ის პირნათლად და-თავვანწირვით ემსახურებოდა ამ დიდ ეროვნულ მიზანს თეატრის—გახალ-ხოსნება. მშრომელი ხალხის დაახლოება თეატრთან და მისი ესტეტიური აღზრდა—აი რისთვის იბრძოდა სახალხო ღრამატიული დასრ ამ ოცდა-ათი წლის განმავლობაში.

ეს არის მეტად დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა:

უნდა მიგილოთ მხედველობაში, რომ სახალხო ღრამატიული დასი მო-ღვაწეობდა თვითმშერობელობის დროს. მის კისერზე არა ერთხელ გადუვლია. შავრაზმულ რეაქციას, რომელიც წინ ელობებოდა და ყოველგვარი საშვა-ლებით აღრჩობდა ხალხის შეგნებას, გათვითცნობიერებას და განვითა-რებას.

სახალხო დასი კი ამ დროს მშრომელი ხალხის აღზრდას, განვითარებას და შეგნებულად დარაზმას ემსახურებოდა.

ამიტომ. მისი მოღვაწეობა არის არა მარტო საზოგადოებრივი, არა-მედ სარევოლუციო:

თუ ქართველი მშრომელი ხალხი სარევოლუციო ბრძოლაში მუდაშ პირველ რიგებში იდგა, მტკიცედა და გაბედულად მიდიოდა წინ და რე-ვოლუციას შეგნებულად შეეგება, ეს არ ყოფილა შედევი მარტო პარტი-ული მოღვაწეობისა,—ამ დიად საქმეში მიუძღვის თავისი წვლილი სახალ-ხო ღრამატიულ დასსაც, რომელიც ოცდათი წლის განმავლობაში ემსახურე-ბოდა მშრომელი ხალხის შეგნებას.

თეატრი თავის მიზანს ანხორციელებს რეპერტუარის საშუალებით.

როგორი იყო სახალხო ღრამატიული დასის. რეპერტუარი ამ ოცდა-ათიწლის განმავლობაში?

ეს რეპერტუარი სრულებით შეეფერებოდა იმ მიზანს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სახალხო თეატრი.

თეატრი თავის მიზნით საერთაშორისო მოვლენაა, მაგრამ მისი გზა არის ერთად ერთი—ეროვნული.

მიუხედავად იმისა, რომ სოფოკლე დღესაც ყველას ატკბობს, ის, უწინარეს ყოვლისა არის უაღრესად ელლინი და ელლინური ნიადაგის გარეშე ის გაუგებარია და შეუძლებელი.

სახალხო თეატრმა უნდა მისცეს ხალხს ყოველი აზრი და განცდა იმ გაგებით გამოსახვითა და სურათებით, რაც უფრო ახლოს არის ხალხთან. ხალხთან კი უფრო ახლოს არის ყოველივე ეროვნული.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო თეატრი მარტო ეროვნული შემოქმედების ჩარჩოებში ჩაიჭედოს; ეროვნულიდან ის თანდათანობით უნდა გადადიოდეს საერთაშორისოზე.

სწორეთ ამგვარად მოლვაწეობდა ქართული სახალხო დრამატიული დასი. იმის რეპერტუარში უმთავრესი ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ შემოქმედებას. აქ სრულად არის მოცემული ჩვენი ძველი და ახალი დრამატურგები.

რაც უნდა სუსტი იყოს ეროვნული შემოქმედება, ის არის გამომხატველი ერის ესტეტიური ენერგიის. თქმულა ჩვენში და ახლაც ამბობენ ხოლმე ჩვენი თანამედროვე მწერლობის ამა თუ იმ დარგის სისუსტეზედ. რა თქმა უნდა, ევროპის რომელიმე ერის მწერლობას ჩვენი დღევანდელი მწერლობა ვერ დაედარება, მაგრამ ჩვენი მწერლობა და შემოქმედება არის ის, რისი მოცემაც კი შეუძლია ჩვენს ერს დღევანდელს პირობებში.

ერისთავი, ცაგარელი, კლდიაშვილი, რამიშვილი, გედევანიშვილი, შიუკაშვილი, დადიანი, ეკალაძე, ირეთელი, გერგესელი, ნაკაშიძე და სხ. უსათუოდ გამოხატავენ ქართული ესტეტიური ენერგიის შესაძლებლობას, გამოსახავენ ქართულ სინამდვილეს, ქართველ ხალხთან ესენი ახლოს არიან და, რა თქმა უნდა ქართულ სახალხო თეატრში ესენი პირველ რიგში. უნდა იყვნენ.

სახალხო დრამატიული დასი სწორეთ ასეც მოქმედებდა და ეროვნულ თეატრს მან მტკიცე საძირკველი ჩაუყარა მშრომელი ხალხის გულში. ბევრ ჩვენგანს შექსპირზე გაუთენებია ღამეები. რა თქმა უნდა, ერისთავი ამისთანასათვის ანბანია და საჭირო აღარ არის. მაგრამ ხალხს ჯერ ეს ანბანი ესაჭიროება, უამისოდ ის შექსპირს ვერ გაიგებს, ვერ ჩასწვდება.

გიორგი ერისთავი არის საძირკველი ქართული თეატრის. იმის პიესებში არ არის არც აზრის სილმე, არც ხასიათთა სირთულე, არც დილი ფსიხოლოგიური ანალიზი, მიუხედავად ყოველივე ამისა მათ აქვთ ერთი დიდი ღირსება: ისინი იძლევიან ქართული ცხოვრების უტყუარ სურათებს. ქართველმა მშრომელმა ხალხმა კი ცოცხალი სურათებით უნდა გაიცნოს როგორც ჩვენი წარსული, ისე აწმყო, რომ უკეთ გაითვალისწინოს ჩვენი მომავალი.

გიორგი ერისთავის კომედიები საყურადღებონი არიან საზოგადოებრივის თვალსაზრისითაც: მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ჯერ კიდევ ბატონყმობა იყო, წარჩინებული წოდების დაშლის ნიშნები უკვე იყო ჩვენს ცხოვრებაში და „გაყრისა“ და „დავის“ ავტორს ეს არ გამოეპარა.

სუნდუკიანცი ხიდია ქართველ და სომებ მშრომელთა შორის. ჩვენი მშრომელი ხალხისათვის ის მუდამ ძვირფასი იქნება, როგორც სოლიდარობის მასწავლებელი და იმის „პეპოს“ ჯერ კიდევ დიდხანს ექნება ჩვენი ხალხისათვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ა. ცაგარელი გაგრძელებაა გ. ერისთავისა. მისი პიესები სურათებია, ქართული ცხოვრებიდან ამოღებული.

ერთგვარი დეკადანი წარჩინებული წოდების ცხოვრებაში მას უფრო მკაფიოთა აქვს ასახული და კომიკური მდგომარეობათა შექმნით, მას ეხერხება გამოწვევა იმ მხიარული, გულიანი სიცილისა, რაც მშრომელი ხალხისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ნერვიული ენერგიის ასაღენად.

იმერეთის ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მემატიანე კლდიაშვილია.

კლდიაშვილი იმერეთის გოგოლია.

კლდიაშვილის შემოქმედებას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენი მშრომელი ხალხისათვის.

კლდიაშვილსა აქვს გასაოცარი მხატვრული განსკვრეტა-შეგრძნობა მომავალისა. კლდიაშვილის შემოქმედება ყავარჯენია მშრომელი ხალხისათვის, მისი სრული გამარჯვების მხატვრული წინასწარმეტყველება.

კლდიაშვილსა აქვს განსაკუთრებული იუმორი და ყველივე ეს დიდი ღირსებით ამკობს მის პიესებს.

კლდიაშვილი და ნინოშვილი ერთმანეთის დამატებაა.

კლდიაშვილს ეხერხება ცოცხალი სურათების ზედმიწევნით გაღმოცემა. მის ნიჭის დიდი დაკვირვება ახასიათებს.

ნინოშვილს ეხერხება სინტეზი, საზოგადოება. ნინოშვილი ახალი ცხოვრების წინამორბედია, რევოლიუციის მებაირალტრე. დაბლა წოდებრივი ურთიერთობის და ახალი ფორმები საზოგადოებრივი ცხოვრებისა—აი რას გვიჩვენებს მისი შემოქმედება.

სასცენოთ გადაკეთება მისი მოთხოვნებისა უსათუოდ შეადგენს ირეთელის ღირსებას და „ქრისტინე“ და „სოფლის გმირები“ დიდხანს იქნებიან სახალხო სცენაზე.

რამიშვილი მეტად ნაყოფიერი და დაკვირვებული დრამატურგია.

რეალიზმი, ცხოვრების სინამდვილის გამოსახვა მისი თვისებაა.

ის მეტად ჩუმი, წყნარი, თავდაბალი მუშაკია, რომელიც უკვირდება, კვალ და კვალ მისდევს ცხოვრებას და რასაც ახალს დაინახავს, მხატვრულ, სურათებში აყალიბებს.

ცხოვრების ცოდნის გარდა იმის პიესებს აქვთ ზნეობრივ აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

დამაფიქრებელ სურათებთან ერთად მას აღვილად ეხერხება სასაცოლო მდგომარეობათა აკინძვაც, რაც ფრიად საჭიროა განსაკუთრებით სახლხო სცენისათვის.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ რამიშვილი ჩვენი სახლხო სცენის ბურჯია და მის პიესებს: „მეზობლებს“, „დედინაცვალს“, „სტუმარ-მასპინძლობას“, „სალომეს ოჯახს“, „ჭკუა მხიარულს“ და „შეშლილებს“ მუდამ დიდის ურადლებით ეპყრობა ჩვენი მშრომელი ხალხი.

ჩვენს მშრომელ ხალხს დიდი მონაწილეობა მიუძღვის სარევალუციო მოძრაობასა და ბრძოლაში.

ამ ბრძოლის სურათების გადატანა სცენაზე მეტად საჭირო იყო მშრომელი ხალხისათვის. ეს დიდი საქმე იკისრეს ირეთელმა და ს. გედევანიშვილმა.

პირველის გვიხატავს პარტიულ ბრძოლას, მაგრამ მას აკლია სილრმე ფსიხოლოგიური ანალიზისა და ზნეობრივი ენერგიის სიძლიერე.

ეს ნაკლი შევსებულია გედევანიშვილის „მსხვერპლსა“ და „გამცემში“. ზნეობრივი სიძლიერე მშრომელი ხალხისა აქ მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ხალხისათვის ამ პიესებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

ია ეკალაძე საქმაოდ ცნობილი და დამსახურებული მწერალია.

მხატვრული ზომიერება, ტემპერამენტი და ჩეალიზმის თვისება.

ამავე თვისებებით დაჯილდოვებულია მისი პიესა № 21+ და მშრომელი ხალხის იდეიურად აღმზრდის საქმეში ია ეკალაძის პიესას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შიუკაშვილი ერთბაშად, მოულოდნელად გამოცხადდა ჩვენს სცენაზე და ერთის დაკვრით მოიხვეჭა სახელი ნიჭიერი დრამატურგისა.

ცხოვრებისა და აღამიანის სულში ლრმად ჩახედვა — აი რა ახასიათებს შიუკაშვილის შემოქმედებას.

საჭირ-ბოროტო საკითხების გაშუქება. თავისებური შეხედულება, მოუსვენარი სული, შეუქერებელი ძიება, შიუკაშვილის პიესების თვისებას შეადგენს და საერთოდ შიუკაშვილს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალხისათვის.

შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობა უმთავრესად სახალხოა.

არც ერთი კუთხე არ მოიპოვება ჩვენი სამშობლოსი ისეთი, რომელიც შალვა დადიანს არ მოევლოს და სახალხო წარმოდგენები არ გაემართოს.

შალვა დადიანის ლიტერატურული მოღვაწეობაც უმთავრესად სახალხოა იმ მნიშვნელობით, რომ იმის პიესებს მიზნათ უფრო მშრომელი ხალხი ჰყავს დასახული.

ზოგჯერ შეხვდებით შიგ გადაჭირდებულს ტენდენციას, მაგრამ საერთოდ ცხოვრების სინამდვილის ხატვა, კეთილშობილი მისწრაფება, ცხოვ-

რების მოვლენათა შეფასება ზნეობრივის თვალთახედვით და ბუნებრივი იუმორი მისი პიესების ღირსებას შეაღენენ და მშრომელის ხალხის რეპერტუარში მათ დიდხან ეკავებათ საპატარ აღაგი.

გერგესელი სულ ახალგაზრდა მწერალია. მისი ნიჭი მრავალ ფეროვანია, მაგრამ მისი მიღრეკილება უფრო დრამატიული ხელოვნებისაკენ არის.

ცოტა ხანია რაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, მაგრამ იმის პიესებს უტყუარი დალი აზის ნიჭიერი, და დაკვირვებული მწერლისა.

გერგესელი სულიერი განწყობილებათა მხატვარია.

მას განსაკუთრებით იზიდავს ადამიანის სულის მოძრაობა სხვადასხვა მდგომარეობაში.

ამ მხრივ მისი უკანასკნელი პიესა „დამზრალი წალკოტი“ განსაკუთრებით საყურადღებოა.

ავტორი აქ ჩეხოვს გვაგონებს თავისებური სულიერი განწყობილებებით.

ავტორი ღრმად ჩასწვდა ადამიანის სულს და დაგვანახა რთული სულიერი დრამა მთელი რიგი პერსონაჟებისა.

ავტორი იმდენად გატაცებულია სულის მოძრაობით, რომ მოქმედებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

მოქმედების განვითარებაში ავტორი ძუნწია.

რთული მოძრაობა სულისა იშლება მოდუნებულ და სუსტი მოქმედების არეში.

მშრომელ ხალხს კი მოქმედება უყვარს, მოქმედებას ეძებს ის, მოქმედება მისთვის აუცილებელია როგორც ცხოვრებაში ისე სცენაზე.

ამ ნაკლს გერგესელი ადვილად დააღწევს თავს და ჩვენს რეპერტუარს დიდ ნაბიჯი, ვაადგმევინებს წინ.

ნინო ნაკაშიძის პიესები კვნესად კეთილშობილი გულისა. ცხოვრების სიდუხჭირათ და უსამართლობით გამოწვეული.

მშრომელი ხალხისათვის ბევრი დამატიქრებელი სურათებია შიგა და საგულისხმო აზრი.

რაც შეეხება უცხო დრამატურგებს, მათ უნდა მივუდგეთ ისეთივე საზომით, როგორც ეროვნულს. ყოველივე, რაც ხელს შეუწყობს მშრომელი ხალხის განვითარებას, ესტეტიურ აღზრდას და დახარჯული ენერგიას აღდგენას, საჭიროა და სასარგებლო.

სახალხო დრამატიული დასი ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში აწვდიდა. მშრომელ ხალხს მოლიერს, შილლერს, ჰაუპტმანს, გორკის, ანდრეევს, გოგოლს, ასტროვსკის, სერვანტეს, იბსენს და სხვ.

უველა ეს ისეთი სახელებია, რომლებიც შეაღგენენ ყოველი სცენის, სიამაყესადა მშეენებას. შილლერის „ყაჩაღებს“, მოლიერის „ტარტიუფს“, იბსენის „შტოკმანსა“ და „საზოგადოების დედაბოძნისას“, გოგოლის „რევიზორს“ სწორეთ მშრომელი ხალხისათვისა აქვს უაღრესად აღმზრდელობითი მნიშვნელობა.



გიორგი ერისთავი



აქ. ცაგარელი



შურზდუკიანცი



ა. ვაჟაბეგი



ან. ფურცელაძე



გ. გურნია



დ. კლადიაშვილი



ტ. რამიშვილი



ი. გეღევანიშვილი

დრამატურგები, რომელთა პიესები იდგმებოდა სახალხო თეატრში.

შშრომელ ხალხს ანვითარებს მათი შემოქმედება, თვალებს უხელს, აწვდის საზოგადოებრივ იღებს, უსახავს მაღალ იღეალებს და ასწავლის. შრძოლას ამ იღეალებისათვის.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო კრცლად წარმოდგენა უცხოეთის დრამატურგებისა, მაგრამ იმ პირობებში, როგორშიაც მიმდინარეობდა ქართული სახალხო დრამატიული დასის მძიმე მოღვაწეობა, მეტის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო.

დრამატიული დასი მოკლებული იყო ტეხნიკურ და ქონებრივ საშუალებას, თამაშობდენ უმეტესად სცენის მოყვარენი, რომლებიც თავისი კერძო საქმეებითა და სამუშაოთი იყვნენ დატვირთული.

დრამატიულ დასს წინ ელობებოდა მრავალი დაბრკოლება; მიუხედავალ ამისა ის გატაცებით, თავგანწირულად ემსახურებოდა თავის წმინდა საქმეს და სწამდა, რომ მომავალი მისი იყო.

დიდ ლირსებას ქართული სახალხო დრამატიული დასისას ისიც შეაღგენს, რომ მან ეროვნულ შემოქმედებას გაუხსნა ფართო ასპარეზი და არა ერთი და ორი ნიჭი აღმოაჩინა, გაუკავა გზა და გაფურჩქნა.

თავისი რეპერტუარით სახალხო დრამატიულმა დასმა მარტო შშრომელი, მდაბიო ხალხის განვითარებასა და ესტეტიურად აღზრდას კი არ შეუწყო ხელი, არამედ ქართული დრამატიული ხელოვნების განვითარება-საც და მანვე მისცა ერთგვარი მიმართულება ქართულ დრამატიულ ხელოვნებას.

### შალვა დადიანი.

### ქართული დრამა სახალხო სახლში.

ამ საქმეს თავისი საპატიო წარსული აქვს, ლამაზი ისტორია უანგარო თავდადებისა, ზიჭიერი აღსრულებისა და ზოგჯერ მაღალი, მხატვრული შემოქმედებისა.

მან თითქო თავისი განკერძოებული რეპერტუარიც შეიმუშავა და აგერ თითქმის 30 წელიწადია მას აწარმოებს.

„მეზობლები“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „მსხვერპლი“, „იმედის დაღუპვა“ და სხვ.

თქვენ იგრძნობთ, რომ ამ რეპერტუარს აქვს თავისი გარკვეული ხაზი.

იმავე დროს ამ პიესებს ჰყავს სახალხო სახლში თავისი ნიჭიერი შემსრულებლები, მთელი კადრი მსახიობთა, რომელთაც შესისხლხორცებული აქვთ. ასეთი რეპერტუარი.

მე მიყვარს ასეთი ამბავი: რადგან ეს საქმის გამაგრებაა, ეს ერთგვარი მხატვრული შენობის აგებაა, საკუთარი ფიზიონომიის გამოსახვაა.

და სწორედ ამისთვის არის საპატიო სახალხო სახლის ქართული დრამის წარსული. მან შესძლო საკუთარი სახის გამოჩენა.

ეს სახე საჭიროც იყო უთუოდ თავის დროზე.

ჰაერში რევოლუციის სული—საერთო ცხოვრების მასშტაბით, აუდიტორიაში აჯანყებული გრძნობანი მუშებისა და სკენაზე ხსენებული რეპერტუარი, ტენდენციური და განგებ შერჩეული—საპროტესტო, „ბუნტარი“ შემსრულებელნი თვით, მუშები და ინტელიგენცია—იდეოლოგნი მუშათა განთავისუფლების მომხიბლავი მოძღვრებისა. ყოველ შემთხვევაში არა პროფესიონალი ხელმძღვინელნი და მტვირთველნი საქმისა.

აი მთელი მორგვი წარსულისა.

მორგვი საპატიო მუშტათ მოღერებული.

და ეს მუშტი დგას თეატრის კარებთან.

იქ ვერ შევა როსტანი მაგალითათ, ვერ იბოგინებს სარდუ და ბერნ-შტეინი, ვერც ჩვენი დავით ერისთავი, ვალ. გუნია და სხვა ასეთი „მეოსტორიენი“.

მხოლოდ „ლალატი“ ზოგჯერ, წამლად, დიდის მოკრძალებით და დიდი აწონ-დაწონის შემდეგ.

უსათუოდ თავის სახე ჰქონდა სახალხო სახლის ქართულ დრამას.

მაგრამ აი მოვიდა დიდი რევოლუცია და ფერი გაუმკრთალა ბევრ რასმეს: სხვათა შორის ხსენებულ რეპერტუარსაც. „ბუნტარი“ აუდიტორია თვით მოექცა ცხოვრების სათავეში. თეატრში სულ სხვა ელემენტმა იწყო სიარული. ჩინეთის უმოძრაობამ იჩინა თავი და დადგა გადატეხის ხანა..

სახალხო სახლის ქართული დრამა დღესდღეობით გზა-ჯვარედინზე დგას. მის წინ ზღაპრული ბოძი დგას ზედ-წარწერით: „თუ ამ ბოძს გადა-აცილე, დალუპვა მოგელისო“.

ჩინეთის უმოძრაობამ არ უნდა შეაჩეროს იგი ამ ბოძთან. მას უნდა ეყოს ხალისი, რომ იმავ ზღაპრის სარდალივით ძირიან-ფესვიანათ ამოილოს: ეს ბოძი და წინ წამდლვაროს უსაზღვროებისაკენ. „რუბიკონი გადალახული იქმნება“.

ეს არის რა?

ჯერ გარევნული მხარე: დასი უნდა იყოს ამ სახლში ამიერიდან უსათუოდ პროფესიონალი, ე. ი. თვით დღევანდელი შემადგენლობა უნდა მოცლილი იყოს მარტო ამ საქმისათვის და რალა თქმა უნდა უზრუნველყო-ყოფილი.

ამ შემადგენლობას უსათუოდ უნდა შეეზარდოს ახალი ძალები, გაიწვრნან და ამაღლდენ მხატვრულ შემოქმედებამდე.

რეპერტუარი უნდა გაიშალოს და გალრმავდეს.

ამ სახლშიაც თეატრმა უნდა მოიპოვოს. თავისი თავი:

თეატრი უნდა იყვეს. თეატრი—ხალისიანი და მზიური დღევანდელი ევროპიული შეგნებით.

მაშასადამე მრავალფეროვანება უნდა იქმნეს აქაც გამოტანებული..

უწინარეს ყოვლისა უნდა კვლავ გავიხსენოთ იბსენის დევიზი, რომ სინა ეროვნულ დრამატურგიაშია. იმავე დროს უნდა ამ თეატრშიაც კარგა

გამაგრდეს დიდი ევროპიული პროექტორი—მოლიერი და შექსპირი—ეს მუდამ ხალისიანი და მზიური ავტორები.

გზა? გზა დრამატურგიას უნდა მივანებოთ, საითაც ის წავა, ჩვენ კი აღარ უნდა ვიქმნეთ კარ-ჩაკეტილნი. ერთი კია, ეს გზა იქმნება ძიებისა, რადგან, როგორც ყველგან, ჩვენი დრამატურგიაც დღეს-დღეობით ძიებაშია.

პირადი მოსაზრება ამ უამად და ამ თეატრისათვის მე უფრო ოკლურ ხაზებისაკენ მახრევინებს სასწორს, რადგანაც მე მგონია ჩვენს დრამატურგიას ჯერ სრულიად არ ამოუწურავს სრული შესაძლოება ამ გეზით ქართული ცხოვრებისა, მაგრამ, ვიმეორებ, კარჩაკეტილნი არ უნდა ვრცოთ.

ყველა აქ მოყვანილ მოსაზრებათა განხორციელების ნიშნები უკვე გამოსჩანს ამ სეზონშიაც; ახალი პიესები, ახალი ძალები. მაგრამ ჯერ კი-დევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი და მიმდინარე სეზონმა თუ თავისი მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც პატარა მისია—საქმის თავის მობმისა, შეასრულა ისიც დიდი გამარჯვება იქმნება. საქმე მომავალია. და ესეც უნდა ითქვას აქ განზრახულ საქმიანობას რამდენიმე სეზონი უნდა კალაპოტში ჩასადგომათ. მის განმტკიცებას დიდი გარჯა, დიდი ენერგია, ნიჭი და ნივთიერი ღონე უნდა.

ეს უკანასკნელი უნდა გამოიძებნოს. მთავრობამ ამ თეატრსაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. მუშების და საერთოდ ხალხის მიერ შექმნილი საქმე, როდესაც თვით ხალხი განაგებს თავის თავს, არასოდეს არ უნდა ჩააყენოს მეორე რიგში და მისი მძლავრი ხელი უნდა მიაშველოს ახალ გზაზე მლკიცე ნაბიჯის გადასადგმელად.

ამ მცირე მოხაზულში რაც თქმულია თუ თანდათანობით, ურყევის. გულ-მოდგინეობით გაკეთდება, მაშინ სახალხო სახლის ქართული დრამაც ავა იმ სიმაღლეზე, რომლის ღირსი ის უთუოდ არის და რომლის შეძლებაც მას აუცილებლათ მოეპოვება.

#### ტ. რამიშვილი.

### ჩ ე მ ი მ თ გ თ ნ ე ბ ა

ვინაიდან სცენაზე მოღვაწეობის უზომო სურვილი მქონდა, ერთმა კარგმა ნაცნობმა წამიყვანა 1900 წელს ავჭალის აუდიტორიაში, სადაც: გავიცანი ჯწ განსვენებული მარიამ დემურიასი, რეჟისორი კოტე შათირაშვილი, ერემია გულისაშვილი და სხვანი.

როდესაც გაიგეს ჩემი მიზანი ძლიერ ესიამოვნათ. „ორია აბოლის“ რეპეტიციებს გადიოდნენ. კ. შათირაშვილმა პიკარის როლი ჩამაბარა. მეც სიხარულით ავიღე როლი და მეორე დღიდან უკვე შევებისაქმეში. მაგრამ ორმა-სამმა რეპეტიციამ ნათელჲყო ჩემი ამ დარგში უჲარ-

გისობა და ჩემი თხოვნისამებრ კოტემ გამანთავისუფლა ამ ტანჯვეისაგან, და როლი გადასცა მსახიობ შაქრო საფაროვს.

ეს იყო და ეს. მას მერე მსახიობობა ფიქრათაც არ მომსვლია, გადა-  
ვიკარგე და დროებით მივეფარე იმათ თვალთაგან.

1901 წელს დავით თანამშრომლობა გაზეთ „ივერიაში“ საცა დაიბეჭდა ჩემი ახალი მოთხოვობა. 1904 წელს დავამთავრე პიესა „მეზობლები“, რომელიც იმავე წლის შემოდგომაზე მგონი სექტემბერში ფელეტონებათ დაიბეჭდა იმავე გაზეთში. დიდი თეატრის მაშინდელმა მესვეურებმა პიესა უყოყმანოთ შეიტანეს რეპერტუარში.

ჩემს პირველ დრამატიულ ნაწარმოებს იშვიათი თანაგრძობით შეხვდა ჩვენი სიამაყე—არტისტი ვასო აბაშიძე, რომელმაც თავს იღვა პიესის დადგმა.

მალე ცენზურშიაც გაატარა. თითქმის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ იქ გამეცებულ უკულმართობის გამო ძვირფასი ვასოს გეგმები ჩაიშალა და პიესა არ დადგმულა. 1905 წელს გაზაფხულზე და იმავე წლის შემოდგომაზე „მეზობლები დაიღვა ცნობილ მსახიობ დრამატურგის ვალიკო გუნიას პროტეკციით ორ დიდ თეატრში სახაზინოში და არტისტიულში. ის იყო და ეს, მის მერე არც ერთი ჩემი პიესა (გარდა „საბედისწერო დამბაჩისა“) რომელიც რაღაც მარცხათ წარმოადგინეს თავად-აზნ. თეატრში) არ გაიკარეს. 1905 წლის შემოდგომაზე „მეზობლებით“ სეზონი გახსნეს სახალხო რეპინის გზის თეატრში და მას მერე როგორც „მეზობლები“ ისე სხვებიც მათი რეპერტუარიდან არ ამოშლილა, რითაც გადაიქცა სახალხო სახლი ჩემ მშობლიურ ბუდეთ — და სამლოცველოდ. ის გულწრფელი თანა-გრძნობა, რომლითაც შემხვდნენ იქ დაუვიწყარია ჩემთვის და კუბოს კარამადე მეყოფა ნუგეშათ და სიხარულათ. ერთი სიტყვით მეც ისე ფართოთ გამიღეს კარები, ისე ვით ამ ჟამად ახალგაზრდა მწერალს ნ. გერგესელს. და თუ ეხ-ლა რაიმე ღირებულებას წარმოვადგენ როგორც დრამატურგი ეს შედეგია სა-ყვარელ სახალხოელთა ჩემდამი თბილი მოპყრობის. დიდათ ვარ, დიდათ დავა-ლებული, რომელი ერთი ჩამოვთვალო, არტისტები თუ რეჟისორნი. რა და-მავიწყებს სახალხო სახლის მშვენებას უნიჭიერეს ნიკო გლუცირიძეს, ჩემი „გრუმენებსკის“ და სხვა მრავალ ტიპთა სამაგალითოთ გამსახიერებულს, ან სოსო რომანიშვილს, მიხეილ ჭიათურელს, კ. ხასანაშვილს, ვ, ნინიძეს, ალ. მეტრაველს და სხვ. რა დამავიწყებს რეჟისორთა კოტე შათირიშვილს ალიოშა წუწუნავას — და შალვა დადიანს. თუ ესენი არ მყოლოდენ ვინ დამიდგამდა „მეზობლებს“, „საბედისწერო დამბაჩას“, სტუმარ-მასპინძლობას“, „ჭკუა მხიარულს“ და სხვა. მიუხედავათ იმისა რომ სახალხოელთა ღვაწლი მეტად დიდია მშრომელი ხალხის მიმართ, მაინც არ შემიძლია არ ავლნიშნო დეფექტები, რომელიც ზოგჯერ მხატრულ მხარებს ძლიერ ხელს უშლიდა. ამის თავიდან ჩაცილებლად ჩემის ღრმა რწმენით საჭიროა მომავალში მაინც დასის შემადგენლობა და მისი მუშაობა მკვიდრი ნიადაგზე დადგას და შეიქნეს პროფესიონალური მსახიობთა დასი კარგი

რეუისორით და რეპერტუარით. ხელოვნება ქვეყნად ერთია. ნაწარმოებში უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძებდეთ ხელოვნებას და როცა მას აღმოვაჩენთ, მაშინ იგი ერთნაირად მისაღებია რობორც აკადემიური თეატრისათვის, ისე სახალხო სცენისათვისაც. ჩემი გულწრფელი სურვილია, სახალხო სახლი გადაიქცეს მეორე აკადემიურ თეატრათ.

## 5. გერგესელი.

### უღელტესილზე.

ქართველი ერის სულის ენერგია მუდამ მოძრავი—დაუდგრომელია.

არც ერთი წუთი მისი მოდუნებისა.

მისი შემომქმედი ბუნება მსრბოლავი სტიკიურობის სახეობაა.

ხასიათები: სიმკვირცხლე, სინაზე. მზეზე ცელქაობა. სიყვარული, და აფთარი სიძულვილიც. და სხვა მრავალი.

კაცობრიობის უსაზღვრო სივრცეში ბევრი პალიასტომის ტბებია, და მის დამშრალ გულზე ხავს მოკიდებული ლოდები, გადაცრეცილი წარწერებით—სიმბოლოები მრავალ პატია ერთა გარდაცვალებისა.

კანონები: შერჩევის, შეგულების, ბრძოლა არსებობისთვის, მარტო ორგანიულობას არ ახასიათებს. უსაზღვრო კოსმოსის გულის სილრმეში სადაც დაუდგრომელი და შეუწყვეტილი ქარტეხილებია, მეორდება კანონები, რასათა სახეობის შენარჩუნების, შერჩევა—შეგუებანი და დალუპვა,—გადარჩენისა.

და ასეთი ჭიდილის ორონში, ამაყად და მკვიდრად დგას საქართველოს რასიულობის ცოცხილი ქანდაკი.

მის მარადიულ ყოფნის კრისტალზე მიმოქრიან მსუბუქი ატომები, მაგრამ კრისტალი იგი, ვერ იტანს აღრევას, ის თავისებური სახეობისაა მისი ფენიური წყობა თვით არის წარმტაცი მოზაიკა—ორიგინალობაში შლილი.

ყოველი მოვლენა, რომელიც ქმნის მოძრაობას, სახავს და აყალიბებს სიახლეს, დაწყება ამისა მომდინარეობს სილრმიდან, საძირკვლებიდან.

ჩვენ არ ვიცით ზედაპირობა, და ვაი მათ ვინც წუთით იზეიმებს ანარეკლით.

დიახ, ძირითადობით, და მერე მრავალფეროვნება შატკბობელი..

ხალხის ნებისყოფა, მისით შენება—აი, გამძლეობა და საღ სისხლიანი ძარღვი ჩვენი კულტურისა.

და ეს არის დიადობა უჩველო, რომ „შერჩევა—შეგუებამ“ ვერ შეგვიქანა სიმკვიდრე.

და ამ სიმკვიდრის კრისტალში ბუნებრივ შედუღებით, ორიგინალობით სდგას სახალხო თეატრი.

მე ვსთქვი: ულელტეხილი.

გამართლება: 30 წლის ჩამოქნილი სახე, და მიჯნის იქით ახალის ღასაწყისი.

ვიცით რომ ჩვენი გრძნობა გაფაქიზდა, გასათუთდა და თუ ესთე-თიურად გაგების მეთოდიკა ყალბი იქნება, მაშინ შეიძლება ოცდა ათი წლის საერთო ეტაპთა სერიებში მრავალი გამოხედვა ფერმკრთალად გვეჩვენოს.

მაგრამ არის საზომი: საერთო გამოხედვა.

და აქ, ქართული სახალხო თეატრი ნათელ სიამაყით სდგას.

ეს თეატრი ოცდა ათი წლის სარბიელზე უმთავრეს სამს რეზონს ქმნიდა.

შემდეგი: ენა. წინსვლის სული, და როგორც ხელის შემწყობი ფა-ქტორი საერთო ქართულ სათეატრო ხელოვნების აღორძინებისა.

ასეთის განსაზღვრებში მრავალი დეტალებია, და თუ ზოგჯერ იყო უსიმეტრიობა ეს უმნიშვნელოა.

ითქმება: იშვა სიტყვა და საქმე მისალები და ლირსეული.

მაგრამ კიდევ: რაც არსებობდა და ეხლაც არსებობს უნდა იქნეს მუ-დამ ღასაყრდნობი საუკეთესო მერმისისა.

და სახალხო თეატრს უცილოდ ულიმის მერმისი. მას ამის უფლება აქვს ისტორიულად და ამის გარკვეულობა უნდა შექმნას დღეს, წარსუ-ლის დღესასწაულის ულელტეხილზე.

სახალხო თეატრის მომქმედი სახეები მომავალში უნდა გაიხვეწოს, ჩამოიქნას, დალამაზდეს.

მის წინ სდგას პრობლემა: ახალი სიცოცხლე.

დარჩება ტრადიციად: მუდამ ყოფნა იდეური.

ეს მცნება სახალხო სახლის კარებზე არ წაიშლება.

ქართულ ხელოვნებაში დღეს ბევრი პრობლემები ამოიწვერენ.

ჯაღისეულობა სტილიზაციისა. მრავალ ინტუიციას გადახრის და ვინ უწყს ბრანდესის თქმით: უსისხლო არტერიები შეგვრჩეს, მიუხედავად იმი-სა, რომ იქნება ძახილი „პოეზია“.

სახალხო სახლის ქართული დრამა ვერ ივლის მოლიპული გზით, ის, როგორც წარსულში, ისე მომავალშიც იქნება პირმშო თავის ეპოქათა სულისა.

მუდამ მრწამსად: იდეა, სალი იდეოლოგია, და ასეთ შინაარსისთვის ლამაზი სამკაულები.

და ეს სამკაულები 30 წლის განმავლობაში სახალხო თეატრმა გაცვითა.

საჭიროა ახალი.

განსახიერება განახლებული პათოსებით, — მოუღალავი ტემპერამენტით.

განკვრეტით, დაუძალებელი ლვთიური მაღლით ასახვა ერის შინაგან მოძრაობის. სრულქმნა და ხორცმებმული ტიპიურობა — ის გზა ქართულ დრა-მატურგიის.

სიტყვის მაგიით წვა, სტილიური განსახება, ტიპთა განცდით ატირება და გაცინება აუდიტორიისა,—აი ვალი მსახიობისა.

მხატრული ფერადები, ლაშაზი სურათები,—მოქმედებათა არისა,—აი ვალი რეჟისურისა.

და აქ ბუნებრივად იშვის სიყვარული თეატრისადმი აუდიტორიისა.

ცხოვრება ხალხის სულში, შემოქმედება მისი სევდა-სიხარულით —აი ჭეშმარიტება და სისწორე ხელოვნებისა.

აქ არის გამარჯვება ყოველ მხრივი.

და ეს იქნება ჩვენი თეატრის მეორე დიდი ხანა, და მის შესაქმნელად საჭიროა რწმენა ფოლადოვანი, სიყვარული ვნებით გამთბარი.

## ელო ანდრონიკაშვილი.

### ავტალის აუდიტორია

(მოგონება)

პირველად 1899 წ. ავტალის აუდიტორიაში განსვენებულმა მარიამ ღემურიამ გამომიყვანა, რომელთანაც ვცხოვრობდი. ჩვენი მახლობელი იყო და ჩემს დასთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. ნატო გაბუნიას მონაწილეობით რაღაც საბავშო პიესა იდგმებოდა, გლეხის დედაკაცის როლი მათა-მაშეს და ნატომ დიდი ქება შემასხა—მაშო, შენმა გაზდამ ამ ქალს ნიჭიაქვს, ჩვენებურს პიესებში ითამაშოს“. აქედგან დაწყებული, სწორედ დიდი სიამოვნებით ვიღებდი მონაწილეობას.

ჩვენ ყველა იქ მომუშავენი რაღაც იდეალური გატაცებით ვემსახურებოდით. მე და განსვენებული თამრო ქუჩუკაშვილი ვიყავით ძლიერ და-ახლოვებული და მახსოვს როგორ საოცნებოდ გვეხატებოდა ხალხისთვის შუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელმოკლეობას განიცდიდა, მაინც სულით და გულით მიეშურებოდა მასაც შეეტანა თავისი წვლილი.

ჩვენი დიდი თანხა მახსოვს მაშინ 23 მანეთი იყო ხოლმე. ასეთი შემოსაფალი დიდი ბეღნიერება იყო, ვიტყოდით: „დიდი შემოსავალია“. გამბედაობაც დიდი გვჭირდებოდა მახსოვს, ილია ჭავჭავაძის სალამო გა-გმართეთ ნიკო ლომაზურს უნდა წაეკითხა ლექცია დარბაზი ხალხით გაჭედილია, მაგრამ არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. აეწიეთ ფარდა. ილიას სურათი გამოჩნდა. ჩვენ გარშემო შემოხვეულნი გაიძაოდენ—„აბა თუ, ბიჭები ხართ, დაიწყეთ!.. არ გვინდა!.. ძირს, ძირს!“ და ატყდა საშინელი ურიამული არ ვიცი მგონი ლასხიშვილი იყო თუ ზურაბიშვილი, იმათ რომ დასამშვიდებელი სიტყვა არ ეთქვათ, თავსში გვესროდნენ რასმეს.

და აი, ასე ბრძოლით გაჭირვებით, წვიმაში და ქარიშხალში ფეხით დავიარებოდით—მაგ. მე პირადათ რუსთაველის პროსპ. ნაძალადევს, რკინის გზის თეატრში, ავლაბარში და ხან ორთაჭალაში.

ჩვენი საპირფარეშო სველი და დაობებული კედლებისგან შესდგებოდა.

მაინც რამდენი ნეტარებაა ჩაქსოვილი, ამ პირველ ნაბიჯებში, პირველ გათვითცნობიერების გზაზე სვლაში!..

ეს ჩემთვის დაუვიწყარია.

ექვსი წელიწადი უმუშაობდი ავჭალის აუდიტორიაში, ვასრულებლი მოხუცის როლებს.

იქიდგან ქუთაისს მიმიწვიეს და მას შემდეგ კი დიდ სცენაზე ვასრულებლი—მოზარდ და ახალგაზრდა კომიკურ—დრამატიული როლებს.

დღეს სახალხო სახლს ხელოვნების დროშა დიდ სიმაღლეზე უჭირავს, იმედია უფრო ფართე ნაბიჯებით წავა წინ და არ დაივიწყებს თავის კარიბჯეზე ოქროს ასოებით აღბეჭდავს ავჭალის აუდიტორიას და იქ თავ-დადებულ მუშაკთ.

### გ. გარსიაშვილი.

## პ რ მ ვ ი ლ ე მ ი

(30 გაზაფხულისთვის)

გველის წივილი... სიბნელე... ქარი

ცრემლები... დენა ნიაღვარების—

მუნჯი ქანება... მგზავრობა ჩქარი...

ავი ძახილი ათასგვარების...

მოციქულობა ტრიბუნის ღმერთის:

ჩამონგრეული ქოხის, ჩონჩხები—

ზღვაში დალუპვა გემი „იმედის“,

ლოთი „ქრისტინე“ს ხორცის ძონები...

და ოცდაათი გაზაფხულისთვის—

სალომეიას ვნების ფრაგმენტი:

ოჳ! „მე გაკოცებ იოქანაან!“—

აქ თუ ვიხილე ლედი მაკბეტი...



நினை நாயகாமுர்தி.



ஸ். ராமானா.



சி. சாமுகாமுர்தி.



ஸி. சிவகுமார்த்தி



அ. கௌமாரன்துவல்.



பி. ராமன்.



வி. வெங்கடேசன்.



ஓ. காந்தன்முர்த்தி



எ. ராகவேந்தர்.

ஏற்றுமாதுமுருங்கேள்வி, நூழ்தொ கீழைஷோ ஒட்டுமேஷன்லா ஸாக்ஷால்கூ தொத்துஷி.

## გრ. საქარიქედელი

### სახალხო თეატრი.

სახალხო სახლის ისტორია იმ ზომ მდიდარი და შინაარსიანია, რომ მისი ჩამოთვლა მეტად ძნელია პატარა და ნაქარებათ დაწერილ წერილში.

ჩვენ მხოლოდ ზოგადათ ავლნიშნავთ და ვიტყვით, რომ კახალხო სახლს მაშინ ჩაეყარა საძირკველი, როცა ფართო მასისათვის თეატრი აკრძალულ ხილათ იყო აღიარებული; ეს ის დრო იყო, როცა ბიუროკრატიას თეატრი და საერთოდ ხელოვნება თავის საკუთარ გეგემონიათ მიაჩნდა; ის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ თეატრი, ეს მეცნიერების და კულტურის წმინდა ტაძარი მშრომელი ხალხისთვის სრულიად ზედმეტი ბარგი იყო; ეს ის დრო იყო, როცა ჩოხა—ახალუხიანებს და საერთოდ ყარაჩოლელებს სახაზინო თეატრში არ უშვებდენ; (მახსოვს ერთხელ როგორ გამოაბუზურეს სახაზინო თეატრიდან „უგალუსტუკო“ ბლუზაში ჩაცმული ტუშა).

სწორედ ასეთ დროს მოევლინა სახალხო სახლი მალაშოთ ტფილისის მშრომელ ხალხს.

თვითონ სახელწოდება—სახალხო მოწმობს, რომ აქ ფართო შასას უნდა ჰქონოდა თავისი სულიერი საზრდოს სავანე, და შეიძლება თამამად ითქვას, რომ სახალხო სახლმა გაამართლა თავისი დანიშნულება: 30 წლის განმავლობაში მის კედლებში მართლაც ხალხური სული ტრიალებდა; მან შეასრულა არა თუ მარტო თეატრის დანიშნულება არამედ სკოლისაც, რადგანაც მას ჰქონდა ერთგვარი აღმზრდელობითი ზეგავლენა ტფილისის მუშათა კლასზე; ამ ხნის განმავლობაში მისი აუდიტორიისათვის სახალხო სახლი წარმოადგენდა სუფთა სარკეს, რომლის საშუალებითაც გაეცნო მუშათა კლასი ისეთ მახინჯ სახეებს, რომელთა „საქმენი საგმირონი“ ყოველ დღიურ ცხოვრებას უწამლავდა მას; აქვე გაეცვნენ ისინი ამ მახინჯ „გმირების“ წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, ჩვენი ისტორიულ მოღვაწეთა ეროვნულ სულისკეთებას...!

დიახ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სახალხო თეატრს დიდი ღვაწლი მიუძლვის ტფილისის მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობაში და ეროვნულ შემეცნების განვითარებაში, და სახალხო სახლის არსებობის 30-წლის თავზე არ შეიძლება არ გავისწენოთ ყოველივე ეს და არ უთხრათ ამ სახლის მოღვაწეთ:

— მაღლობა, დიდი მაღლობა, ეროვნული გრძნობით და რევოლუციონური აღმაფრენით აღსავსე მაღლობა იმ თავდადებულ და უანგარო მოღვაწეობისათვის, რომელიც თქვენ მიგიძლვის ტფილისის მუშათა კლასის განვითარების საქმეში..—განაგრძეთ კვლავ ეკლიანი გზით სიარული, მომავლშიაც ხელი შეუწყეთ სახალხო სახლის ეროვნულ ნიადაგის განმტკიცებას, რადგანაც დღესაც ბურუსით არის მოცილი ჩვენი ეროვნულ ცხოვრება...

მაგრამ მარტო ამ მხრივ არ განიზომება სახალხო სახლის დიადი სამსახური: აქ აღიზარდნენ, გაიფურჩქნენ, გაიწვრთვნენ ბევრი ჩვენი საუკეთესო მსახიობი; განსაკუთრებით ამ მხრივ, უკანასკნელ დროს უფრო ნაყოფიერება ეტყობა სახალხო სახლს ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ა. ხორავას დიდი წინმსვლელობა, გერგესელი, რომელმაც თავის ნიჭიერათ დაწერილ პიესებით საგრძნობლად ამოავსო ჩვენი დრამატურგიის ნაკლი.

დღევანდელი სახალხო დასის ენერგიული და კეთილშობილური მუშაობა თავდებია იმისი, რომ ბოლომდე დაცულ იქნება სახალხო სახლის ტრადიცია და ისტორიული ღვაწლი, საჭიროა მხოლოდ ერთსულოვნური შეთანხმებული და ჰარმონიული მუშაობა და ამ დიად სადღესასწაულო დღეს ჩვენ უსურვებთ სახალხო სახლს, მის დასს წარმატებას და კვლავ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ეროვნული თეატრის და ხელოვნების ასაყვავებლად და საკეთილდღეოთ.

## ი. იმედაშვილი.

### ხალხური თეატრი

განგებ ვხმარობ ასეთ გამოთქმას:

ხალხური და არა სახალხო.

ასეთ თეატრს ოცდა ათის წლის პირველ საფეხურზე ჩაეყარა საძირკველი ჩვენში, თვით ხალხისაგან, ხალხური მისწრაფებით, ხალხური ხელოვნებით, ხალხური შეგნებით.

\* \*

ყოველმხრივ კარჩაკეტილმა ქართველის სულიერმა მისწრაფებამ გასულ საუკუნებში განსაკუთრებით ქართულ თეატრში ნახა გამოსავალი.

მშობლიური სიტყვა, მშობლიური ძარღვი საკუთარი გულის თქმა, საზოგადოებრივი მრწამსი, შვენიერებისა და სიყვარულის ღვთაების ჩოგანი უმთავრესად ქართული მელპომენის ტაძარში გამოინაქვთა.

დიდი, და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველმა თეატრმა ჩვენის ქვეყნის ეროვნულ—საზოგადოებრივ გათვითცნობიერებას:

დაბალი და მაღალი წოდება ურთიერთისგან გამიჯნული იყო. ხალხოსანთა ხმა გამოძახილს ვერ ჰპოვებდა, ხმა ზოგიერთ ინტელიგენცის კეთილი სურვილი საკუთარ კაბინეტის ზღურბლ ვერ სცილდებოდა.

და ამ გულციობით მოცულ ხანაში, მწერლობაზე უფრო მაღლა წინსვლის კანდელი ქართლ თეატრს ეჭირა.

და ამ თეატრმა მაინც ხალხის გულში მეორედ შობის ნივთიერი ცეცხლის ნაპერწყალი გადისროლა.

ტფილისის უბნებში შესდგა პატარ-პატარა ჯგუფები შინაურ წარმოდგენები გასამართვად.

ერთი ასეთი ამხანაგობა შევადგინეთ, ჩვენც—სახელოსნო სკოლის მოწაფე, მუშა-ხელოსნებმა. ამ ამხანაგობამ თვის საქმიანობას უფრო იდეური მხარე მიცა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ხელში ჩაიგდო ავჭალის ქუჩაზე ხორველობის ღროს (1892 წელს) აშენებული საჩივი აუდიტორია. სკოლა მოაწყო და 1863 წ. ხალხური პიესით („რაც გინახავს—ველარ ნახავ“) უფასო წარმოდგენას დასდგმით. შემდეგ შაურიანი.

წრემ თავისი ბეჯითი მუშაობით დემოკრატიულ ინტელიგენციის-ყურადღება მიიპყრო. ზოგიერთი მათგანი მუშა-ხელოსანთა წრეს შეუერთდა, მასთან დაიწყო მუშაობა.

მუშა-ხელოსნები და ინტელიგენტები თანდისთან ურთიერთს ექსლოვებოდენ.

ავჭალის ქუჩის აუდიტორიაში მკვიდრი ნიადაგი ჩაეყარა ხალხურ წარმოდგენებს. მუშები და ინტელიგენტები ურთიერთს ეჯიბრებოდენ პატიოსანი შრომით ხალხის სასიკეთოდ. აქ შემუშავდა განსაკუთრებული სახეგვარი ხალხური მსახიობ-მოღვაწისა.

მაგონდება, სხვათა შორის, ერთი ამბავი.

ნაძალადევში გრ. ჩარკვიანის თაოსნობით საზაფხულო სკოლა გაიმართა. წარმოდგენის გასამართვად ჩვენ მიგვიწვია. წარმოდგენის ღროს, ჯახანი შემომესმა. გავიწედე—ფიცრის მესერი გადაენგრივნა ხალხს. გადანგრეულ მესერზე გრ. ჩარკვიანი იდგა, გარს ხალხი შემოხვეოდა მუშტებით.

უცებ გადავხტი, გრ. ჩარკვიანს ავეფარე. რამდენიმე მუშტი და ველური გამოხედვა დამეისრა. გააფთრებული ხალხი თვალებიდან ცეცხლს აკეთებდა.

— შენ ეკლესიის აშენებას შეგვპირდი, თუ გასარყვნელ სახლისა... და სწვდენ. ჩავერიე:

— ძმებო, ესეც ახალი დროის ეკლესია, ვისაც არ უნდა—ნუ მოვა... ჩვენ ხომ ძმები, თქვენი შვილები...

და რა ვიცი, რა ვსთქვი. ჩაერივნენ სხვებიც. როგორც იყო, აქოთქოთებულ ხალხი დამშვიდდა

წარმოდგენის შემდეგ კმაყოფილებით დაიშალნენ:

— კარგი ყოფილა („და-ძმა“ მიდიოდა), მაგრამ მაინც უეკლესიობა არ გვარებს.

ეს იყო ამ 25 წლის წინად.

რა რიგ გაიზარდა ჩვენი ხალხი!

და ეს ჰქმნა ხალხურმა თეატრმა.

\* \*

ჩვენმა ქართულმა თეატრმა, თუ ქართული შემეცნება გააძლიერა, უროვნულ თვითვინაობის ღროშა ააფრიალა, ხალხურმა თეატრმა ჩვენი მდაბიო ხალხის თვისთავის ცნობას, გაადამიანებას მუჯლუგუნი ჰქოა. აქ,

ემ წმინდა ტაძარში იკრეფდა თავს საქართველოს ყოველი კუთხის შვილები წალი და კაცი, დიდი და პატარა, ისე რომელიც, გულითაც რომ სდომოდა, დიდ თეატრს ვერ იხილავდა.

და, აი, ამ შესვენების დროს მასაში იღვიძებდა ერთი აზრი, ერთი რწმენა—სული კეთილი, ადამიანური გრძნობა, დაბლა მხოხავ სულიერიდან ზეკაცდებოდა, მაღლდებოდა, აქ გაისმოდა ძლიერი ზარი ეროვნულ ხალხალხოსნურ მთლიანობისა, სიყვარულისა...

ეს იყო ხალხური თეატრი.

იქნება ზოგჯერ წარმოდგენები ვერ იყო ისე ხელოვნურად დადგმული, მაგრამ იგი იყო ყოველთვის ხალხური, ხალხის შვილთაგან შექმნილი, ხალხურის სახეებით ამეტყველებული, უმაღლესი სიყვარულით გამობარი...

ეს იყო, რომ ხალხს ახალი ცხოვრებისაკენ მისწრაფების გზას უშუქებდა.

დღევანდელი იუბილე სახალხო თეატრის არსებობის 30 წლის შესრულებისა იმავე დროს იუბილეა თვით ჩვენი ხალხის გაზრდა თვითცნობიერებისა.

30 წლის წინად ავჭალის აუდიტორიაში აგიზმიაზებული ცეცხლითანდათან გაძლიერდა, იგი გადვიდა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, ნაძალადევში, ავლაბარში, ვერაზე და სხ.

მართალია, სახალხო თეატრის ასპარეზი ასე გაფართოვდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სავსებით ვერ არის ხალხური.

ყველაზე უფრო მეტად ხალხური თეატრი ვერ იტანს სიყალბეს, მეტორცს.

ამიტომაც ხალხური თეატრში მუდამ ადგილი უნდა ჰქონდეს მაღალ ხელოვნურ სახიობას, ხალხის ყოფა-ცხოვრების დასურათ ხატებასა და ხელოვნურ ჩარჩოებში ჩამოყალიბებულ, საკაცობრიო-საზოგადოებრივ მიზნი-საკენ მისწრაფებას.

და ვისაც გულწრფელად უყვარს და სწამს ხალხური თეატრი, ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ ხალხის ყოველი მაღალ ნიჭიერი შვილი აქა ჰქონდებდეს თავისი განვითარების სახსარს, აქ ეწაფებოდეს ხალხი უკვდავების წყაროს—წმინდა ხელოვნებას!

## შალვა გომართელი.

### ქ ვ ლ ი ლ ე ბ ი რ ი ნ დ ა

(სახალხო სახლის 30 წლის იუბილე).

სიძლიერის სიმბოლომ ამირანმა დიდი გაჭირვებით დააღწია თავი წარმართთა ბრძოს.

ლამით დასტოვა მათი ქვეყანა და გაემართა აღმოსავლეთისკენ...

სიმშილისაგან ლონე მიხდილს გზაში ესიზმრა: რომ წასულიყო გზა  
უხვევლად, პირდაპირ.

გამამხნევებულს სიზმრის ნახვით ლონე შეექატდა... და უსვენებლივ  
გადიარა მთები მრავალი...

ერთ ზღვის ნაპირას გადასწყვიტა მუდმივ იქ ყოფა...

უდაბნოს გავდა ის ქვეყანა და თვით ზღვის პირიც...

ხალხი ნახევრად ველურები ერთმანეთს ჰამდენ...

და ამირანის დანახვაზე ცას დაეწიონენ, რომ ღმერთმა ზეცით მოუ-  
კლინა მსუქანი ლუქმა...

მაგრამ ძლიერი ამირანი ვით ვეფხვი მათში, თავისი რკინის მუსკუ-  
ლებით ისე გაცოფდა, რომ ველურების სამფლობელო მის ფერხთ დაეცა...

შეიქნა მეფედ ამირანი ახალი ქვეყნის...

და ველურებში შეიტანა წესიერება...

პატარა მხარე მოკლე დროში ბალად აქცია... შექმნა ცხოვრება, სი-  
ყვარული და გამტანობა... მაგრამ...

მეზობლად მოთარეშე ურდოთა გროვამ, კეკლუცად მორთულ სახელ-  
შწიფოს შურით შეხედა...

და...

შავ-ბნელ ლამეს ამირანი კლდეზე მიაბეს...

მორთული კუთხე დაანგრიეს, გააცამტვერეს...

დრო გადიოდა ურდოები აქცევდენ მხარეს...

სისხლით მორწყულს და ოფლით მოწყობილს...

ალარსად სჩანდა თავდადებით მისი დამცველი, ხშირად შვილები  
აწამებდენ საკუთარ გამზღველს...

და ამირანი ისე მაგრად მიჯაჭვეს მტრებმა რომ დაბრუნება ალა-  
ვის ეგონა. მისი...

მაგრამ...

დაჩაგრულ ხალხის მკერდზე კვლავი იშვა ძალა, რომლის ნექტარი სამ  
ათეულ წლების მინდორზე დღესაც ამშვენებს ამირანის ძველსა სამყაროს.

# სახალხო თეატრის მუშაკთა წერილები.

ვ. ჯაბაური.

## 30 წლის შესრულებისას

სახალხო თეატრის ირგვლივ მუშაობა ეს ხანგრძლივ ტანჯვა წვალების ნაყოფია.

მისი ისტორია ფართო და დიდ მნიშვნელოვანია.

სახალხო თეატრი თბილისის სხვადასხვა უბნების ცალკ-ცალკე მუშაობის ერთი მთლიანი შედეგია:

ჯერ კიდევ მისი არსებობა პირველ ხანებში, არალეგალურ ხასიათს ატარებდა. მერე საშუალო ჩამოყალიბებული სახე ავჭალის აუდიტორიაში მიიღო.

პირველ დაწყებასაც და თითქმის უკანასკნელამდის სახალხო თეატრის მუშაკები არაფერს იღებდენ.

მათ აკავშირებდათ იდეია და რწმენა დიადი მერმისისა.

მახსოვს: ბევრი გულნატკენი და უიმედო წასულა ჩვენგან დარწმუნებულნი, რომ არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიდექით. გვწამდა მომავალი.

და ასეთი პირები, რომლებიც დაბრკოლებას არ უშინდებოდენ დღეს ბევრი არიან ცოცხლები და სიამით უცქერიან თუ, როგორი ნაყოფი გამოიღო მათ მიერ დარგულმა ხემ.

დღეს მისი 30 წლის შესრულების დიადია დღეა.

ზე მაგონდება ბევრი გარდაცვლილ მოღვაწეთა სახეები და ვსწუხვარ, რომ ისინი ვერ დაესწრენ სახალხო თეატრის დღემდინ მოსვლას.

მე მწამს, რომ მომავალში სახალხო თეატრი უფრო მტკიცედ შეინარჩუნებს თავის სახეს და მით წარსულ წელთა საამაყდ იარსებებს.

სცენა მიუდგომელი მსაჯულია. მის გულზე ყველაფერი აშკარად სჩანს.

და მე მინდა ეს სკოლა იყოს უკვდავი და მარადიული, რომ მომავალი თაობის სული გაენათებიოს ღვთაებრივი სხივებით.

თეატრი იგივე ხალხის ცხოვრებაა და მისგან გაქცევა გაქცევაა საკუთარ ცხოვრებიდანაც.

და ამ ოცდაათი წლის. საზღვარზე, მე, როგორც ძველი მეგობარი და მემატიინე სახალხო თეატრის მთრთოლვარე გულით სალამს უძღვნი მას.

და ყოველი ძალა, რომელიც მის ირგვლივ, მოვა და სასიცოცხლოდ

ამოძრავდებიან მე სიხარულით ვეტყვი „ის ურჩევნია მამულსა შვილი, რომ  
სჯობდეს მამასა“.

სოფიო რომანიშვილი დგებუაძისა.

### მ ო გ ო ნ ი ბ ა.

მაგონდება...

მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა ნაგრძნობი ამ ქვეყნიური ოხვრა და  
წუხილი.

ბავშვი ვიყავ—მოწაფე და მზისკენ მივიწევდი, მისკენ ვილტოდი-  
ვგრძნობდი, მზის სხივებში ყველაფერი ოცნება იყო. სინამდვილეში:  
სევდა და მწუხარება...

ვიზრდებოდი ლალად და რავდენადაც ჩემი განცდა ფართოვდება,  
იმდენად ვალად ვთვლიდი ჩემს თავს მზის გადაღმაც გადამეხედნა და ჩემ  
მიერ უხვად აკრეფილი შემეცნების მძივები—სხვისთვისაც, მაშვრალთა  
თვისაც მეწილადებინა.

გამოუცდელი ყოველდღიურობაში ვეძებდი გასაქანს ჩემი ზრახვების  
დასაქმაყოფილებლად, გამოცდილ მასწავლებელთა დახმარებით საქვირაო  
მუშათა სკოლაში, საღაც შეძლებისდაგვარად ვცდილობდი ჩემი წვლილიც  
შემეტანა საერთო მუშაობაში.

არ მასვენებდა ფიქრი ფართო მასაში შესვლის და იქ ძლიერი კულ-  
ტურის ჩირალნის ანთება—მშობლიურ მიწა-წყალს მოშორებულს, საზღვარ-  
გარეთ ჯერ რუსეთში და შემდეგ გებრმანეთში და ხშირად ოცნებაშ-  
წარმომიდგებოდა ხოლმე ჩემი პიროვნეა საქართველოში, კულტუროსან  
საქართველოში.

და მრწამდა, რომ ეს შესაძლებელია, თუ კი ყველა ცოდნით აღჭურ-  
ვილი ქართველი მიზნათ დაისახავს სამშობლოში დაბრუნებისას კულტურის  
მოციქულობას...

ვოცნებობდი და მსურდა იმდენა ძალა მქონოდა, რომ ჩემი სამშო-  
ბლოს ერთ კუთხეთში მაინც მომეწყო თეატრი—ხალხის სულის ასამაღლე-  
ბლად, და სხვა მრავალი კულტურული დაწესებულებანი.

და ასეთი ზრახვებით მოვეშურებოდი, მშობლიურ კერისკენ, და უსა-  
ზღვრო ოცნება სინამდვილეში სახალხო თეატრში შემოირკალა.

1901 წელი—ეს თარიღია, ჩემი თავდავიწყებითი ჩაბმის სათეატრო  
საქმეში.

ჯერ კიდევ 1899 წელს საზაფხულოთ ჩამოსულმა საზღვარ-გარეთი-  
დან გავიცანი პატივცემული მარიამ დემურიასი და მისი ტკბილი, მომხიბ-  
ლელი ალერსიანი თქმა საკმარისი იყო, რომ ჩემი მომავალი საბოლოოდ  
გადანასკვნოდა სახალხო თეატრის იდეას.

მაგონდება წმინდა დარბაზები: „კითხვათა საზოგადოება“, სახალხო უნივერსიტეტი“, „სიცხიზლის საზოგადოება“, აგჭალის აუდიტორია“, „რკინის-გზის თეატრი“. .

აქ იყო დასვენება, აღტაცება და კმაყოფილება განცდის.

ხალხის ბედნიერება—ოცნებაა და ჩემს ახალბაზდურ გატაცებასაც ახსოვს მწარე დღეები და წყევლა-კრუკვა მშობლების მხრივ, მათი ზრახვათა გაცურების მიზეზით გამოწევეული. ფიქტობდენ ისინი ჩემი ცოდნის გამოყენებას, როგორც ექიმის შემოსავლიანობას და მაღალ წრესთან დახლივების და არა იმ „ვიღაც ტურტლიანი—მურიანი მუშებთან“ დაკავშირებას, როგორც იხსენიებდა დედა ჩემი მათ, ჩემდა გასაჯავრებლად.

დედის ვაებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც ჩემს ასეთ „თავ-აშვებულობაში ჩემს ძმას სოსოსაც მონაწილეობა მივაღებინე.

„შენ ხომ ჩემთვის მკვდარი ხარ უკვე და რას მემართლები: ეს ბიჭი რაღად დამაკარგვინეო“—ჰგოდებდა დედა, ურჩი შვილების გაუბედურებაზე.

მაგრამ თავდავიწყება შორს მიღიოდა და რეპეტიციაც კი ჩემს მშობლებს მათ საკუთარ სახლში გაუმართე.

მზადდებოდა „გაცრუებული იმედები“ აზიანისა. დედა ჩემი მუორე ოთახიდან უსმენდა ამ „უბედურებას“.

ვთამაშობდი სონიას როლს და ნატო გაბუნია-ცაგარლისა კი დედის როლს. რეპეტიციის გათავებისას და მონაწილეთა წასვლისას, დედა ჩემის რისხვას არ ჰქონდა საზღვარი.

— „შენ მე დამცინი, შენ დააწერინე ეგ პიესა ჩემზე, მევე მაყურებინებ და ახლა სახელხოდ სცენაზედაც უნდა გამამასხარაო“—სტიროდა დედა დაკარგულ შვილებს.

მაგრამ დროს თავის კანონები აქვს და თავდადებული მოღვაწეთა მეოხებით ფეხსევი გაიღგა სახალხო თეატრმა, დიდებით და პატივით შეიმოსა შრომა მისი.

და დღეს 30 წლისა, ჩვენი დრამა—სახალხო სახლში...

მაგონდება წარსული, სიცივე და შავი დღეები...

მაგონდება და როდესაც უცქერი მის 30 წლის ვაჟკაცს, ამაყად მომავლისკენ მზირალს—მიხარიან მისი ჯანსაღობა, მისი სიმდიდრე, მისი სიკეკლუცე! და ეხლაც წარსულისამებრ ერთი რამ მენატრება: მენახოს ჩვენი მშობლიური სახალხო თეატრი და მისი ქართული დრამა დასალტული, ახალი ხელოვნების ქნარით ხელში, ახალ სიმღერებით ამღერებული.

მაგონდება წარსული და—მრწამს სახალხო თეატრის ქართულ დრამის სიღიადე.



კოტე შათირიშვალი



ა. წუწუნავა



ნ. გოცირიძე



შ. დადიანი



ბ. მლივანი



ჭ. შარაშიძე

სახალხო თეატრის ყოფილი ჩეუისორები.

ნ. ჭანკვატაძე:

## გახსენება იუბილესთვის

ჩვენი სახალხო თეატრის დასაბამი იწყება სწორეთ იქიდან საიდანაც მემატიანე დაიწყებს წერის საქართველოში მუშათა მოძრაობის დასაწყისისას; ჯერ მაშინაც-კი როდესაც თვითმყრობელობის რუსეთი წარმოადგენდა „დაულეველ სევდას“ და ჩაკლული იყო ყოველივე პროგრესიული, — აქ თბილისში, მუშათა უბანში, მუშათა შორის, სდგება წრე სახალხო წარმო-დგენებრი გასამართავად, განიცდის რა მრავალ დაბრკოლებებს, რჩება უძლევი და იღებს ოფიციალურ სახეს. სახელოვან ავჭალის აუდიტორიაში დაიგუგუნა მან.

ავჭალის აუდიტორია შესცვალა სახალხო სახლმა, „წრე“ დავაუკაცდა დაუშრეტელი ენერგიით ემსახურება სახალხო სცენას, ყალიბდება „სახალ-ხო წარმოდგენების მმართველ წრეთ“ იქრეფს ირგვლივ მოწინავე მუშების ინტერესებს. სახალხო თეატრის ბედი ისმება დღიური საკითხათ.

მართლა და რა წარმტაცი, რა უმშენიერესი იყო სახალხო სახლის დარბაზი: მუშა—მსახიობები, მუშათა აუდიტორია, მხატვრული გამარჯვება და დროს შეფარდებით რევოლუციონური რეპერტუარი და ეს მაშინ, როდესაც ჩატვირთვია ზეიმობდა, შებოჭილი იყო თავისუფალი სიტყვა. თავისუფალი მოქმედობა. სახალხო თეატრი ამ დროს იყო დასვენება, სულის ნექტარი ოდნავი სიამის.

მე მაშინ გული მატკინა „სახელმწიფო სათათბირო“-ს წევრმა, კადეტმა მაკლაკოვმა, რომელიც იმ უამაღ თბილისში ლექციებს კითხულობდა. — მაკლაკოვი ესტუმრა სახალხო სახლს. იმ სალამოს მიღიღოდა, საყვარელ შალვას მონაწილეობით, პ. ერვის დრამა „ბრჭყალები“ და რა წაიკითხა აფიშაში „თარგმანი ფრანგულიდან“ თავისუფალი გაკვირდა და სთქვა. „ნუ თუ ქართველებს ფრანგულიდან ნათარგმნი პიესებიც გაქვთო“!!?, —

უბედურმა არ იცოდა, რომ მოლიერი, შილლერი მორიგ წარმოდგენებში იდგმეოდა და გოგოლის „რევიზორს“ ვსდგავდით ისეთი მხატვრულის მიღწევით, რომ რუსული დრამის მსახიობნი განცვიფრებაში მოღიოდნენ, როდესაც მაკლაკოვს გავიცანით თუ ვინ არიან გამსახიერებელნი და მსმენელნი, — ჩატიქრდა, არ ელოდა.

უსაფუძვლო არ იყო მისი ჩატიქრება, „წრე“ ზრდიდა სცენაზე მუშა-შესახიობ-რევოლუციონერებს და დარბაზში-კი ბარიკადებზე მებრძოლთ.

და აქ იკვეთებოდა ის ახალი სიტყვა — ხმალი რომელიც მესაფლავეთ ვაჟხდა მონარხს.

სახალხო სახლმა მოგვცა ტრიბუნები, ალზარდა მუშა-მსახიობები, რეჟისორები, მოქარნახენი, აამეტყველა პროვინცია, შეჭმნა თვისი რეპერტუარი, — დრამატურგია, რომელსაც აგვირგვინებს სახალხო სცენას ჩვენი ჭალარა ტრიფონი და დღეს ჩვენი სატრაფიალო სახალხო სცენის ვ0 წლის თავის ზეიმი საუკეთესო ნიშანია იმისი, რომ ის სცოცხლობდა სცოცხლობს და მომავალშიაც განახლებული ისევ იცოცხლებს ამაყი, დადრადი.

ନ୍ୟାମିଳି

հ. Հոծով.

ନୂତନ ପାଇଁ ଏ ପ୍ରେରଣେ ମୁଦ୍ରାବଳୀ

დაახლოებით თექვსმეტი წლისა ვიყავი, როდესაც მე და განსვენებულ-ბებია ჩემ-შორის დიდი განხეთქილება მოხდა. ის მე ბრალსა მდებდა თითქმს, მის ზანდუქში, ჩურჩხელებს არ უსვენებდი, ხან ერთი წყვილს მოვპარავდი და ხან ორს, მაგრამ ყველა ამ შეურაცყოფას ადვილად ვიტანდი, სანამ არ გაკაღნისრდა და ჯიბიდან ნახევარი ჩურჩხელა არ ამომაცალა, რის შემდეგაც ჩვენ შორის დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყდა, და საქმე გადაეცა საშინაო კომისიის გადასაწყვეტად. კომისიაში შედიოდენ: დედაჩემი, მამაჩემი, ბაბუაჩემი და თვით ბებიაჩემიც შეიყვანეს, რისთვისაც მე საპროტესტო ნოტით მივმართე კომისიის თავმჯდომარე—ბაბუაჩემს და მოვითხოვდი ბებიაჩემის კომისიიდან გაძევებას, როგორც დაინტერებულ პირისას, მაგრამ მიუხედავად ჩემი ასეთი განცხადების მიუხედავად დედა ჩემის—გრძელი რეჩისა, ბებია ჩემი მაინც დარჩა კომისიაში და ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ დედა ჩემისა (მამიდამ თავი შეიყავა) გადამიწყვიტეს გურიის საზღვრებიდან გაძევება და თბილისში გადმოსახლება. გადაწყვეტილება; მალე სისრულეში მოიყვანეს და ერთ მშვენიერს დღეს თბილისის ქალაქში ამოვყავი თავი. აქ მე გავიცანი ჩემსამებრ გადმოსახლებულები, ორ მათგანს ერთი ოთახი ეჭირად მეც შეუერთდი და დიდხანს ვცხოვრობდით ერთად. დავდიოდით თეატრებში, ვკითხულობდით წიგნებს. ერთ ღამეს ერთმა ამხანაგთაგანმა მოიტანა „ცხოვრების სარკე“ საღაც მოთავსებული იყო დამსახურებულ მსახიობ ვ. აბაშიძის წერილი. იქ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, რომ უნდა შეისწავლო: სხვადასხვა საკრავზე დაკვრა, ცეკვა, სიმღერა, ჭიდაობა, იარაღის ხმარება და ყველა ის რაც აუცილებელია სცენისათვის. მეც არ დავყოყნე და შეუდექი მზადებას, ვინაიდან დიდი სურვილი მქონდა სცენაზე გამოსვლისა და დიდებულ მსახიობად გახდომასა. ჩემდა საბედნიეროდ ნიჭი შესაფერი აღმომაჩნდა და რაღაც სამი თვის განმავლობაში შევისწავლე მშვენივრად, „ფორთოფიანზე“ დაკვრა, თამამად შემიძლია ვთქვა: როდესაც მე უკრავდი იმ სახლში სამას კაცს, რომ სძინებოდა ყველას გავალვიძებდი. შევისწავლე აგრეთვე იარაღის ხმარებაც, განსაკუთრებით ხმალს შესანიშნავად ვიღებდი ქარქაშიდან თუ დაუანგული არიყო. ეგრობიული ცეკვა, ბერეთვე კავკასიურიც—ლეკური, ჩანური, შამილია, ბალდადური და სხვა. რისთვისაც ნათლო-

ბა-ქორწილებში ხშირად მპატიუებდენ როგორც საუცხოვო მოცეკვავეს. ერთხელ ქორწილში „პოლკამაზურკი“ს ცეკვის დროს მხოლოდ სამჯერ წა-ვიბორძიკე და ორჯერ წავიქეცი, და ხანჯლებით თამაშის დროს მხოლოდ ერთხელ და ისიც ორი ვერშოკის სიგრძეზე ვიკარი ხანჯლის წვერი ბარ-კალში. ასე და ამრიგად შევისწავლე დაკვრა, ცეკვა, სიმღერა, დარტყმა, იარაღის ჭმარება, ჭიდაობა, არშიყობა, სწორი სიარული, ხელების კანკალი, თვალების ბრიალი, წარბების მაღლა აჭიმვა, ფეხების გაჭიმვა, დავასრულე კურსი და შეუდექი სცენაზე მოღვაწეობას. პირველად გამოველი არაქსიანის თეატრში ავლაბარში, მიღიოდა „გაძარცული ფოსტა“ მე ვთამაშობდი ფოსტა-ლიონს, რომელსაც ყაჩაღი დაცემა და მოკელავს. ვერწარმოიდგენთ რა შეუდარებელი ვიყავი ამ როლში. ჩემს გამოსვლაზე ვამბობ: „აბა მოიტა ლუდი“ როლი სულ ზეპირად ვიცოდი ერთი სიტყვაც კი არ შემშლია და, როგორც კარგი და გამოცდილი მსახიობი ისე დავიძახე: „აბა მოიტა ლუდი“ ვიმეორებ ერთი სიტყვაც-კი არ შემშლია, ხომ შესაძლებელი იყო რომ „აბა“ს. მაგივრად „ბაბა“ მეთქვა და ლუდის ნაცვლად „ბლუდი“, მაგრამ არც ერთი და არც მეორე მე ვსთქვი ის რაც ეწერა პიესაში, სიტყვა სიტყვით „აბა! მოიტა ლუდი“ და არა „ბაბა მოიტა ბლუდი“. დიახ, მე ამას ისტორიული დოკუმენტით დავამტკიცებ. ახლა მინდა მოგახსენოთ თუ, როგორ მოვკვდი მე. მე ხომ ყაჩაღი მკლავს დანით. (შოპარი) შოპარს სალაყაია თამაშობდა. ჯერ შოპარი სცენაზე არც კი დაუნახავს. მაყურებელ საზოგადოებას გამოსული, რომ მე კულისებში შევნიშნე ამოღებული დანით ხელში და ის იყო. გამოექანა ჩემქენ დანის ჩასაცემად, შავრამ. აბა რას მომასწრებდა, მე მაშინვე დაგბარბაცდი, შევტორტმანდი, წავიქეცი და გარგა ხნის შემდეგ ჩამკრა დანა. აქაც უტყუარი ნიჭი ხელოვნებისა, და დიდი შეგნება ტიპის განსახიერებასა. მეორედ გამოვედი ვ. გუნიას „დ-მა“ში ვთამაშობდი I-ლტყვეს. ვართ ყველანი საკანში სასიკვდილოდ განწირულნი, ფარდის ახდისას ლაპარაკობს ჩვენი პატარა ბატონი გაიოზი, მას უპასუხებს ტყვე „ბაბუა“ და ბაბუას ვეკამათები მე. ოჰ, რა სიამოვნებას ვგრძნობ, როდესაც მაგონ-დება მაშინდელი ნათამაში როლი, ლმერთო, როგორი სხაპასხუპით მივა-ყარე სიტყვები: „მაშ რაგონია ბაბუა! შენა გონია ვაჟკაცისათვის აღეილია-მტერხ დანებდეს და თავი ნაჯახსავით ბატკანს გაუშვიროს“.

დიახ, ასეთი მომენტები მქონდა მაშინ როდესაც პირველად მოღვა-წეობა დავიწყე სახალხო სცენაზე, ეს იყო ქრისტეს დამადებამდე 1904 წელს და მას მერე შეუსვენებლივ ვემსახურები სახალხო სცენას. არ დარჩენილა პიესაში არც ერთი ლაქია არც ერთი სტოროვი და შვეიცარი, რომ მე არ მეთამაშოს. ეს გარემოება რა თქმა უნდა არ გამოეპარ ჩვენს რეჟისორებს და ყველანი სცდილობდენ, როგორმე ჩემი გულის მოგებას, და თავის დასში გადაყვანას; მოსკოვიდან განსაკუთრებით ჩამოვიდა ჩემს. წასაყვანად ცნობილი იუჟინი—სუმბათაშვილი, მაგრამ მას წინ აღუდგა მარჯანიშვილი, ახმეტელი, შ. დადიანი, ქორელი, ფალავა, კოწო ანდრო-ნიკაშვილი და გამარჯვება თბილელ რეჟისორებს დარჩა. მერე პყარეს კენ-

ში, და შალვა დადიანს ვერგე წილში, მანაც გადამიყვანა სახალხო სახლში, დამნიშნა ახალ ამპლუაზე და მათამაშებს მუნჯის როლებს. აქ მე ზოგიერთი თანამშრომლები მიწევენ კონკურენციას, მაგრამ ვერ მივართვი. ახლა ოცდაათი წელიწადი უსრულდება სახალხო სახლის არსებობას, იმედია კვლავ მივიღებ მუნჯის როლს და მით მიეცემა მოზღვავებულ საზოგადოებას საშვალება ესტეტიურად დატკბობისა.

### 3. ბუთლიაშვილი.

### მოგონება.

— 1901 წელს ზაფხულში ავჭალის აუდიტორიის სცენის-მოყვარეთა წრემ წარმოდგენა გამართა ავლაბარში, მაშინდელ თბილისის პოლკის ყაზარმაში ჯარის-კაცთათვის, საღაც მიწევეულნი იყვნენ. წარმოდგინეს „ჯერ-დაიხოცნენ მერე იქორწინეს“. ოსეფას როლს ასრულებდა ნ. გოცირიძე, ელისაბედისას — აწ განსვენებული ს. ციციშვილის ქალი; მე ოსეფას მოსამსახურეს ვასრულებდი. ნასაღილევის, ასე რ საათი იქნებოდა რომ მ. დემურიას სახლიდან საღაც შევიკრიბენით ეტლებით წავედით ავლაბარში, ჩვენთანვე იყო მ. დემურია. მისვლისას შევედით იმ დარბაზში საღაც წარმოდგენა უნდა გამართულიყო, ეს იყო ჯარის-კაცთა სასაღილო დარბაზი, რომელშიც სცენა არ იყო. მე განცვიფრებული ვიცეირებოდი და ვფიქრობდი: ნეტა სად უნდა გამართულიყო წარმოდგენა: ვნახოთ, რამოდენიმე წნის შემდეგ ჯარის-კაცებმა ხელად დარბაზის ერთს მხარეს კედელთან რომელსაც ორი კარი ჰქონდა მეორე ოთახში გასავალი, მიაწყეს სასაღილო მაგიდები ერთი-მეორეს და ამნაირად შეკრეს ესტრადა. მაგიდები ბორშის წვენისაგან ჯერ ისევ სველი იყო: თითო გრძელი მაგიდაც ირიბათ გააწყეს, ერთი ერთ კარისკენ და მეორეც მეორისკენ. ეს იყო შესავალი, ერთი ოსეფას სახლში, და შეორე ელისაბედის. არც ფარდა, არც დეკორაციები. უკან ოთახში მოვემზადენით. დარბაზში შემოიყვანეს ჯარის-კაცნი და შებინდებისას წარმოდგენა დაიწყო. წარმოდგენის ნახვით ჯარის-კაცნი აღტაცებულნი იყვნენ, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გათავდა წარმოდგენა და ჩვენც ნასიამოვნები წამოვედით. განსაკუთრებით აღტაცებული იყო მ. დემურია, რომლის მარად მოღიმარე და აღერსიანი სახე ყოველთვის თვალწინ მიდგას.

### გორისელი.

### სახალხო თეატრი.

ოცდა ათი წლის იუბილე!

სახალხო თეატრის იუბილე არ არის ჩვეულებრივი ზეიმი. მისი შინაარსი დიდია და განუზომელი.

ვინც თვალყურს აღევნების ჩვენი ეროვნული კულტურის წინსვლას, ვინც ხელოვნების სიყვარულით არის ათრთოლებული და ვისაც გული შესტკივა ხალხის ესთეთიურად აღზრდისთვის, მან უკველად იცის სახალხო თეატრი და მისი როლი.

სახალხო თეატრში 30 წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ ისმოდა-ლოცვა ხელოვნების ტრაქტის წინ, ღალადისი მელპომენისადმი ეროვნულ, მშობლიურ ჰანგებით.

და განა მარტო ეს?

სახალხო თეატრის კედლებს რუსეთის რევოლიუციის დაჩქარებაში ახალ-ახალი ნაკადი შექმნდა.

სახალხო თეატრის სცენა იყო ტრაბუნა საღაც რევოლიუციონური პიესები სხვა სათაურით კონტრაბანდათ ტარდებოდა და მუშა მსახიობნი მოუწოდებდნენ რეაქციის წინააღმდეგ.

სახალხო თეატრს, სხვადასხვა კულტურული მუშაობის სახით თავს აფარებდენ მოწინავე რევოლიუციონერები.

სახალხო სახლი 30 წელიწადი არწევდა რევოლიუციის აკვანს.

განა შეიძლება ამ პატარა წერილით სახალხო სახლის მნიშვნელობის ამოწურვა?

და ვინ მოსთვლის რამდენი გაჭირვება უგემიათ იმ დაულალავ მუშაკებს, რომელთა ნაწილი დღეს აღარ არის, ხოლო უმცირესობა კი თმა შევერცხლილი ფარვანასავით დასტრიალებს, სახალხო თეატრს და მათი უკანასკნელი სურვილია მათი კუბო სახალხო სახლიდან გაიტანონ.

სახალხო თეატრმა შექმნა უკვდავი სახეები: ნიკო გოცირიძე, ა. წუწუნავა და სხვა ბევრი ახალგაზრდა მსახიობნი, რომელნიც დღეს აკადე-მიურ დრამას ამშვენებენ.

შესრულდა 30 წელიწადი დღიდან ქართული სახალხო წარმოდგენების დაწყებისა. ამ ოცდაათი წლის განმავლობაში სახალხო სახლს ქონდა განვითარების მრავალი ეტაპები და ჩვენ მოხარული უნდა ვიყოთ რომ იუბილეების თავზე ეს განვითარება უმაღლეს წერტილს აღწევს. უკელამ უნდა იცოდეს ისიც, რომ ამ ორი წლის განმავლობაში სახალხო სახლის შენაგან ცხოვრებაში მოხდა საგრძნობი გარდატეხა, რომელიც გამარჯვებით დამთავრდა.

ამაზე ბევრი დაიწერა. აქ არ განვიმეორებ.

ვიტყვი მხოლოდ: რომ ერთ წერტილზე გაჩერება. ყინავს ყველაფერს, ამიტომ საჭირო იყო განახლების სიო; მან დაუბერა და დროებით შეჩერებული სახალხო სახლის მაჯა კვლავ იამუშავა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს. რომ 30 წლის იუბილე იქნება მიჯნა ახალსა და ძველს შორის.

ჩვენი დევიზი: ახალი ხელოვნებისაკენ! ამას ყველა ჩვენგანი შესტრიფის.

კ. განელი.

## თალაიანი ფურცლები.

მარიამ დემურია

სახალხო თეატრს აქვს თავისი წმინდა პანთეონი, სადაც მდუმარე სახით ასევნია წმინდა—სულები.

მწარე და ამაცრემლებელია მოგონება.

თვალშინ მიღას პირველი მოღვაწე ქალი.

ვამბობ პირველი, რაღაც ის თავისი არა ჩვეულებრივი გატაცებით პირველია სახალხო თეატრის ისტორიაში.

ეს არის მარიამ დემურიას ასული.

ადამიანის მოღვაწეობის მთავარი საზომი ერთია.

ეს საზომია შემდეგი: პიროვნება როგორი დამოკიდებულებაშია სამერმისო იდეებთან.

შეიძლება დიდი თავდადებული იყვეთ ამა თუ იმ რწმენისთვის, მაგრამ თავდადება ფასდება უფრო მაშინ თუ ძღეია იგი ახალ დასაწყისშია. და მისი დაცვა არის დიდი გაბედულების საქმე.

გაპოხიერებულ გზაზე სიარული აღვილია.

საქმე პირველად მოსვლაა.

და სახალხო თეატრის საფუძვლიან მუშაობის განმტკიცებაში მ. დემურიას ასული პირველია.

პირველი ჩასახვა სახალხო თეატრისა, თითქმის დღემდინ სცენის მოყვარეთა მუშაობის გზით მიღის.

სცენის მოყვარე თუ ის ოდნავ ნიჭს გამოიჩენს ყოველ წარმოდგენაზე სიამეს გრძნობს და აღფრთოვანებული მორიგ წარმოდგენას გაფაციცებით ექლოდება.

მაგრამ როგორი უნდა იყვეს იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც კულისებში საღლაც კუნჭულში, ეწევა ერთგვარ „შავს“ მუშაობას—ხელთ უპყრია მთელი მანქანის ასამოძრავებელი ჩარხის ტარი და უჩინრად მუშაობას ეწევა.

რაოდენი დაბრკოლება, რაოდენი დამცირებას აიტანს!

მაგრამ მაინც ნებისყოფა მაგარი. რწმენა ურყევი. ენერგია დაუშრედელი.

და ამ მდგომარეობაში ქალი!

და ისიც, როგორ დროს და რა პირობებში.

მაშინ ოდეს ქალის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა დამცირება იყო. სცენა ხომ ცველაზე მეტი მიუღებლობა.

და ამ დროს მ. დემურიას ასული, ჩუმი სახით, იღვა სახალხო თეატრის საქმესთან.

და მისი სახელი დღეს, ყველას მოგონებაში უჩვეულო შარავანდედი-ჭით ციალებს.

სახალხო თეატრის მოლვაწენი, და მისი მუშაობის პატივისმცემელნი გასცემისან ოცდაათი წლის სივრცეს. და ნაყოფის დანახვით იღიმებიან, მაგრამ ცრემლებიც ერევათ, რადგან არ არიან ბევრი ძველი მოლვაწენი.

მათთან მ. დემურიას, ასული.

მაგრამ ის გამართლებულია, მისი საქმე მარადიულ ხსოვნის ძეგლს რდგამს. და უკვდავებაც საზოგადო მოლვაწის უდავოა.

და მ. დემურია, წმინდა მოგონებაში გამჭირვალ ლამპარივით იცი-ლებს.

### კ. შათირიშვილი.

რა ცუდია სევდა, რომ ერთით არ ამოიწურება.

თვალწინ მიღდას კ. შათირიშვილი.

„ჩვენი კოტე!“ აი, ლამაზი წამოძახილი, იმათი, ვინც ახლო იყო სახალხო სახლის მუშაობასთან.

და კოტე კიდევ საყვარელი იყო სახალხო თეატრის მოლვაწეობის რეალის იქითაც.

მაგრამ სახალხო თეატრის ისტორიის ფურცელებზე ის ყოველ ხვე-ულში შეგვხთებათ.

ის რეჟისორი იყო, პედაგოგი, გატაცებული მოსიყვარულე თეატრის მაგრამ ამასთან ერთად გულის, სულის მეგობარი ყველასი.

კოტეზე ვერვინ ცუდს ვერ იტყვის.

კოტეს ვერ დაუწუნებენ ენერგიას.

მან არ იცოდა გულის აცრუება.

ის მუდამ სახალხო თეატრის კარების ბჭეთან დარაჯათ იღვა.

და უყვარდა თეატრი, უყვარდა ხელოვების საშუალებით საუბარი დიდ იღებთან.

და უკანასკნელამდი, შევერცხლილი არ წყეტდა თავდადებას.

ის წავიდა, მოკვდა, და უცილოდ იმ დღიდან სახალხო თეატრმა თვრიშნო რეჟისორის კრიზისი.

და ამასთან ძვირფასი ადამიანის, ყველასი მეგობრის წასვლა.

უცრემლოთ შეუძლებელია მისი მოგონება. მაგრამ ცრემლებს აშრობს ის გარემოება, რომ დიდი საქმე 30 წლის დიდება ამაყად დგას.

და ამ სიამაყეში და გამარჯვებაში, ჩაქსოვილია კოტეს სახეც.

და ასე: მაგრანდება ორი პროფილი, ორი უანგარო მოლვაწისა, ერთი და იმავე საქმისთვის სხვადასხვა ფორმის მუშაობით.

მწარე და ამაცრემლებელია ეს მოგონება.

მაგრემ არად აგდებ სიკვდილს რადგან ისინი ცოცხლობენ თავისი  
საქმით.

და ულიმით. ვესალმებით ვით ცოცხლებს.

და, რა კარგია სიკვდილი, რომელიც ატარებს მარადიულ სიცოც-  
ხლებს.

### ა. ც—რელი.

## გვვენება და ხელოვნება.

მაშინ სიკვდილი ძლევამოსილობდა...

სიცოცხლის ნატამალი არსად სჩანდა...

უამყარო სდუმდა...

დრო მძიმეთ იღვრებოდა...

მოსაწყენი შეიქნა ულაზათო ერთფეროვნება.

საბედისწერო ეფემერა საზეიმო ცეკვაში იყო.

სიმწუხარე თანდათან მატულობდა, თვალთა ხედვის ჯანყები ხშირდებოდენ.  
მაგრამ?!

საშველათ მოვიდა უხილავი დელოფალი, რომელმაც თან მოიტანა ჯერ არ  
ნახული ზმანება... ზმანება პირველი და მარადიული.

შემოქმედმა გამოიღიძა...


და, რა იხილა უამრავ მნათობთა ნაირ ფერებით მოვარაყებული სამყარო,  
უკვდავს მკერდიდან ლალათ ალმოსკდა—„მშვენებაა“ და ხელნი აღაპყრო  
მის საღიღებლათ

პირველ ხელოვანის სილამაზის ქება-დიდება უხვად მოეფინა მიღამოს...

სიცოცხლე ალალდა...

სოფელი აყვავდა...

ღმერთი სდუმდა და სტკბებოდა.



ჯგუფი, რომელნიც ავჭალის აუდიტორიიდან დღეში მუშაობენ სახალხო  
თეატრში. დგანან: გ. ანაშვილი ი. რომანიშვილი. სხედან: მ. თუშმალიშვილი,  
გ. ჯაბაური, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ნ. გოცირიძე, ა. ბადრიძე.



სახალხო სახლში „პირველი“ სეზონის გახსნა „რევიზორი“ დადგმა  
კოტე მათირიშვილის.

## ა. სუმბათაშვილის (იუზინის) შეხედულება ქართულ თეატრზე და სახალხო სახლზე.

როდესაც საქართველოს ეწვია განთქმული მსახიობ-დრამატურგი და საერთოდ თეატრალურ სფეროში დიდი მოღვაწე ა. სუმბათაშვილი, იგი სახალხო სახლთან არსებულმა ქართულ დრამის გამგეობამ საგანგებოდ მოიწვია მისდამი საპატივცემლოდ გამართულ საღამოზე. პატივცემული სტუმარი დიდათ ნასიამოვნები დარჩა სახალხო სახლის დასის გაცნობით. და ეს სიამოვნება უფრო გაუფართოვდა როცა სცენიდან დაინახა დასის მიერ შესრულებული პიესა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. ა. სუმბათა-შვილმა თავისი აზრი რუსულ პრესაშიც გამოთქვა და სახალხო თეატრის დიად მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავდა. „მსახიობთა დღეში“ დაბეჭ-დილია, საუბარი სუმბათაშვილთან, ამ საუბარში ის აღნიშნავს საერთოდ ქართული თეატრის დიდ მოღვაწეობას და ამასთან სხემატიურად ხატავს მის პერსპექტივებს. ნაწყვეტი ამ საუბრისა აქვე მოგვყავს:

„მდიდარი შინაარსით და ლამაზი ბეგრით ენა, ბუნებრი-ვი გრაცია და პლასტიურობა, დიდი ტემპერამენტით აღვსილი მეტყველება და ყოველთვის მრეკავი ნერვი ქართული ერისა—უქადის ჩვენს თეატრს დიდ მომავალს.

მე მომეცა შემთხვევა პირადად დავრწმუნებულიყავი ზე-მო ნათქვამის სინამდვილეში.

რამდენიმე წლის განმავლობაში რა გიგანტიური ნაბიჯით წასულა წინ ჩვენი თეატრი!

არ გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ ცხოვრებასთან, ბუ-ნებასთან, ხალხის სულთან. თეატრმა შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში იდეოლოგიურად დაახლოვების მხრივ საერთა-შორისო მხატვრულ შემოქმედებასთან გააღრმავა და გააფარ-თოვა თავისი პორიზონტი.

დიდი ინტერესით და კმაყოფილებით ვადევნებდი თვალ-ყურს „ფუნქტე ოვებუნა“-ს ამ კლასიურ ტრაგედიის საერთა-შორისო რეპერტუარისას — და „მსხვერპლს“ — სავსე ღრმა ში-ნაარსით ხალხის სიმართლით ქართველი ხალხის ცხოვრების მახლობელ დროიდან.

აღმსრულებელნი უკანასკნელ პიესისა იყვნენ არა პროფე-სიონალები, არამედ შრომის შვილნი, რომელთაც ამ შემთხვე-

ვისთვის დაუნებებიათ თავი მუშაობისთვის და გატაცებით ას-  
რულებენ დაკისრებულ როლებს.

და თუ „ფუენტა ოვეხუნა“ -ში გამიტაცა ზემოხსენებულ-  
მა იდეოლოგიურმა დაახლოებამ სცენიურ ინტერპრეტაციის  
თეატრის საერთაშორისო მოღვაწეებთან, „მსხვერპლის“ წარ-  
მოდგენამ განცვიფრებაში მომიყვანა მსახიობთა მიერ ქართულ  
მშრომელთა სულის გაგებით.

ამ მოკლე მიმოხილვიდან შეგიძლიათ გამოიყვანოთ დას-  
კვნა თუ როგორ ვუყურებ მე საქართველოს თეატრის აწმყოს  
და როგორი ფართო პერსპექტივები იხსნება მის წინაშე.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ განსაკუთრებული ბუნებრი-  
ვი თვისებები ქართველებისა, ის ასულდგმულებული სილამაზე,  
რომელიც გამოიხატება ხმასა, ჟესტებსა, მიმიკასა, მოძრაობასა,  
ფიგურასა და სახეში, მთელი ჩვენი ქალებისა და ვაჟების არ-  
სებაში, ის მშვენიერება მეტყველებისა, ის დიადი გრძნობა.  
ზომიერებისა, ურომლისოდაც არ შეიძლება ნამდვილი სცენიუ-  
რი მიღწევა — ყველაფერი ეს იძლევა საბუთს დანამდვილებით  
ვიწინასწარმეტყველო, რომ ქართული სცენა ძალიან ჩქარა მი-  
იპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას და ფართოდ გაშლის  
თვის სიმოქმედო ასპარეზს.

მართალია, მომავალში დიდი შრომაა საჭირო როგორც  
ცალკე პიროვნებათა, ისე მასისა, რომ ქართული სცენის საქმე  
მიყვანილ იქმნას ამ დამსახურებასა და გამარჯვებამდე. მაგრამ  
ყოველ შემთხვევაში ის, რაც გაკეთებულია, იძლევა ფაქტიურ  
საფუძველს ამ პროგნოზისთვის.

## ჩემი აზრი სახალხო თეატრზე.

სახალხო სახლის დასის წარსული მოღვაწეობა ფრიად ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს.

გარდა იმისა, რომ სახალხო დასმა მეტად დიდი აუდიტორია შემოიკრიბა თავის გარშემო, იგი ყოველთვის მიისწრაფოდა მხატვრულ მიღწევებისაკენ და ხშირად უსწორდებოდა დიდ სცენას.

იმ ობიექტიურ პირობებში, რომელშიაც ამ დასს უხდებოდა მუშაობა, მან მეტი ღირებულებანი შექმნა, ვიდრე ეს მოსალოდნელი ან მოსათხოვი იყო მისგან.

ამის მაზეზი მე მგონია იყო და არის ის დიდი სიყვარული სასცენო ხელოვნებისადმი, რომელიც ჩირალდანივით გზას უნათებდა სახალხო სახლის მუშაკთ.

მომავლისათვის, და საერთოდ, უმჯობესია, თუ კი იქნება შესაძლებელი სახალხო დასის კოლექტივი მხოლოდ თეატრალურ კოლექტივად ჩამოყალიბდეს და იმ სიყვარულთან და გატაცებასთან ერთად, რომელიც მას ახასიათებს მთელი თავისი დრო მხოლოდ ამ საქმეს მოაწიდომოს.

რაც შეეხება სახალხო სახლის რეპერტუარს იგი ხშირად შემთხვევითია და ჭრელი.

ეს აიხსნება იმ სისტემით, რომელიც ჩვენს დიდ თეატრშიაც სუვერენ ამ ბოლო დრომდის.

არავინ ზრუნავს წინასწარ რეპერტუარის შერჩევაზე და ნაუციფადევად კი რეპერტუარის შერჩევა ყოველთვის შემთხვევითი ხასიათის იქნება.

საჭიროა დახვეწა რეპერტუარისა.

რაც შეეხება მიმდინარეობას—ეს შორეული მომავლის საკითხია.

ჯერ არ მომხდარა ჩვენში ისეთი სასცენო დიფერენციაცია, რომ კალექტურის თეატრი შეიიქმნეს.

მიუხედავათ ამისა სახალხო სახლის მესვეურთ, გავბედავ და ვურჩევ:

გაეცნოს დასავლეთ ეკროპის, განსაკუთრებით გერმანიის სახალხო და სოციალისტურ თეატრებს და ეს დიდსა და მდიდარ მასალას მისცემს ჩვენს სახალხო თეატრს.

მის. ბოჭორიშვილი.

## ს ა ხ ა ლ ხ ღ თ ე ა ტ რ ი.

თეატრი არსებითად სახიობასთან არის დაკავშირებული.

ყოველი მსხვერპლთ შეწირვა სახიობაა თავის თავათ,

ადამიანს იმთავითვე უყვარდა სულთან გაბასება, ამიტომ ჩვენში სახალხო თეატრის დატა „ვიწელი“ ერთგვარი შეცდომაცა.

სახალხო თეატრი, ხალხის შეგრძნებასთან ერთად გაჩნდა.

სულ სხვაა როდესაც სახიობა თეატრალურად ყალიბდება და ერთ თავანის ქვეშ ექცევა ის, რაც გაფანტული იყო ცხოვრების უსაზღვრო და უნაპირო სარბიელზე.

სახალხო სახლზე.

სახალხო თეატრზე მსჯელობა გუშინ კიდევ შესაძლო იყო. დღეს მასი განმარტება ღია კარების მტვრევა იქნებოდა.

მაგრამ არას დროს არ ყოფილა დამაფიქრებელი და არ ყოფილა სახალხო თეატრის ბედი ისე განწირული როგორც დღეს.

მწარე სინამდვილემ იცის ასეთი სიურპრისები, ყოველივე ხალხოსნურ სამოსში მოირთვება და სული ხალხოსნური კი დაიჩრდილება.

დღეს უხვად რიგდება საპატიო ორდენები „სახალხო მსახიობი“ და ბევრი ისეთი პირი ატარებს ამ სამკაულს, რომელსაც რა არის არ ულო ცია სახალხო თეატრში. ერთხელაც არ ატირებულა მის კულისებში.

როდესაც სახალხო თეატრის იუბილეებზე დგება საკითხი, ბუნებრივია ერი მთლიანად ამოძრავდეს, მთლიანი ეროვნული ზეიმი გაიართოს.

ხდება ასე? არა!

გაივლის წლები და გაგვაწითლებს ეს „აწმყო“ მაშინ უკვე განვლილი. დარცხვენილი თვალები შეჩერდება მეორე „დატაზე“ და იქ შეეცვა ბა თავის გამართლებას.

იყო თავგანწირვა და გასისხლიანებული სამსხვერპლო. ხალხის წილიან წარმოშობილი კეთილშობილი პიროვნებანი სიხარულით ეწირებოდენ სახალხო საკურთხეველზე.

და იყო ზეიმი სახალხო თეატრის, არავის უთმობდა იგი. სიმკვირცელეს და სიხალისეს.

დღეს პიროვნებანი თითქოს გაექცენ ხალხს და ხალხოსნურ სამანი იქეთ ამაოთ ეძებენ რაღაც ხალხოსნურს.

დღეს, ოდნავ სახელ მოხვეჭილ მსახიობს რცხვენია სახალხო თეატრი

რის სცენაზე გამოჩენა. იგი გარბის სხვა სახელწოდების თეატრში, თითქოს თეატრი შეიძლებოდეს იყოს არა ხალხურიც.

მაგრამ შევჩერდეთ: ყიველივეს აქვს თავის საგანი და მალე მოეღება ბოლო ჩეენს არა ბუნებრივად ბუდიდან ამოვარდნასაც.

გადაჭრით შეიძლება ითქვას: თეატრი ან ხალხოსნური იქნება, ან სრულიად არ იარსებებს.

რა თქმა უნდა, საზოგადოების ესა თუ ის წრე შეეცდება თავის საკუთარ თეტრის შექმნას, თავისებური სუნთქვით მის ამოძრავებას, მაგრამ ასეთი თეატრი იქნება მხოლოდ ორგანიული ნაწილი მთლიანი ერთეულისა—სახალხო თეატრის.

რა რიგათაც არ უნდა მოხდეს ერის კლასობრივი დანაწილება, მაინც არსებობს ეროვნული მთლიანი სახე.

სახალხო თეატრის უმთავრესი მიზანი—ერის მთლიანი სულის, მთლიანი სახის მონახვა.

აქედგან მისი ძიება არის ყველაზე უფრო ძნელი ყველაზე უფრო ტრაგიული და არსად არ არის მოსალოდნელი იმდენი დამარცხებები როგორც აქ, ამ დარგში.

თემის ული უნდა მოთავსდეს სახალხო თეატრის სცენაზე.

ჩვენში კიდევ დარჩენილია ხალხური დღესასწაულები „თემობის“ სახელწოდებით.

ვინც ერთხელ მაინც დასწრებია „თემობას“ მან იცის რა მრავალ გვარი სახეებია, მრავალ გვარი მოძრაობა, მოქმედება, რა სხვა-და-სხვაობა და იმავე დროს სავსებით არის დაცული მთლიანობა.

ეს მთლიანობა უნდა შეიჭრეს სახალხო თეატრის სცენაზე, ვინაიდან იგი სარკეა და ორეული ხალხის მთლიანობისა.

ხელოვნება—პირმშო შვილია ერის მთლიანი სიბრძნისა და ეს უნდა იქნეს საფუძველი სახალხო თეატრის ისე, როგორც ყავარჯენი მოღლილი მგზავრის.

ვერ იარსებებს თეატრი ხელოვნების გარეშე.

არ არსებობს ხელოვნება გარეშე ხალხისა:

კერძოთ:

როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი სახალხო თეატრი?

რა სახე უნდა მიიღოს მან?

რა უნდა გაკეთდეს უპირველეს ყოვლისა?

უპირველესად და დაუყოვნებლივ:

უნდა განიღევნონ კათაქმეველნი სახალხო თეტრიდან.

შეუბრალებლად, მტკიცე ნების ყოფით უნდა განიღევნონ მკრიხველები სახალხო თეატრიდან.

არც ერთი ცუდი მსახიობი სახალხო თეატრის სცენაზე; ცუდი მსახიობი სცენაზე—უდიდესი შეურაცხყოფაა ხალხოსნურ თავმოყვარეობისა.

არც ერთი სუსტი პიესა, არც ერთი ცუდი და მოუმზადებელი და-

დგმა—თორებ ეს იქნება მეორე და უდიდესი შეურაცხყოფა ეროვნული სულისა.

და ყველაზე უმთავრესია: რეპერტუარი.

რეპერტუარი უსათუოდ ხალხოსნური, მარტივი და უაღრესად ხელოვნური.

ბევრი ფიქრობს: სახალხო თეატრში ადვილად შეიძლება ფონს გასვლა მდარე პიესებით, სცენის მოყვარეთა თამაშით.

ფიქრობენ: სულ ერთია ხალხი ეგრე რიგად ვერ არჩევს ცუდისა და კარგსაო.

და ვინც ასე ფიქრობს ის ბარბაროსია და შეურაცხმყოფელი ხალხოსნურ სულისა.

იყო დრო.

ყოველივეს ჰქონდა გამართლება სახალხო თეატრის სცენაზე.

ერთსა და იმავე დროს იგი იყო იყო:—შეოლა, ტრიბუნა, თეატრი როგორც ასეთი, შეთქმულების ქვაკუთხედი, დევნილთა თავშესაფარი, და სხვა მრავალი.

30 წლის განმავლობაში მან ზიდა და ლირსეულადაც ატარა ეს მძიმე ულელი.

ვფიქრობ: ზემო აღნიშნული ფუნქციები, განსაკუთრებით ზოგი მათგანი არც მომავალში ჩამოსცალდება სახალხო თეატრს, მაგრამ სხვა სახის სკოლათ და ტრიბუნათ უნდა გადიქცეს იგი, ხოლო ვერავითარ შემთხვევაში ველარ დავავალებთ მას ანბანის სწავლებასა და პროპაგანდისტების ენის აცრას.

ამისთვის სხვა ლაბარატორიები უნდა შევქმნათ.

30 წლის შემდეგ სახალხო თეატრს აუცილებლად სჭირდება თეატრალურად დაწმენდა.

30 წლის შემდეგ ჩვენ გვინდა ვიხილოთ განახლება მისი.

შეუძლებელია ძველებურად ადგილი ექნეს იქ „ნეუდაჩნიკებს“, შეუძლებელია მის რეპერტუარში პოულობდეს ბინას, ის რაც უდროვოა და უას დაკლებული.

განახლებულ ერს შეჰვერის განახლებული თეატრი.

და სახალხო თეატრის 30 წლის დღესასწაულზე ვითვლით რა იმ ჭრილობებს, რომელსაც დროთა უკულმართობამ უმართებულოდ დაგვიღადრა ეროვნული სახე, თამაშად და ხალისიანად გვსურს ჩავიხედოთ ახალ სარკეში, რომელიც ჭრილობათა ნაკვალევს დაგვანახებს გაწმენდილათ და ამოვსებულათ.

აქ შეიძლება უნებურად დაისვას კითხვა: თუ ასეთ მოთხოვნილებებს წაუყენებთ სახალხო თეატრს რაღა საჭიროა აკადემიური თეატრიო.

ერთი—აკადემიური თეატრი ნაწილია სახალხო თეატრის.

მეორე—ნაალრევია ჩვენში აკადემიურ თეატრზე მსჯელობა.

მარტონდენ სახელწოდება ვერ შევლის საქმეს, და ის თეატრი რო-

მელიც რუსთაველის სახელობის დარბაზიდან გვევლინება, რომ აკადემიური გახდეს, მრავალი წლები დასჭირდება.

აკადემიური თეატრი უნდა იყვეს ძიების უმაღლესი მიღწევა. პიესისა და მსახიობის თამაშის აკადემიურად დამუშავება.

და როდესაც იგი ასეთ მიზანს დაისახავს ჩვენთვის დიდი ბელნიერება იქნება, რომ წელიწადში სამი ახალი დადგმა შეგვძინოს.

დღეს კი ყველას იზიდავს სახელწოდება აკადემიური, და იგი გადაიქცა „დებიუტანტთა“ დოლათ.

და ამ „აკადემიურ“ თეატრის მსმენელთა უმრავლესობაც ისეთ პიროვნებათაგან შესდგება, რომელთა ხელოვნური შეფასების გემოვნება ჯერ კიდევ საეჭვოა.

და თუ ასეთ თეატრს აკადემიურ თეატრად ჩავთვლით, არ ვიცი აკადემიური რომ გვექნება (და გვექნება უსათუოდ) იმას რაღას უწოდებთ.

### პ. რატიშვილი.

## ახალ საზღვრებელი.

(სახალხო თეატრის 30 წ. იუბილეის გამო).

### I.

ცოცხალი სული ჩაკეტილი, ძალად კუბოში.  
ეკლის გვირგვინი და პილატეს ყალბი ცრემლები,  
სარკოფაგები, ჯადეგების ცეკვა-დებოში.  
მზის მოლოდინში სილამაზის პატივმცემლები.

### II.

ახალი ღმერთის ნუგეშეი: ნუ დალონდებით!  
ძველი ცოდვების აფეთქება ცხელი აზრებით.  
თეთრი ყაზბეგის გაღმრულება ცეცხლის ლოდებით,  
დღე-ღამეს შორის გაღამიჯვნა ახალ საზღვრებით.

### III.

სულების ხარშვა სარკეებში, განსკეტაკება,  
თეთრ ქურუმების გაქანება ლამაზ ანთებით.  
თუ ტაძრის კედლებს რეზონანსი დაეტაკება,  
მაშინ იყიდებს საოცნებო ვარიანტებით!..

## ძველებს — სალაში, ახლებს — გამარჯვება.

30 წლის იუბილე!

ქართული დრამა და...

სახალხო სახლი!

რაგინდ რაფერი მოგონებით არ ეალერსება გონებას, განსაკუთრებით იმ მუშაკთა გონებას, რომლებმაც თავიანთი სიყვარული, ენერგია და ახალგაზრდა შესწირეს...

სამს:

მოკლე სტრიქონის შემეცნებას:

30 წლის იუბილე!

ქართული დრამა და...

სახალხო სახლი!

რა აღფრთოვანება, რა გატაცება, რა ფანატიზმი ასულდგმულებდა ყველა იმ მუშაკთ, რომლებიც მტლეთ დაედვენ სახალხო სახლის სცენას.

ჰმ! სახალხო სახლის სცენა!

და როდესაც მათი უანგარო მუშაქნი მოგონების პორიზონტზე გაიხედავენ, კარგად და ნათლად დაინახავენ, რომ თუ არ მათი ახალგაზრდობა, თუ არ მათი ახალგაზრდური გატაცება, სიყვარული, სიმკვირცხლე გონებისა, ტანის რხევისა არ ყოფილიყო — რაიც ყოველ სახალხო საქმის მუშაქს უცილობლად სჭირდება, და განსაკუთრებით კი სცენას, თეატრალურ ხელოვნებას, რადგან სცენა თვით მუდამ ახალგაზრდაა და თვის საქმეში უყვარს მხოლოდ ახალგაზრდები...

თმებშევერცხლილებს იგი მუდამ პატივის-ცემით იხსენიებს...

დაინახავენ და მიხვდებიან, რომ არ იქნებოდა მოგონების ეს ლამაზი პორიზონტი, არ იქნებოდა:

30 წლის იუბილე!

ქართული დრამა და...

სახალხო სახლი!

მაშ ულრმესი სალამი ძველ მუშაქებს თმებ-შევერცხლილებს და გამაზრჯვება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ძველებისაგან უზაღალოცვილნი წახალისებით განაგრძობენ. ნაცად გზას და ამით მოგონების ლამაზ პორიზონტზე კიდევ დაინახავენ; როდესაც გამოისახება მეორედ:

30 წლის იუბილე!

ქართული დრამა და...

სახალხო სახლი!



არსებული გამგეობა სახალხო ოქატრის დასისა. დგანან: ა. გესელიძე, კ. სალინაშვილი, (ხაზინალარი)  
6. გერგესელი, (მდინარი) ი. ელიაშვილი, შეორე ჩიგში: 6. ტოროშელიძე, (თავმჯდომარის ამხანაგი)  
ი. ვარაზაშვილი, ი. ახცლელიანი, (თავმჯდომარი) ჭელიძე, (თავმჯდომარის ამხანაგი).

ის. გარაზაშვილი.

## ჩვენი სახალხო თეატრის მიზანებისა და ფაულაში და მოგავალში.

ქართულ თეატრს ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ის არას დროს არ იყო წმინდა წყლის ხელოვნების ტაძარი იმ მნიშვნელობით, როგორიც აქვს მას თავისუფალ, დამოუკიდებელ ევროპის ქვეყნებში.

მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ და რუსეთის იმპერიის სასტიკი რეუიმის დამკვიდრებამ, აუტანელი მდგომარეობა შეჰქმნა. და ქართველი საზოგადოება სასოწარკუეთილებაში ჩააგდო. მისი გული მოიცავა მწუხარებამ და უსაზღვრო სევდამ.

ამ დროს ქართული სცენა გადაიქცა ერთად ერთ ადგილად; საიდანაც ისმოდა. ცხოველი სიტყვა და იმედი უკეთესი მომავლისა, ხოლო თეატრი არ წარმოადგენდა გასართობს და მარტოოდენ ესტეთიური განცდის ადგილს, არამედ აქ თავს იყრიდა ხალხი გულის მოსაოხებლად, იმედის გასაცხოველებლად და წარკვეთილი სასოების აღსაღენად.

ამ გრძნობით იყო გამსჭვალული როგორც სცენაზე მომუშავე, ისე მაყურებელი; ისინი ერთი აზრით საზრდოობდნენ, რომ აკეთებენ დიდ ეროვნულ საქმეს, აფხიზლებენ საზოგადოების გონებას, აფაქიზებენ მის გრძნობას და რომ ეროვნული ჭულტურისა და თავისუფლების აღორძინების იმედს უნერგავდენ მას.

აქ არ იყო მსახიობი და მაყურებელი; არ იყო გამრთობი და გასართობად მოსული ხალხი.

ეს იყო ქართველი საზოგადოება ერთი, მთლიანი, ერთის აზრით, და გრძნობით ამოძრავებული.

ამაში იყო ქართული თეატრის დიდი ზნეობრივი ძალა, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში.

ქართული თეატრის გარშემო მოიყარა თავი მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა და იგი გადაიქცა მძლავრ იარაღად იმ დროს დაწყებულ ეროვნული გამოფხილების მოძრაობისათვის.

ამ მოძრაობაში ჩაბმული იყო ჩვენი განათლებული საზოგადოება — ინტელიგენცია, რომელსაც ჯერ ვერ მოეხერხებია გადაეტანა იგი ხალხის მასსაში.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ჩვენში დაიწყო ახალი მოძრაობა, რომელმაც მიზნად დაისახა ხალხის მომზადება არსებულ პოლიტიკა-ეკონომიურ მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს მოძრაობა გადაიქცა ხალხურ მასსიურ მოძრაობად და მასში ჩაება ჩვენი მშრომელი ხალხის საუკეთესო ნაწილი და დემოკრატიული ინტელიგენცია.

იმ დროინდელი პოლიტიკური რეჟიმი, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს მოძრაობა, ვერ შეუწყობდა მას ხელს და ვერ გაუხსნიდა მას თავისუფალი პროპაგანდის გზას.

ამის გამო ახალმა მოძრაობამაც თეატრს მიმართა და იგი გაიხადა ახალი აზრების პროპაგანდის იარაღად და ხალხის გამოსაფხიზლებლად.

თვით ხალხში, მუშებში გაჩნდნენ ინიციატორები სახალხო წარმოდგენების მოწყობისა, გაჩნდნენ სცენის მოყვარენიც და ჯერ გაუბედავად აქა იქ კერძო ბინებზე იმართებოდა სახალხო წარმოდგენები, მერე კი თანდათან უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღო ასეთმა მუშაობამ, სანამ ბოლოს სახალხო აუდიტორიის დაარსებით მტკიცე ნიადაგი არ ჩაეყარა ამ საქმეს.

აქ უფრო, ვიდრე პირველ შემთხვევაში თეატრმა შეაკავშირა ახალი საზოგადოებრივი ძალები და მაყურებელსა და სცენაზე მომუშავეთა შორის სრული ერთობა სუფევდა.

აქაც, სახალხო სცენაზე მუშაობას ერთი ძირითადი აზრი ჰქონდა საზოგადოებრივი ძალები და მაყურებელსა და სცენაზე მომუშავეთა შორის სრული ერთობა სუფევდა.

ეს აზრი იყო: მშრომელი მასსის მომზადება ახალი ცხოვრებისა და რევოლუციისათვის, ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ, ბრძოლისა და ძმის-სიყვარულის შეთვისებისათვის.

სახალხო სცენა გადაიქცა ტრიბუნად, საიდანაც ისმოდა ახალი აზრი, ახალი მოძღვრება.

ეს იყო სკოლა, სადაც ხალხი ანგითარებდა გონიერას, მაღლდებოდა სულიერად და სწავლობდა ახალი, მომავალი ცხოვრების შინაარსს.

ეს არ იყო უბრალო გასართობი. ეს იყო ტაძარი, სადაც ხალხი ხელოვნების საშუალებით ითვისებდა ადამიანის საუკეთესო იდეებს და მისწრაფებას.

და სახალხო თეატრმა ბრწყინვალე შედეგს მიაღწია: მან აღზარდა მთელი თაობა ჩვენი მშრომელი ხალხისა, რომელმაც შესძლო დიდი ბრძოლა და მსხვერპლის გაღება ახალი, უკეთესი, აღამიანური ცხოვრების და-სამყარებლად.

უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდის არავის შეეძლო ეჩვენებია საჭლვარი ქართული დრამის და სახალხო თეატრის შორის.

თუ 1905 წლამდი ქართული თეატრი და სახალხო აუდიტორია არ იყვნენ ისე ახლო ერთმანეთთან და შიმართულების სხვა და სხვაობაც ახასიათებდა მათ, სამაგიეროდ 1906 წლიდან მათი ფრონტი ერთიანდება და საქართველოს ყოველ კუთხეები ეწყობა და არსდება სახალხო თეატრი.

ქართული თეატრის მსახიობნი მოედვენ პროვინციას და აღგილობრივ სცენის მოყვარეებთან ერთად გააჩაღეს დიდი მუშაობა.

ამ გაერთიანებულმა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოილო და ქართულმა თეატრმა მთლიანი ეროვნული სახალხო თეატრის ხასიათი მიიღო. ეს გარემოება ნათლად გამოჩნდა 1913 წელს მოწვეულ სრულიად საქართველოს სცენის მოყვარეთა ყრილობაზე, რომელსაც ეროვნულ სახალხო მოღვაწეთა ყრილობის ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე სპეციალური სასცენო ხელოვნების მუშაკთა კრებისა.

დღეს პირობები იცვლება.

ჩვენს ინტელიგენციას თითქოს აღარ აკმაყოფილებს მხატვრული მხარე სახალხო წარმოდგენებისა.

იგი ეძებს უფრო მაღალ ემოციებს, გრძნობათა გალიზიანებას და ესტეთიურ ტკბობას.

ამიტომ ხდება ერთგვარი გაყოფა ჩვენი სახალხო თეატრის მთლიანი ფრონტისა.

უკვე დაიწყო და ვითარდება ჩამოყალიბება სამხატვრო-აკადემიურ თეატრებისა მუდმივი პროფესიონალური მუშაობით.

თანდათან სწყდება ორგანიული, ზნეობრივ-იდეური კავშირი საზოგადოებასა და მსახიობს შორის, რომელიც გადადის მუდმივ სამუშაოზე იმ ქარხანაში, რომელსაც თანამედროვე თეატრი ჰქვია:

რაც უფრო გაუმჯობესდება ცხოვრების პირობები და გავრცელდება ჩვენში ევროპიული ცივილიზაცია, მით უფრო მეტი შეიქმნება ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც ეძებს არა ჭკუის სწავლებას, არამედ გასართობს.

ბოლოს და ბოლოს. ჩვენი სამხატვრო თეატრიც უნდა გადაიქცეს იმ აღგილად, საღაც გონება-გამახვილებული და გრძნობა აშლილი საზოგადოება მოსქებნის, მისი გემოვნების შესაფერ გასართობს და ახალ-ახალ სანახაობის დროს გასატერებლად და დასასვენებლად.

ამავე დროს კი მსახიობი იძულებული იქნება იმუშაოს არა როგორც ხელოვანმა, შემომქმედმა, არამედ როგორც ქარხნის მუშამ, რომელიც ყველ დღე აკეთებს ერთს და იმავეს მექანიკურად, უსულგულოდ.

ასეა ცივილიზაციით გაძელნიერებულ ევროპაში, ასე იქნება ჩვენ შიაც.

მაგრამ თუ ერთ ნაწილს საზოგადოებისას აინტერესებს მხოლოდ გრძნობათა გამაღიზიანებული სანახაობა, არის ხალხი, მშრომელი მასსა და ახალგაზრდობა, რომელიც ეძებს გონების და სულის საზრდოს, ეძებს ახალ აზრებს და ზნეობას.

თანამედროვე თეატრებს კი ახასიათებს ვირტუოზობა, ეროტიკა და ესტეტიკა.

მას აქლია ის უმთავრესი, რაზედაც აგებულია ყოველი საზოგადოების კეთილდღეობა: მას არ ახლავს ზნეობა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

ეს არც გასაკვირია, რადგან ცივილიზაცია უარყოფაა ზნეობისა, ტრადიციისა.

ცივილიზაციამ იცის მხოლოდ იძულებითი დისკიპლინა, რომლის მეოხებითაც არსებობს თანამედროვე ევროპიული საზოგადოება.

ჩვენი ხალხისათვის კი ისეთი მდგომარეობაა სანუკვარი, როდესაც ყოველი პიროვნება ისარგებლებს სრულის თავისუფლებით და ამავე დროს მისი საზოგადოებაში ყოფნის პირობა იქნება არა იძულებაზე დამყარებული დისკიპლინა, არამედ დისკიპლინა მაღალ ზნეობაზე და ტრადიციებზე აშენებული.

დღეს, როდესაც დიდმა რევოლიუციამ სასტიკად მიანგრ-მოანგრია ძველი წესწყობილება, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მოსპო ძველი ტრადიციები და შეხედულებანი, ხალხში გამოურკვეველმა მდგომარეობამ დაისადგურა,—აღარ არის ძველი საზოგადოებრივი ზნეობა, არ არის ახალიც.

ასეთ პირობებში ხალხში საშინლად ვითარდება საერთო დემორალიზაცია და საზოგადოებრივი ცხოვრება საფრთხეში ვარდება.

საჭიროა დიდი მუშაობა და ბრძოლა კალაპოტიდან ამოვარდნილ ფსიქოლოგიური ცხოვრების ახალ კალაპოტში ჩაყენებისათვის.

ამ მუშაობაში სახალხო სცენას, სახალხო სკოლასთან ერთად, ეძლევა დიდი მნიშვნელობა.

იგი არ უნდა გადაიქცეს ჩვეულებრივ გასართობად.

ასე თუ იქნა, მოხდება უბედურება: ის ვერ მისწვდება სამხატვრო თეატრებს, ვერ გაუწევს მათ კონკურენციას თავისი პროფესიონალური ძალებით და გადაიქცევა ბალაგანად, გარყვნილების და სიბინძურის ორმოდ.

18 წლის განმავლობაში ვმუშაობ ჭიათურის სახალხო თეატრში და გამოცდილებით ვიცი, თუ რა ზნეობრივ სიამოვნებას გრძნობს ადამიანი, როდესაც მიდის იქ არა როგორც სანახაობის შაყურებელი, არამედ როგორც წევრი ამ საერთო ოჯახისა, სადაც ის მოქმედობს, სადაც ის მონაწილეა, აქტიოურია და ყველა იქ მყოფთან საერთო გრძნობითა და აზრითაა გამსჭვალული. ყოველი სიტყვა, სცენიდან ნათქვამი ჩვენი ამხანაგების მიერ, რაღაც მეტ შინაარს და აზრს იძენდა, ვინერ სხვა პირობებში; გვავიწყდებოდა პიესის ავტორი და ჩვენი ამხანაგების პირიდან გვესმოდა ცხოველი სიტყვა მაღალის გრძნობითა და ზნეობით გამსჭვალული.

ჩვენთვის უმეტესი მნიშვნელობა ჰქონდა სცენიდან ნათქვამს სიტყვას და რაც უნდა ტლანქი და არა მხატვრული ყოფილიყო პიესის დადგმა, მარც ვსიამოვნებდით, აზრსა და გრძნობას ვამახვილებდით.

იგი იყო ჩვენი ტრიბუნა!

და ამავე ტრიბუნად უნდა დარჩეს საქართველოში სახალხო თეატრი.

აქედან უნდა გაისმოდეს ყოველ დღე ქადაგება ქმობისა, ერთობისა, სიყვარულისა და თავისუფლებისა; აქედან უნდა ისმოდეს სიტყვა ადამიანის პიროვნების გამშვენიერების და ზნეობრივად ამაღლებისათვის; აქ უნ-

და სწავლობდეს ჩვენი ხალხი და უმეტესად ახალგაზრდობა ურთიერთის პატივისცემას, მამულის სიყვარულს და მოვალეობის შესრულებას.

აქვე უნდა სწავლობდეს ახალგაზრდობა ხელოვნებას.

რა თქმა უნდა, სახალხო თეატრს და მასში მუშაქთ ესაჭიროებათ გამოცდილი, მცოდნე ოსტატები, რომელნიც ასწავლიან მათ სასცენო ხელოვნებას და პიესების მხატვრულად დადგმას. ეს ოსტატები უნდა მოამზადოს აკადემიურმა თეატრმა. მაგრამ ორგანიზაცია და მუშაობა სახალხო თეატრში უნდა იყოს თვით იმ ხალხის ხელში, რომელიც სახალხო თეატრის გარშემო იყრის თავს.

დარწმუნებული ვარ, რომ თუ ასეთი გზით იარა სახალხო თეატრმა, თუ იმთავითვე აღებული სწორე გეზი არ გახარა, არ გადაიქცა უბრალო გასართობად, 20 წლის შემდეგ გვექნება შეუდარებლად მეტი რეზულტატი და სახალხო თეატრის 50 წლის იუბილეს მეტის ზეიმით, სიხარულით და მადლობით იდლესასწაულებს ჩვენი ქვეყანა.

### მ. ლვაშიჩავა.

## ნ ა თ ე ლ ი მ ა ტ ი ა ნ ე

იქნება ზეიმი!

შეიძლება უჩვეულო, ზეიმი მიმზიდველი.

დაიწერება ლამაზი მატიანე.

ზეიმის უჩვეულობა თავისი სიმკვეთრით დამარხავს შაბლონის სიმძიმეს.

ამ ზეიმზე ნაცნობ ფერებს, სახეებს, სიტყვას და შინაარს მიუთითებენ საფლავისაკენ. ჩვენ ვიზეიმებთ მხურვალე. მარგალიტებით კეთილი გრძნობისა.

ზეიმი დაიწყება, როდესაც დარბაზში ელექტრონი დაიძინებს, როდესაც ჩუმი სიბნელეში გაირინდება საზოგადოების ყურადღება და აზრი.

მაგრამ ეს კეთილშობილი მოლხენა არ დამთავრდება ფარდის დაშვებისთანავე.

ყოველი ჩვენგანი თან ატარებდეს იქნება ნათელ საბუთს, მომავალი მემატინესათვის სახალხო სახლის ისტორიისა.

გაიხსნება ტრიბუნა ლამაზი თქმის წინაშე.

ჩვენ გავიგონებთ ქართული კეთილშობილებით მოჭრილ სიტყვებს:

„მადლობა, დიდი მადლობა სახალხო თეატრში მოვაწეობას“.

ეს მადლობა შეიძლება იყოს მხოლოდ ნაკვთი მცირეოდენი.

იქნებ თქმა გაგრძელდეს. იქნებ მაღლობამ ვერ ამოსწუროს სახალხო თეატრის დამსახურება.

დაიბადება, აღმოჩნდება კიდევ მრავალი სიახლე, დედული, რომელიც მოითხოვს ახალ სიტყვას, რომლითაც შეაფასებენ შრომას, თუ კი აღამიანს შეუძლია შრომის პატიოსანი შეფასება.

კირკის ქუჩაზე ამაყად დგას სახალხო სახლი:

შშრომელთა აუდიტორია. დაღლილი სულის სამლოცველო.

მის სიამაყეში მაინც გამოკრთის 30 წლის სიმძიმე.

მაგრამ ვერ ვხედავთ დაღლილ სახეს.

სახალხო თეატრი 30 წელია სრულიად ჯანსაღი დგას საქართველოს თეატრალური ცხოვრების სფეროში თავისი ინდივიდუალური თვისებებით და განსაკუთრებული დანიშნულებით.

30 წელია მისი სცენიდან ესმის ცველას: მიდით დაინახეთ „მსახურება მშვენიერ აზრებისადმი“.

ამ მოპატიუებამ თავისი შედეგი მიიღო.

მოღიოდენ—რჩებოდენ. შეიყვარებდენ—მუშაობდენ.

და იწოდენ სურვილით.

იყო შიში და თრთოლვა გასვლის წინ.

და ვხედავდით წარმატებას.

... შემდეგ სტოვებდენ სახალხო სახლს. მაგრამ ერთი განსაკუთრებული თვისებით—საყვარულით.

დიახ! სახალხო სახლმა მრავალში აღზარდა ეს წმინდა პატივისცემა სცენისადმი და უსაზღვრო სიყვარულით.

არ არის საკმარისი ნიჭიერი იყოს აღამიანი.

მიდით სცენასთან უპირველესად სიყვარულით.

ასეთი იყო სახალხო სახლის წვევის და მუშაობის ცოცხალი აზრი.

საღაც არ უნდა იყოს ქართველი მსახიობი, რომლის ისტორია სახალხო სახლიდან იწყება, იქნება ის კვამლიან გერმანეთში, თუ ცივ რუსეთში, ან და თვით საქართველოში, მან თბილი სიყვარულით უნდა წარმოიდგინოს საქართველოს დედა ქალაქში კირკის ქუჩა და მის შუა-გულზე სახალხო სახლის პატიოსანი სახე.

## მოგავლის პერსეპტივები.

თანამეტროვე ეპოქა თეატრალურს ცხოვრებაში ძიების ეპოქად არის ცნობილი.

და ისე შორს მიღის ხანდახან ეგ ძება, რომ უარყოფამდისაც კი აღწევს.

კულტურულად უაღრესად განვითარებულ ქვეყნებში თეატრი ოხუნ-ჯობის საგნად არის ქცეული. ინგლისის სკონა შექსპირის მონოლოგებს ვეღარ ინელებს.

ამერიკაში უკვე უონგლიორობენ და მაიმუნებიც კი გამოჰყავთ.

კინო ეგ სანახაობითი ხელოვნების გრამოფონი თეატრის აუდიტორიას აცარიელებს.

დღევანდელი ადამიანი ისე გააზიზდა, რომ მას არ შეუძლია სკენაზე მკვლელობას უყუროს. ხმაურობას ვეღარ იტანს; ხანდასმულობას ვერ ითმენს და გარდის.

— კინოსკენ,

სადაც ყყელაფერი უხმოდ და ჩქარა მიმდინარეობს. აქ ათასობით სიკვდილი ოდნავადაც ვერ არხევს და ალიზიანებს დღევანდელ სანტიმეტალურ ნერვებს...

... ადამიანმა ღმერთი დაკარგა და სიტყვა შეიძულა.

მეცნიერებამ მისტიკის თალხი ტანისამოსი შემოახია და უდაბნოში უმწეოდ დააგდო:

ღმერთებისადმი რწმენა დაუკარგა და წყეული საკითხებისაგან კი ვეღარ იხსნა.

ზეცას ანგელოსების მაგივრად პროპელერები დაფრენენ.

აფორიაქებული სულის დამშვიდებას არაფერი ეშველა.

და შესძულდა სიტყვა.

დაავიწყდა ლოცვა.

იდეა მოკვდა...

და ადამიანი ვეღარ შედის თეატრში, საიდანაც ხატი გაიტანეს შუბი ჩამოხსნეს, მერანი განდევნეს.

მუნჯმა მანქანის ქრისტემ ელექტროს მათრახით დალალა ყველაფერი.

და მირბიან კინოსკენ.

აქ ტიტანიკებიც კი ილუბებიან, ცეკველინები იწვიან, ადამიანები უმ-

წეოდ იკარგებიან, მაგრამ ყველაფერი ეს ისე ჩუმად ხდება როგორც  
ტკბილ სიზმარში.

და იძირება თეატრი...

ალბად კაცობრიობას საკუთარი თავი შესძულდა და თვითმკვლელო-  
ბამდის მივიდა.

თეატრის სიკვდილი — აღამიანის სიკვდილია...

ან უებარი მკურნალის გამოჩენა.

და ახალი სალიუტი.

ან უბსკრულში გადავარდნა და დაღუპვა.

Aut caesar, aut nihil, — შუათანა გზა აღარ არსებობს.

— საქართველოში ასე მწვავედ აღარ სდგას საკითხი. ამას აღასტუ-  
რებს მარჯანიშვილის პრობლემატიური ოპერაციები.

გასაგებიც არის:

ქართულ თეატრს ხანგრძლივი ისტორია არა აქვს.

საქართველოს სამოქალაქო ცხოვრება ჩანასახშია.

ჩვენი სუბიექტიური პირობები კრიზის ველარ შექმნიან.

საქართველო მოდების ქვეყანაა და ევროპის ყვავილის მოხდა ჩვენ-  
თვისაც სავალდებულო შეიქნება...

და მით უფრო მწვავე იქნება ეს კრიზისი, რომ იგი უცხო იქნება  
ჩვენი სხეულისათვის.

სახალხო სახლს კი განსაკუთრებული იდეები ახელმძღვანელებდა.

თუ ერთ დროს რუსეთის თეატრის კრიზისის ერთ მიწეზად იმ გა-  
რემოვებას ასახელებდენ, რომ იგი ხალხისათვის მიუწოდომელი იყო, — მაშინ  
სახალხო სახლის ვეტერინარებს აქვთ ისტორიული გამართლება.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ამ პირებელ იდეას 30 წლის  
მიჯნაზე უკვე გაუთავდა შვებულება.

თუ უწინ ქველმოქმედება მეცენატობა ეყო, დღეს მას დილეტანტო-  
ბას უწოდებენ.

სახალხო სახლის პიონერებმა შეუქმნეს თეატრს ხალხი.

ახალ მიჯნაზე — ახალი იდეა უნდა წარმოიშვას.

დამშეულ აუდიტორიას ცაგარლის ხაშით ვეღარ გამოკვებავთ. — და  
ვისაც სურს წარსულის ნამუშევარი არ დაინგრეს უნდა გადალახოს რუბი-  
კონი — ტრადიცია.

უცილობლად უნდა მოხდეს:

პირველი: გაპროფესიონალება.

მეორე: ეპოქის ალლოს აღება.

დანარჩენი პერსპექტივების განსჭვრეტა მხოლოდ ამ ორი სარკმლი-  
დან არის შესაძლებელი.



ს. ტორო — ძე.

## მოგონების ნაწყვეტი.

ბევრი რამ შეიცვალა სახალხო თეატრში. მისი ოცდათი წლის არსებობის განმავლობაში. ბევრი მისი მოღვაწე სიკვდილმა ჩამოაშორა მას. ბევრიც სიცოცხლითვე ნებისათ თუ უნებლივეთ ჩამოშორდა მას და დღეს მასთან საერთო აღარა აქვს რა წასრულის მოგონების გარდა. ბევრჯერ შეიცვალა სახალხო თეატრის რეპერტუარი. ბევრჯერ უწინასწარმეტყველეს მას ახალი ხანის დაწყება.

ბევრი ბატონ-პატიონი გამოცვალა სახალხო თეატრში: ჯერ კითხვების გამმართველ საზოგადოებასთან იყო შეკედკებული, შემდეგ სახალხო უნივერსტიტეტს შეაფარა თავი, მას შემდეგ საკუთარი ორგანიზაცია შექმნა და სხვა და სხვა სახით დღემდე დამოუკიდებლათ არსებობს.

ბევრი ტკბილი და კიდევ უფრო მეტი მწარე დღე გამოსცადა მან, განსაკუთრებით, თავისი დამოუკიდებლობის დროს.

იყო დრო როდესაც ყველა მტრულად უყურებდა, მთავრობასაც, ქალაქის თვითმმართვებლობაც, დრამატიული საზოგადოებაც, პროფესიონალურ მსახიობითა უმრავლესობაც და თვით მუშათა უძლიერესი ორგანიზაცია — რ. ს. დ. მ. ჭ. (მენშევიკების) საოლქო კომიტეტი (ოკა). დღეს კი ყველა მას თავს ევლება და დახმარებას პირდება და აძლევს კიდევაც!

დიახ, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ერთი რამ უცვლელი დარჩა დღემდე და, შესაძლებელია, დიდხანს დარჩეს უცვლელათ.

ეს ერთი რამ მდგომარეობას მასში, რომ სახალხო თეატრი დასაწყისიდან დღემდე დამყარებულია სცენის მოყვარეებზე და არა პროფესიონალურ მსახიობაზე. ამაში არის მისი სიძლიერე და მისი სისუსტეც. სახალხო თეატრთან შეკედლებული სცენის მოყვარეთა ჯგუფი შესდგებოდა და შესდგება სრულიად სხვადასხვა ჯურის-მიმართულებით, და ეროვნებითაც კი. ამ სხვადასხვა ჯურის ხალხს აერთებს მხოლოდ სცენისადმი უსაზღვრო და გატაცებით სიყვარული. სცენის მოყვარეთა შეტი წილი. ამ სიყვარულთან აერთებს საზოგადო საქმის სამსახურის სურვილსაც. მათ სწამთ, რომ ისინი ემსახურებიან დიად საქმეს და ამისათვის არ ზოგავენ არც დროს, არც ენერგიას და არც თავის ქონებრივ მხარეს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სახალხო თეატრი მუდამ, როგორიც კი უნდა ყოფილიყო მისი ფინანსიური მდგომარეობა, ახერხებდა არსებობას.

იქ მუდამ იყო სცენის-მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც თავის მუშაობაში არავითარ სასყიდელს არ იღებდა, და ზოგი მათგანი ხშირათ მშიერი;

შეუფერებლათ ჩაცმულ-დახურული გატაცებით მონაწილეობდა. ოოცა კი შეუძლებელი იყო სასყიდლის გაცემა უსახსრობის გამო, სახალხო თეატრი ახერხებდა და დღესაც ახერხებს უსასყიდლოთ ეშვენა ტეხნიკური პერსონალიც: სცენარიუსი, მოკარნახე და თვით რეჟისორიც კი.

სცენის მოყვარეთა თავგანწირულების დასამტკიცებლათ, ჩემს თავს ნებას მივცემ, მოვიყვანო ორი მავალითი. ერთს სცენის მოყვარეს, ომებ-ლიც წელიწადი უმუშევრათ იყო, და თან იმდენათ ხელმოკლე რომ სა-დილს შემთხვევით თვეში ერთხელ თუ საღმე სკამდა, საერთოთ კი ცა-რიელი პურით იკვებებოდა და ხშირად საქმაოთ ისიც არ ქონდა, გამ-გეობის წევრმა ნ. ელიავამ ადგილი უშოვნა. სცენის მოყვარემ ადგილზე უარი განაცხადა, რადგან დაწესებულებაში მუშაობა ისეთ დროს სწარმო-ებდა რომ ის რეპეტიციაზე სიარულს წესიერათ ვეღარ შესძლებდა. მან არჩია შიმშილი და სახალხო სცენა, კარგ ადგილს და სცენის ჩამოშორე-ბას. მისი უსაყველურნია ვისთვისმე. დღეს ეს სცენის მოყვარე სცენაზე თვალ საჩინო ძალას წარმოადგენს.

მეორე სცენის მოყვარეს პირად ცხოვრებაში უბედურება შეემთხვა, რომელმაც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. მან გადასწყვიტა თავის მოკვ-ლა. მაგრამ რადგან იმის სიკვდილი უახლოესი წარმოდგენის გადადებას, გამოიწვევდა (ერთი უმთავრესი როლს თამაშობდა), თავის მოკვლა რამდე-ნიმე ხნით გადასდო. წარმოდგენის დღეს საღამოთი, ოოცა სახალხო სახ-ლში მოდიოდა სათამაშოთ, ვერის ხილზე ფეხით მოუხდა გამოვლა. მას შე-ეშინდა, სასოწარკვეთილებამ არ მძლიოს და წყალში არ გადავარდე და წარმოდგენა არ ჩაიშალოს, და ამის გამო ნიჩირზედ გავლა ვერ გაბედა, ტრამავაის ლიანდაგებს შუა გამოიარა.

შემდეგ მან თავი მოიწამლა. საბედნიეროთ მეგობრებმა დროზე შე-უტყვეს, სათანადო ზომები მიიღეს და სიკვდილს გადაარჩინეს. დღეს ის ჯანსაღათ არის. მხოლოდ სახალხო თეატრს ჩამოშორებულია.

ამისთანა ამბებს შევხვდებით რომანებში და ქართულ სახალხო თეა-ტრიის სინამდვილეში:

თუ ამითი ძლიერია სახალხო თეატრი, აქვეა მისი სისუსტის საფუ-ძველიც. სცენის-მოყვარეებს უყვართ სცენა, მათი. სურვილია სცენა შეინა-რჩუნონ და სცენის გარეშე არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. ერთ დროს, გამწვავებული ბრძოლა არსებობდა სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის და სახალხო უნივერსიტეტის თეატრალურ სექციის შორის. ამ ბრძო-ლამ სცენის მოყვარეობაც ორ ბანაკათ გაჰყო. უმრავლესობა წრეს მიემხრო, როვორც დამოუკიდებელ ორგანიზაციას, დანარჩენები სექციას.

თუმცა სცენის მოყვარეები ცხარე მონაწილეობას იღებენ ამ ბრძო-ლაში, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ სექცია და წრე მხოლოდ შირმა იყო, რომ ეს იყო ბრძოლა ბოლშევიკებს შორის, რომ სექციის სა-ხით იბრძოდა მენშევიკების საოლქო კომიტეტი (ოკა) და წრის სახით. კი:

ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაცია. არც ერთ იმ სცენის მოყვარეს, რომელიც წრის დამაარსებელათ სთვლიდა თავს, არ სცოდნია, რომ წრის ფაქტიური ინიციატორი იყო პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე (26 კომუნართაგანი), რომ ის თერთმეტი მუშა, რომელთაც საჯაროთ გაზეთში მხარი დაუჭირეს წრეს, იყო თბილისის კომიტეტი. მათ ვერ გაეგოთ, რანაირათ შეიძლებოდა, 11 მუშას დაერქმია თავის თავისითვის თბილისის მუშათა უმრავლესობა, როდესაც წრის წინააღმდეგ რამდენიმე ასეულმა მუშამ გამოუცხადა პროტესტი მენშევიკების გაზეთში. მათ არ იცოდნენ, რომ ეს ბრძოლა დაიწყო მას შემდეგ, როცა თბილისში იქნა მიღებული გაზ „სოციალ-დემოკრატი“, სადაც სხვათა შორის იყო ნათქვამი: უკანასკნელი სიმაგრე მენშევიზმისა დამხო, თბილისი ჩვენს ხელშია“...

ამიტომ იყო, რომ როდესაც გამარჯვება წრეს დარჩა, მოწინააღმდეგ სცენის მოყვარები წრეს შეურიგდნენ და მის პატრიოტებათ გადაიქცნენ!

ამნაირი გაურკვევლობა სცენის-მოყვარეებისა ქმნის ნიაღავს, რომელიც შესაძლებელს ხდის, პირადი მოსაზრებით გატაცებულმა პირმა გაიტაცოს სცენის მოყვარეთა ნაწილი და გააჩალოს ბრძოლა იქ, სადაც საბრძოლველი არაფერია. ვი წლის იუბელის კი, რომელიც ნაყოფია ასეთი ტანჯვა წამებას უნდა მეიძღვნას სიყვარულით გამობარი საღამი და ესურეოს კიდევ ვი წლის ისტორიული ხანის შექმნა.

ლ. რუხაძე.

### 30 წლის იუბილეის გამო.

მშრომელი ხალხის მტრებს ყოველთვის თავისებური მიღვომა ჰქონდათ თეატრისადმი.

ბურუაზიული იდეოლოგები ცდილობდნენ და ცდილობენ, თეატრი, სცენა, ხელოვნება თავისი კლასიური მიზნებისთვის გამოეყენებიათ.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ძველ აღმოსავლეთში და საბერძნეთში, რომში და სხვა, გაბატონებული კლასები ასეთი თვალსაზრისით აფასებდნენ თეატრს.

ამის უტყუარი საბუთი მრავლად მოგვეპოვება:

თეატრი, ბურუაზიის ხელში საუკეთესო იარაღი იყო მშრომელთა მასსებზე იდეურ გავლენის მოსაპოვებლად:

სხვა საშუალებებთან ერთად თავის სასარგებლო საზოგადოებრივი განწყობილების და აზრის შესაქმნელად, გაბატონებული კლასები თეატრსაც შესაფერისად იყენებდენ-ცეცხლით და მახვილით, ინკვიზიციით და სიკვდილით და მასთან ერთად თეატრითაც „არწმუნებდენ“ ისინი ხალხს ქვეყნის მფლობელთა ძალაში, ათასგვარ ცრუ-მორწმუნებაში, ღმერთების

ჟოვლის შემძლეობაში, მეფეთა და გმირთა ძალაში და მათ მიერ შექმნილ პოლიტიკურ წყობილების და წესების მარადისობაში.

თანამედროვე ბურუუაზიულმა სახელმწიფოებმა თავის წინაპართა გზას არ უღალატებს. ბურუუაზიულ სამფლობელოში თეატრი, კინო, სკოლა, პრესა—ეს ყველაფერი ობობას ქსელია სადაც იზრჩობა და იღუპება საუკეთესო მერმისისადმი და მშრომელთა ბატონობისადმი მისწრაფების ყოველგვარი წმინდა იდეა. ყველაფერი ეს ძლიერი იარაღი აღმოჩნდა კაპიტალისტების ხელში საზოგადოებაში „ლაქიური“ პსიქოლოგიის, შეგუბის და მორჩილების განწყობილების შესაქმნელად.

როგორადაც არ უნდა ატებობდეს ჩვენს სმენას და მხედველობას მომლერალი და მოცუკვავე, როგორადაც არ უნდა გვიტაცებდეს საუკეთესო მსახიობი, არსებითად ისინი გვხვევენ იდეალისტურ-ავტორიტეტულ აზროვნებაში, რის გამოც ჩვენ თითონ ჩვენსავე ახალგაზრდა თეატრებში განვიდით მათ ძლიერ გავლენას. რასაკვირველია იმართება ისეთი წარმოდგენებიც, რომლების ხელმძღვანელობა და შემოქმედიც ჩვენვე ვართ მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჩვენს. ხელოვნებას ბურუუაზიულ მემკვიდრეობის აქარა ბეჭედი აზის. ხელოვნების გზით მასებზე გავლენის მოპოვების საკითხში ბურუუაზია იყო და დღესაც რჩება გეგმაშეწონილი.

სულ სხვაც ჩვენი მდგომარეობა ამ მიმართულებით ჩვენ ვერ დავიცვით გეგმაშეწონილობა და ლოლიკური თანმიმდევრობა. ჩვენ სულ ჩავაქრეთ ან და უკანა რიგებში მოვაქციეთ თვითმოქმედებაზე დამყარებული მასსიური მხატვრული შემოქმედება, რომელიც კლასიურობის ფესვებზე იყო აღმოცენებული. ჩვენში ფეხს. იკიდებს ის აზრი, რომ ჩვენ არავითარი ხელოვნება არა გგაქვს. ასეთი შემცდარი მოსაზრება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, რომ უყურადღებოთ დავსტოვოთ ახლად ფეხზე წარმოდგარი ჩვენივე მასსიური, კლასიური ხელოვნება, მათ დახმარებისათვის გამოწვდილ ხელს ჩვენ პარტია ვტოვებთ და ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მივუთითებთ,

მუშათა თეატრი ამის ღირსი არ არის. მას დიდი დამსახურება მიუძლევის წარსულში და მომავალშიაც მისგან ბევრს უნდა მოველოდეთ. ამის უტყუარ საბუთათ გამოგვადგება ტფილისის სახალხო თეატრი. ამ კეშმარიტათ მუშათა თეატრმა, თავის გარშემო შემოიკრიბა საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის საუკეთესო ძალები. არამც თუ ჩვენში, არამდე საერთოდ რევოლიუციონურ მოღვაწეთა უმრავლესობა ყოველთვის იქრიბებოდა მუშათა თეატრების გარშემო: მუშათა ინტერესების დამცველი ძალები ჰქმნიდენ ასე თეატრებს და მას ხდიდენ ტაძრათ, საიდანაც რევოლიუციონურ-მარქსისტული იდეა უხვად ვრცელდებოდა მშრომელ ხალხში.

ჩვენი—ტფილისის მუშათა თეატრი საშინელ პოლიტიკურ პირობებშიაც, როდესაც მთელი მუშაობა არა ლეგალურ ხასიათს ატარებდა, იყო საუკეთესო ტრიბუნათ, საიდანაც მძლავრად გაისმოდა დაჩაგრულთა განთავისუფლების ძლიერი ხმა. აქვე მომზადდა არა ერთი და ორი პრაქტი-

კული მოლვაწე. ომელთაც შემდეგ დიდი სამსახური გაუწის მუშათა გან-  
ხავისუფლების საქმეს. აი უტყუარი საბუთი, ომელიც აშვარად ლალა-  
დებს მუშათა თეატრის, კლასიურ ხელოვნების დამსახურებაზე და მომა-  
ვალზე.

ტფილისის სახალხო თეატრმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მო-  
ვალეობა მშომელთა მასების წინაშე.

აი რატომ ვსვამთ პროლეტარულ ხელოვნების და მხატვრულ შემო-  
ქმედების საკითხს მუშათა თეატრის დღესასწაულის დღეს და რატომ  
გვწამს, ამ თეატრის ღვაწლის ღირსეული დაფასება შეიძლება იყოს მხო-  
ლოდ ჩვენი კლასიური იდეიის.

ჩვენი მატერიალური დაზმარება და ყურადღება ამიერიდან სავსებით  
უნდა მივმართოთ კლასიურ-პროლეტარულ თეატრის შექმნა აღორძინები-  
საკენ.

და, ამიერიდან მაინც სოციალისტურ რესპუბლიკების ფარგლებში  
გაუჩნდეს მშობელი დედა მუშათა პროლეტარულ თეატრს, და, სახელ-  
მწიფოს თეატრალური პოლიტიკა მიიმართოს ჩვენი თეატრის კეთილდღე-  
ობისაკენ.

სალამი სახალხო თეატრის მემკარალტრეთ.

სალამი ტფილისის მუშათა თეატრს, ომელმაც მტკიცე საძირკველი  
ჩაუყარა მუშათა შემოქმედებას.

სალამი, 30 წლის; 9 დეკემბრის ბრწყინვალე დღესასწაულს.

თ. სახოკია.

## სახალხო წარმოდგენები ტურისში.

(წარსულიდან)

წარსულ საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია. ქართულ თეატრში  
(სათავადაზნაურო ქარვასლაში) კვირაში ერთხელ გაიმართება წარმოდგე-  
ნა. ამ წარმოდგენებს შაგირდობა და კანტი-კუნტად მდაბიონიც ესწრე-  
ბიან. ხელმოკლე ხალხი, მასა, წარმოდგენას გარეშე რჩება.

ქართული მეორე და მესამე ხარისხოვანი არტისტები — არტისტის (აწ  
განსვენებულის). ალექსანდრე ნებიერიძის მეთაურობით წარმოდგენებსა მარ-  
თავენ ცენტრის განაპირობას, იქ სადაც დღეს მელიქ-აზარიანცისეული სახ-  
ლია. მაშინ მანდ ცარიელი ადგილი და ხრამი იყო. აქა-იქ დაბალი სა-  
მიკიტნოები იდგა და ერთი დუქანთაგანი სასცენოდ იყო მოწყობილი.  
მართალია, ხალხი ესწრებოდა წარმოდგენებს, მაგრამ რაკი არტისტები თა-  
ვიანთის გამორჩენის აზრით შრომობდენ და თუმცა ფასებიც ქართულ

თეატრის ფასებთან შედარებით ნაკლები იყო, ფართო მასას მაინც არ მიუწვდებოდა ხელი და უმრავლესობისათვის ეს სკოლა მიუწოდებული იყო.

განსვენებულ ექიმ ნ. ხუდაფოვის (მაშინ ქალაქის ხმოსანი) მეცადიანეობით ქალაქმა დაუთმო შენობა ავტალის ქუჩაზე (საკა წყალსადენია) და გაკეთდა ეგრედწოდებული „სახალხო აუდიტორია“ ტფილისისა. ინტელიგენცია სათავეში ჩაუდგა ხალხის გამოლვიძების საქმეს და შეუდგა მუშაობას, რამდენადაც კი სისტემატიურად შეიძლებოდა მუშაობა მაშინდელ პოლიციას და ცენზორის მეთეულურებითა. იმართებოდა წარმოდგენები, პოპულიარული ლექციები, უწვენებდენ ბუნდოვან სურათებს. სასყიდელი არავის არ ეძლეოდა. შესასვლელი ფასიც მეტად მინიმალური იყო, სულ რაღაც შაურები, ხან ისიც არა.

აქვე მოეწყო წრე სცენის მოყვარეთა, რომელთა სულის ჩამდგმელო გახდა გიორგი ჯაბაური, ახალგაზდა კაცი, საქმისა და ხალხის სიყვარულით თავდავიწყებამდე გატაცებული. ჯაბაურმა გარშემოიკრიბა მასწავლებლები. ამ წრეში ვხედავდით: გიორგი ლასხიშვილს, ანნა ჩაჩიბაიას (რლლას ქუჩაზე მყოფ სკოლის გამგეს და აწ განსვენებულს), ეკატერინე წულუკიძისას (ანნა ლორთქიფანიძის ქვრივს) და სხ. მახსოვს ერთხელ მეც მომიხდა ისიც რუსულ პიესაში (მგონი ჩებოვის „დათვი“ იყო) თამაში.

ავჭალის აუდიტორიას მიჰყენენ სხვა უბნებიცა და აგეთივე წრე სცენისმოყვარეთა გაჩნდა ავლაბარში და სხვაგან. ამ წრეთა მუშაობამ, მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებათა, თითქმის სისტემატიური ხასიათი მიიღო, და ცენტრს მოშორებული მდაბიო ხალხი ასე იყო თუ ისე იქმაყოფილებდა თავის სულიერ მოთხოვნილებას და ნელ-ნელა გამოფხიზლების გზას ადგებოდა..

განვლო ხანმა და ძმათა ზუბალაშვილების უხვმა შემოწირულებამ ტფილისის ხალხს საკუთარი „სახალხო ხახლი“ აუგო, საკა სახალხო წარმოდგენების საქმეს მკვიდრი და ურყევი საძირკველი ჩაეყარა.

### პეტრე მირიანაშვილი.

## სახალხო თეატრის დღესასწაული.

ვინც ამ ოცდათო წლის განმავლობაში წიჭა და ჯან-ლონეს ახმარებდა მშრომელ ხალხის ზნეობრივ გაჯანსალებას, იმათი სახელები ჩვენთვის სათაყვანებელი უნდა იყვეს.

განათლებულ ქართველთა ჯგუფი, რომელმაც პატარა-კახის დროს თელავის სემინარია დასრულა და რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ დასდგა 1791 წელს პირველად ქართული დრამა თეომურაზ მეფე, გიორგი ავალიშვილისა და შემდეგ იმავ ავტორის თარგმნილი: რქის მატარებელი

სუმაროკოვის კომედია (წლის განმავლობაში სამჯერ წარმოდგენილ იქმნა,) — აგრეთვე სახალხო თეატრისთვისაც ჰუნდავდა. იმდენად ხელსაყრელი გამოდგა სათეატრო საქმე, რომ მესვეურიც გაუჩნდა ვინმე გაბრიელ მაიორი, რომელიც წარმოდგენებს ჰმართავდა ძველი ალთქმის — ებრაელთა ცხოვრების ზოგიერთი ამბის განსცენიერებით. მის თეატრში შესასვლელ ბილეთებზე, რომელიც აქნამდე დაცულია, ლექსად წარწერილი „შაური ორი გაბრიელ მაიორი“. მაგრამ ასეთი კარგი დაწყებულება სათეატრო ხელოვნებისა აღამაპმად ხანის ურდოებმა ჩაფუშეს იმ ხელშეკრულობისთვის, რომელიც პატარა კახმა 1783 წ. დასდო რუსთ ხელმწიფესთან. მას აქეთ ქართული თეატრის საქმე აღარავის ახსოვდა 1850 წლის იანვრის ორამდე, როცა წარმოდგენილ იქმნა გაურა, კომედია გიორგი ერისთავისა, რითაც განახლდა ქართული თეატრი, დაარსებული 1791 წელს. რუსთ ხელმწიფო ბის რეჟიმს, რომელიც ცოტაოდენ სუბსიდიას აძლევდა ქართულ თეატრს შემდეგში ველარ ეგუებოდა ქართული დრამატიული დასი — ჯერ ათვალწუნებულ იქმნა სახელმწიფო რუსულ-იტალიური წარმოდგენების დირექციის მიერ, რომელსაც ეჭვემდებარებოდა, ხოლო როცა ხელმწიფის მოადგილე კორონცოვი წავიდა, ხელმოკლეობის გამო სრულიად დაიშალა. ამის გამო ქართული თეატრის საქმე თანდათან დაკვეითდა და მხოლოდ სამოცაათიანი წლებიდან გახდა შესაძლებელი დაარსება ქართული მუდმივი სცენისა, რომელსაც ინახავდა არა რუსთ ხელმწიფის იმპერიალისტურ ბიუროკრატიული მთავრობა, არამედ მის მიერ ეკონომიურად დაბეჭავებული ქართველი საზოგადოება. თვით ქართული თეატრის არსებობა წყეული ძველი რეჟიმის დროს ერთგვარი პროტესტი იყო, რევოლუციონური ნაციონალიზმის ნაკარნახევი, და მაშინდელი მთავრობა როგორ შეიწუხებდა თავს ქართული სახალხო თეატრისთვის პირიქით აუარებელ ხარჯს ეწეოდა მხოლოდ იმისთვის, რომ რუსული ოპერისა და რუსული დრამის დადგმის საქმე განევითარებინა ქართველი საზოგადოების გასარჯესებლად, დასამტკიცებლად იმისა, რომ ხალხის დაბყრობა შეიძლებოდა არა მხოლოდ იარაღითა, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ.

დღეს შშრომელ ხალხს თავგანწირული ბრძოლით მოუპოვებია ეროვნული განათლების ბუნებრივი უფლება და თავისი ბედის თვით მესვეური მადლობის გრძნობით იგონებს მათ ღვაწლს, ვისაც ამაგი გაუშევია სახალხო თეატრის საქმის გასამარჯვებლად. შახსოვს ის დრო სამოცაათი წლებისა, როცა მშობლებს სათაკილოდ მიაჩნდათ თავიანთ ქალ-ვაჟთა სცენაზე. მოლვაწეობა, დღეს კი ვხედავ სახალხო თეატრის ოცდაათი წლის საიუბილეო დღესასწაულსაც!

გაუმარჯვოს სახალხო თეატრს და მის მოლვაწეებს!

გაუმარჯვოს მშრომელ, ხალხს, რომელჯაც შეუძლია თავის მომავეთა დათასება!

## სახალხო სახლთან არსებული კართულ დრამის გუშაკები.

ელ. ჩერქეზიშვილი: სახალხო სახლის არსებობის 30 წლის განმავლობაში ხშირად იღებდა მონაწილეობას სრულიად უსასყიდლოდ აღილობრივ დასის მუშაობაში.

1922—23 წლის სეზონში კი იგი მოწვეულ იქნა სახალხო სახლის ქართულ დრამის წასში მუდმივ მსახიობად.

ამ დროს განმავლობაში განასახიერა:

მამიდას როლი — „სტუმარ-მასპინძლობა“,

ევდოკია — „დღენი ჩეოვრებისა“,

ფროშარი — „ორი ობოლი“.

ს. რომანიშვილი-დგებუაძე: 1894 წელი — ეს თარიღია მისი მოღვაწეობის დაწყებისა სახალხო თეატრის სცენაზე. იგი ეკუთვნის იმ ქალთა ჯგუფს, რომელთაც მოურიდებლივ გადალახეს იმდროინდელ თვალსაზრისით „სამარცხებინო“ ჰლუდე და სცენას მოევლინენ ერთგულ მუშაკებად და მისი ტანჯვა თვის ტანჯვად გაიზიარეს.

მსახიობის მოვალეობის აღსრულების გარდა იგი ბევრ ზანს ირიცხებოდა წრის გამგეობის წევრად და დღესაც დაუღალავად და დიდის სიყვარულით მუშაობს.

მისი განსახიერებული როლებია:

ნატო — „დრონი მეფობენ“,

ლუიზა — „ორი ობოლი“;

კრუჩინინა — „უდანაშაულოდ დასჯილნი“,

ბარონესა — „სულელი“,

დარო — „სტუმარ-მასპინძლობა“,

მარიამი — „მსხვერპლი“.

ს. ანკარა პირველი მისი სასცენო ნაბიჯი იწყება 1906 წლიდან ვერის აუდიტორიის სცენაზე. 1911 წლიდან იგი გადადის სახალხო თეატრში და დღემდის მას ემსახურება.

მის განსახიერებას ეკუთვნის დრამატიულ ქალის როლები:

ლიზ — „სულელი“.

ოლ-ოლ — „დღენი ჩეოვრების“

ქრისტინე — „ქრისტინე“. .

ტასო — „მეზობლები“. .

გენრიეტა — „ორი ობოლი“. .



დგანან: გ. გარსიაშვილი (რეფისორის თანაშემწე), ლ. კანდელაკი (რეფისორის თანაშემწე), სხდან: მ. ღვამიჩავა (რეფისორი), ა. ბალრიძე (თანაშემწე), ი. ბარეგელი (რეფისორი).



მოქარნაზენი: ჭ. გელეიშვილი, ა. ცაბაძე, მ. თუშმალიშვილი.

ლენა — „გზა-ჯვარედინზე“.

მარო — „ნიღაბ-ქვეშ“.

თამარა გოგოლაშვილი — ძველი სახალხო სახლის მოღვაწე — თითქმის მის დაარსებიდან. მუღმივად იჩიცხებოდა დასში 1922—23 წლის სეზონის განმავლობაში.

ქრისტინე — „ქრისტინე“.

„დარისპანის გასაჭირი“ — „კაროუნა“.

„იმედის დალუპვა“ — „იო“.

ელეონორა — „ელეონორა“.

თამარა ბაქრაძე — ძველი მოღვაწე სახალხო სცენის. დაულალავალ შრომობდა მისი განდიდებისათვის თითქმის დაარსებიდანვე.

გ. ქილარჯიშვილი სასცენო მოღვაწეობას იწყებს 1905 წლიდან ქუთაისის თეატრში ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით.

ამ წლიდან იგი მუშაობს მთელი სეზონობით სხვადასხვა დროს ქუთაისის, ტფილისის, როგორც ქართულ თეატრის, ისე სახალხო თეატრში. სახალხო თეატრში დაიწყო მუშაობა 1917 წლიდან. მისი ამპლუა: დრამა ტიული გმირი ქალი.

განსახიერება: თეკლე — „ბურუსი“.

მართა — „დამნაშავეა“.

განო — № 21. +

ზეინაბ — „ლალატი“.

კატო — „მეზობლები“.

კორნელია — „კაიგრაქი“.

ქ. ბარათაშვილი — სასცენო მუშაობას იწყებს 1897 წლიდან ქ. კავკავში; 1909 წელს მიემგზავრება ქ. ვარშავაში, სადაც ორი წელი დაჰყო დრამატიულ კურსებზე. 1904 წელს უბრუნდება საქართველოს პროვინციის სცენას ქ. სიღნალში. 1906 წელს განაგრძობს მეცადინეობას ქართულ დრამატიულ კურსებზე ქ. ტფილისში და იმავე დროს მოღვაწეობს ავჭალის აუდიტორიის სცენაზე.

ამ ხანად იგი ასრულებს დრამატიულ გმირის როლებს.

1908 წელს ასრულებს დრამატიულ კურსებს და იწვევენ ქართულ თეატრის დაში, ზემოდასახელებულ ამპლუაზე.

1910 წლიდან ისევ უბრუნდება სახალხო თეატრს და დღევანდლამდე მას არ მოშორებია.

ასრულებს დრამატიულ მოხუცებულების და სახასიათო როლებს.

მარინე — „ქართველი დედა“.

ადელაიდა — „სულელი“.

მარიამ — „მხვერპლი“.

გალჩიხა — „უდანაშაულოდ დასჯილნი“.

6. ნინოზი 1915 წლიდან მუშაობს სახალხო სახლის სცენაზედ— სი-  
სტემატიურად ვიღრე 1921 წლამდე. 1922 წლიდან ისევ უბრუნდება სა-  
ხალხო თეატრს.

მხატვრულად მის შესრულებას ეკუთვნის.

გაიანე „ლალატი“.

ოლინა— „მეზობლები“.

ნუკა— „სტუმარ-მასპინძლობა“.

8. ასათიანი იწყებს მუშაობას 1905 წელს სახალხო სახლში, სადაც  
რჩება 1908 წლამდე.

1909 წელს მუშაობს ქუთაისის სცენაზე, ხოლო 1911 და 1912 წლებ-  
ში ბაქოში. 1913 წლიდან ვიღრე 1915 წლამდე დრო გამოშვებით მოღ-  
ვაწეობს ქართულ თეატრის და სახალხო სახლის სცენაზე, ხოლო 1922  
წლიდან სახალხო თეატრის დასში.

ასრულებს დრამატიულ ქალის ორლებს.

სონა— „სიმანხიჯე“

დუნია— „ცხოვრების გარეშე“

ლიდა— „დამზრალი წალკოტი“

ნატო— „მსხვერპლი“

6. მინდელი— იგი მიმდინარე წლის სეზონამდე ასრულებდა პატა-  
რა ორლებს, მხოლოდ 1922/23 წლის სეზონის განმავლობაში მას დაეტ-  
ყო წინ სკოლა რეკისორ შ. დაფიანის შემწეობით.

ასრულებს:

ელპიდა— „სიყვარულის საზღვართან“

თეკლე— „უგვირგვინო მეფენი“

9. იანქოშვილი ირიცხება სახალხო სახლის დასში 1915 წლიდან—  
1923 წლამდე.

ანსახიერებს:

ნიკა— „კაცის სამართალი“

მის-ვიგონტ „ჩერჩეტი“

ჩიტუნია— „გუშინდელნი“.

სიბილა. ახალგაზდა მსახიობი. იწყებს სისტემატიურ მუშაობას  
სახალხო სახლში 1922 წლის სეზონიდან. ამ მცირე ხნის განმავლობა-  
ში მის ნიჭიერ თამაშს ახასიათებს:

თებრო— „სტუმარ-მასპინძლობა“

ასული— „უგვირგვინო მეფენი“

ლიზბეტ „ჩერჩეტი“.

ს. ყოჩაიშვილი მუშაბს სისტემატიურად 1922—23 წლის სეზონიდან.

ნინო ჩიხლაძე— ქუთაისის თეატრის მსახიობი. 1923 წელს მოიწვი-  
ეს სახალხო თეატრში.

ამ ხანში შეასრულა:

მარია ლიაშვილესკაია — „კოდვა“.

ჭრ. დოროთეა — „მეფის დალაქი“.

**ვერა მარგელაშვილი** — ქართულ თეატრის მსახიობი 1909 წლიდან. სახალხო სახლის სცენას არ მოშორებია ა წლის განმავლობაში, სადაც ასრულებდა „ინუენიუს“ პირველ როლებს. 1919 წლიდან მუშაობდა სოხუმის, ბათომის და ჭიათურის თეატრებში.

1923 წლიდან კვლავ განაახლა სახალხო სახლში მუშაობა:

მის განსახიერებას ეკუთვნის:

მარგარიტა — „ნამუსისათვის“,

ბლანკა — „მეფის დალაქი“

ელიკო — „მეგობრობა“ და სხვ.

**ა. ჩარეკიანი** — 1908 წელს მუშაობდა ქუთაისის თეატრში. ორიცებ-ბორა შ. დადიანის მოზაურ დასში. 1912 წლიდან ტფილისის სახალხო. სცენებზე მუშაობდა. 1923 წლიდან ჩაირიცხა სახალხო სახლის მუდმივ დასში. ნათამაშევი აქვს სხვა-და-სხვა სახასიათო და იმერლის როლები:

კიქელა — „გუშინდელნი“.

სიღედრი — „სტუმარ-მასპინძლობა“.

**პელ. ლორთქიფანიძე** — ემსახურება სცენას. ა წლის განმავლობაში სახალხო სახლში მუშაობს 1923 წლიდან.

შეასრულა:

დარო — „სტუმარ-მასპინძლობა“.

ელენე — „უნიადაგონი“.

**ელო ავალიშვილი** — საგარეჯოს თეატრის ყოფილი სცენის მოყვარე, 1923 წლიდან დაიწყო მუშაობა სახალხო თეატრის ქართულ დრამის სცენაზე, ითამაშა შემდეგი როლები:

ნინა — „კოდვა“.

აგრაფენა — „გუშინდელნი“.

**ელო ანდრონიკაშვილი** — სახალხო სცენის დამსახურებული მოღვაწე. ქართულ თეატრის მსახიობი 1893 წლიდან. უმუშავნია დრო-გამოშვებით. სახალხო სცენაზე ავჭალის აუდიტორიიდან.

მისი განსახიერება:

ჰანელე — „ჰანელე“.

გაიანე — „ლალატი“.

ქრისტინე — „ქრისტინე“.

ქეთევან — „სამშობლო“ და სხვა მრავალი.

**ნ. გოცირიძე:** 1896 წლიდან არ მოშორებია სახალხო სცენას. და დღესაც თუმც იგი მიწვეულია ქართულ აკადემიურ დასში რესთა-

უელის თეატრში, მაგრამ მაინც არ სტოვებს სახალხო სახლის სკენას და ჩვეულ განუზომელ სიყვარულით და ნიჭიერობით განავრძობს მსახურებას სახალხო სკენაზე.

მის მიერ განსახიერელული როლები ორიგინალურ პაესებში:

ავეტიქა— „რაც გინახავს, უელარ ნახავ“,

აკოფა— „ხანუმა“,

საქო— „მსხვერპლი“,

გრუშნევსკი— „მეზობლები“ და სხვა;

ნათარგმნი პიესებში:

ტარტიუფი— „ტარტიუფი“.

პატრი— „ყაჩალები“,

ბრაბანტიო— „ოტელო“,

შმაგა— „უდანაშაულოდ დასჯილნი“,

ონუფრი— „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“,

კობუს— „იმედის დალუპვა“ და სხვა:

ხშირად რეჟისორობას უწევდა სახალხო სახლის ქართულ დრამას.

ი. რომანიშვილი პირველი მისი ნაბიჯი სასკენო მოღვაწეობაში 1900 წლ. აღინიშნება რუსულ დასში ქ. ბაქოში.

1901 წლიდან დღევანდლამდე ეს ნიჭიერი მსახიობი ამშვენებს სახალხო თეატრის სკენას თვისი ყოველთვის დაკვირვებული და მოხდენილი ტიპის განმსახიერებელი თამაშით.

მის განსახიერებას ეკუთვნის:

საბა— „სიმახინჯე“,

სილვა— „შეშლილნი“,

გერასიმ— „უმუშევარნი“,

იუსტუს— „ჩერჩეტი“

გაბო— „მსხვერპლი“,

დიანოსი— „დამზრალი წალკოტი“,

ანანია— „ლალატი“.

ლუქა— „გზა ჯვარედინზე“

1922 წლიდან მსახიობის მოვალეობის გარდა გამგეობის დავალებით მორიგ რეჟისორად ირიცხებოდა.

მის დაღვმას ეკუთვნის:

„გზა-ჯვარედინზე“,

ი. შინდიაშვილი. პირველი თავისი სასკენო მოღვაწეობა დაიწყო 1908 წელს პროექტის სახალხო სკენაზე, 1912 წლიდან კი მუდმივად ირიცხება სახალხო სახლის დასში. მისი ამჰლუა— რეზონიორი. ასრულებს საპასუხისმგებლო როლებს.

მამასახლისი— „მსხვერპლი“.

საღათელა— „ნამუსისთვის“.

დავით — „რაც გინაკავს ველარ ნახავ“.  
ლონჯიხოტი — და სხვა.

მ. თუშმალიშვილი 1893 წლიდან ემსახურება სახალხო თეატრს. როგორც მუდმივი მოკარნახე, წინად სცენაზედაც იღებდა მონაწილეობას, ქაკულა — „პეპო“.

პეტრა — „ციმბირელი“.

სახალხო თეატრის დაარსების ერთი პირთაგანი.

გ. ჭაბაური 1891 წლიდან მიზნად ისახავს თეატრალურ იდეის განმტკიცებას ქალაქის განაპირო უბნებში და ამ იდეას ემსახურება თავის ენერგიით. ეკუთვნის იმ პიონერთა ჯგუფს, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს სახალხო თეატრს.

განსაზღვრული ამპლუა არ ახასიათებს. თამაშობდა მრავალ საპასუხის გებლო და სხვა და სხვა ტიპის როლებს. სწერდა სახალხო თეატრების ხრონოლოგიებს.

რ. სალაყაია 1891 წლიდან ჯერ არა ოფიციალურად გამართულ უბნის წარმოდგენებში იღებს მონაწილეობას და შემდეგ 1902 წლიდან კი ირიცხება ავლაბრის სახალხო თეატრში, ხოლო მისი დახურვის შემდეგ გადმოდის სახალხო სახლში და იქ დღევანდლამდე განვითარდა მოღვაწეობას შეუწყვეტლივ.

ამ ხნის განმავლობაში იგი ავლაბრის თეატრში ყოფნის დროს ირაცხებოდა რეჟისორის თანეშემწედ და მმართველ სექციის წევრად.

მის შესრულებას ეკუთვნის:

დათია — „ქრისტინე“

მელუქნე — „სოფლის გმირები“

კოხტაია — „რაც გინახავს ველარ ნახავ“.

გასტონ — „პარიზის ღარიბ-ლატანი“. .

5. ჭანკვატაძე — სცენიური მოღვაწეობა დაიწყო ვერის აუდიტორიაში 1907 წელს, სადაც დაჰყო 1909 წლამდე. ამ უკანასკნელ წლიდან ვიდრე 1921 წლამდე თვისი სასცენო მოქმედება გადააქვს სახალხო სახლის სცენაზე. მის შესრულებას ეკუთვნიან:

ხლესტაკოვი — „რევიზორი“

არჩილი — „გამცემი“

ფლემინგი — „პედაგოგები“.

კოტე — „ნიღაბ ქვეშ“.

1911—13 წელს ირიცხებოდა სახალხო სახლის ოფერსორის თანაშემწედ.

გრ. ანაშვილი 1901 წლიდან იგი მუშაობს სხვა და სხვა უბნების სცენის მოყვარე ამხანაგობებში.

1903 წლიდან იგი იწყებს სისტემატიურ მუშაობას ავჭალას აუდიტორიაში და შემდეგ სახალხო სახლში. მუშაობა დღევანდლამდე არ შეუწყეტია:

ასრულებს:

დანტიე — „იმედის დალუპვა“

საქო — „მსხვერპლი“

კ. ხახანაშვილი 1901 წლიდან დაიწყო მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში და შემდეგ სახალხო სახლში. ხშირად ყოფილა ჯერ მმართველ „სეჭუიის“ წევრად და შემდეგ გამგეობის წევრად. სთარგმნა პიესები „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ „ლაქია“ და „რევოლუციონური ქორწინება“ თამაშობს შემდეგ როლებს:

გიგო — „მსხვერპლი“

ოთარ — „სტუმარ-მასპინძლობა“

ბოს — „იმედვის დალუპვა“

გიუჟა — „რაც გინახავს ველარ ნახავ“

ალ. თავდგირიძე 1911 წლიდან მოლვაწეობს ავლაბრის სახალხო სცენაზე. 1913 წელს მეცანიერობდა ქართულ დრამატიულ სტუდიაში ერთი წლის განმავლობაში და იმავე დროს მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენებში. 1916 წლიდან კი სისტემატიურად მუშაობს სახალხო სახლში გმირების როლების აღმასრულებლად.

ასრულებს:

ვანო — „მსხვერპლი“

სიმონ — „ნილაბ ქვეშ“

ირაკლი — „№ 21+“

ალ შეტრეველი პირველი მისი გამოსვლა იწყება 1900 წელს ავლაბრის არაქსიანის თეატრში „პატარა კახი“ს როლის შესრულებით.

1906—1907 წლებში მოლვაწეობს ვერის აუდიტორიაში. 1909 წელს გამოდის სახალხო სახლის დასში, საღაც განუწყვეტლივ პირნათლად ასრულებს მსახიობის მოვალეობას. დღევანდლამდე ასრულებს:

ფონ-ლაუფენ — „სამხედრო ბანაკში“

ნეზნამოვ — „უდანაშაულოდ დასჯილნი“

პეტია — „ცხოვრების გმირი“

გლუხოვცევა — „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

სიმონ — „ნილაბ ქვეშ“

ირაკლი — „ღალატი“

გ. თაზიშვილი სცენიურ მუშაობით გატაცებულმა თვისი მუშაობა დაიწყო 1904 წელ ქ. გორში რუსულ დრამატიულ დასში. 1907—10 წლებში იგი გადმოდის ქ. თბილისში და იწყებს მუშაობას ჯერ ვერის. და შემდეგ ავჭალის, აუდიტორიაში. 1910—1914 წლებში. იგი კვლავ უბრუნდე-

ბა პროვინციას და მისი თაოსნობით სდგება გორის მაზრაში აღილობრივ ძალებით დასი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. 1917 წელს იგი უბრუნდება სახალხო სახლს, სადაც დღემდის იმყოფება. სასკენო განათლება მიიღო, როგორც თავის ცდით და ლიტერატურის საშუალებით, აგრეთვე რეჟისორთა კარგარეთელის, დარიალოვის, ნელიდოვის და ქართულ სტუდიის საშუალებით.

1921—22 წ. სეზონისათვის იგი მიწვეულ იყო სახელმწიფო დაში, შავრამ უარი განაცხადა.

აქვს რამოდენიმე ნათარგმნი პიესა: „კატასტროფა“—გრაციესი „ზნეობრივობის დამცველნი“—ფრაპანისა, „საპყრობილე“, „ქალი ქუჩიდან“ და სხვა.

მისი დამახასიათებელი როლებია:

გიგო—„მსხვერპლი“  
ვახტანგ—„ელეონორა“  
გიორგი სააკაძე—„უგვირვეინო მეფენი“.  
როსტომი „ნილაბ-ქვეშ.“  
ვახმისტრი. „სამხედრო ბანკში“.  
მეფე—„მეფის დალაქი“.  
ოთარბეგი—„ლალატი“.  
სტალინსკი—„ცოდვა“.  
ჰარონ—„ისმინე ისრაელ“.  
გრუბერ—კატასტროფა.

ვ. ნინიძე იწყებს სისტემატიურ შუშაობას 1906/7 წლებში ჭიათურის თეატრის სცენაზე ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით, სოსიებს როლის შესრულებით პიესა „მეზობლებში“. 1907 წლიდან ვიდრე 1910 წლამდე იგი შუშაობს დრო გამოშვებით პროვინციის სცენებზე.

სახალხო თეატრის იდეა მას იზიდავს თავისკენ და 1911 წლიდან იწყებს სისტემატიურ მუშაობას სახალხო სახლში.

მის განსახიერებულ ტიპებს ეჯუთვნის მრავალ მხრივი, სახასიათო როლები:

დათია—„ქრისტინე“.  
ჩიქვანი—„გეგეჭკორი“  
გიორგი—„კაცის სამართალი“  
სუთიძე—„მეზობლები“  
აპოლონ—„დამზრალი წალკოტი“  
ასლან გირეი—„ელეონორა“  
ივანე „—იასონის ოინები“  
ვლადიმერ—„გზაჯვარედინზე“  
ბოქაული—„მსხვერპლი“

ვლ. ადამიძე—იწყებს მუშაობას 1906 წელს სხვადასხვა უბნების თეატრებში. 1909 წელს პირველ წარმოდგენის დაღვგმაში სახალხო სახლში იღებს მონაწილეობას და შემდეგ მიემგზავრება რუსეთში უმაღლეს სწავლის დამთავრებისათვის.

ქ. კიევში უნივერსიტეტში მეცალინაობის დროს მუშაობს როგორც ქართულ ისე რუსულ დასებში.

1918 წელს ასრულებს უმაღლეს სასწავლებელს და პქმნის საკუთარ ჭართულ დასს, რომელსაც ხელმძღვანელობს ქ. კიევში 1920 წლის დამლევამდე.

1921 წელს ბრუნდება სამშობლოში და შეღის სახალხო სახლის ქართულ დასში, სადაც თავის დაკვირვებული თამაშით აძლიერებს მუშაობას. მას არ სახასიათებს რომელიმე ერთი მიმართულების როლები, მისი თამაში მრავალ მხრივია. შესრულებას ეკუთვნიან.

ფონ-ლაუფენ—„სამხედრო ბანქში“

კურტ—„ჩერჩეტი“

ბეგლარ—„ნილაბ-ქვეშ“

ლევან კრეპიაშვილი—„ელეონორა“

სემიონოვ—„ომი“

ფონ-ბილერ—„მეზობლები“

შოთა—დამზრალი წალკოტი.

არისტოდე—„მეფის დალაქი“

ანტ. ლითანიშვილის სასცენო მოღვაწეობის თარიღით: ითვლება 1919 წელი, ჯერ ავჭალის აუდიტორიაში და შემდეგ რეინის გზის თეატრში.

1920 წლიდან ვიდრე—1922 წლამდე სისტემატიურად მუშაობს ნაძალადევის თეატრში, ხოლო 1922 წლის სეზონში კი იგი მოწვეულ იქნა სახალხო სახლის ქართულ დასში.

მისი როლები:

შადიმან—„უგვირგვინო მეფენი“

არიმან—„სტუმარ—მასპინძლობა“

მიშკა—„დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

დიმიტრი—„დამზრალი წოლკიტი“

ლეონ ბერგ—„№ 21 †.“

რ. ჯიბილ. ოცი წლის განმავლობაში უანგაროთ ემსახურება სახალხო სცენას ჯერ ავლაბარში და შემდეგ სახალხო სახლში.

ავტორი, მკითხველი გურულ სცენების, იუმორისტულ წერილების.


მოხდენილად ასრულებს გურულ-იმერულ სახასიათო როლებს.

ატაკუტა—„სტუმარ—მასპინძლობა“

მაქსიმე—„იასონის ოინები“

გურგენ—„სოფლის გმირები“.

Անհաղթ պայման առևիճակա զան



აკ. ხორავა სახალხო სახლში მუშაობდა 1921 წლიდან, როგორც მსახიობი და შემდეგ გამგეობის წევრი. სახალხო სახლში მისვლამდე 1922 წელს იგი მიწვეულ იყო მუშათა ცენტრალურ კლუბის თეატრში.

ქართულ დრამატიულ აკ. ფალავას სტუდიაში შესვლით და შემდეგ აკადემიურ დრამაში მსახიობად გადასვლის გამო დრო გამოშვებით გამოღის სახალო სახლში.

მის განსახიერებას ეკუთვნის:

დიმიტრი — „დამზრალი წალკოტი“

შაჰი — „ქართველი დედა“.

ბარონ შტრონგერ — „სულელი.“

ალ. კუპრაძე 1917 წლიდან ჩაირიცხა სახალხო სახლის ქართულ დასში თანამშრომლად. 1919/21 წლებში ასრულებდა სცენარიუსის მოვალეობას, ხოლო შემდეგ გადარიცხულ იქნა მსახიობად, რა ხნის განმავლობაში მან შეასრულა.

მიხა — „მსხვერპლი“

ვალოდია — „ომი“

ისმაილ — „ელეონორა“

გოძიაშვილი ნ. პირველი სასცენო მუშაობა დაიწყო ბათომის სცენაზე 1917 წელს, ხოლო 1919—1920 წლების სეზონში კი სახალხო სახლის ქართულ დასში.

1921 წელს უბრუნდება კვლავ პროვინციის სცენას ჭიათურაში რა მიმდინარე სეზონს კი განაგრძობს მუშაობას დრო გამოშვებით სახალხო სახლის ქართულ დრამის დასში.

მის მიერ შესრულებულ მთავარ როლებს ეკუთვნიან:

დათა — „ბურუსი“,

შიო — „დამზრალი წალკოტი“,

კოტე — „ნილაბ-ქვეშ“.

გამ. კობელი სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1912 წელს თანამშრომლად სახალხო სახლში, ხოლო 1918 წელს იმავე დასში მუშაობდა, მსახიობად.

მეცალინეობდა 9 თვეს განმავლობაში 1918 წელს გიორგი ჯაბადარის სტუდიაში და შემდეგ ისევ სახალხო სახლს დაუბრუნდა.

საპასუხისმგებლო მასზე დაკისრებული როლები:

არიმან — „სტუმარ — მასპინძლობა“

მიხა — „მსხვერპლი“

ადიუტანტი — „სულელი“.

შირიან ჭანიშვილი ძველი 25 წლის სცენის მუშაკი: უმთავრესი და ღირშესანიშნავი ღვაწლი მიუძღვის ჭიათურის თეატრის განმტკიცების ორგვლივ. სახალხო სახლში ჩაირიცხა მიმდინარე 1922 წლის სეზონში.

1910 წლიდან გამოსცა უურნ. „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც უმთავ-  
რესად სახალხო თეატრის წინსვლას ემსახურებოდა.

დასწერა რამდენიმე პიესა, გამოსცა მრავალი წიგნი, შეაღვინა „უ-  
ხო სიტყვათა ლექსიკონი“.

### ვასილ თევდორაშვილი—ჯანიაშვილი.

„სცენის მოყვარე ხელოსანთა გამგეობის“ პირველი თავმჯდომარე,  
სახალხო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი, წინად გამოდიოდა სცენა-  
ზედაც. შეუსრულებია ნიკო მოურავი—„რაც გინახავს ველარ ნახავ“, პე-  
ტრე—„არსენა“, ადამია—„და-ძმა“. და სხვ.

### ისაკ ჭელაშვილი.

სახალხო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი პირველ ხანად ქალის-  
როლებს ასრულებდა, შემდეგ სომხის კომიკურ როლებს (გიქო—„პეპო“,  
სტეფანე—„ციმბირელი“ და სხვ). გარდაიცვალა.

### დავით შველიძე.

სახალხო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი, კომიკურ—კინტონების  
და ფატის როლების შემსრულებელი, ბოლო ხანებში ბაქოს სახალხო სკო-  
ნის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი.

## ჩ ე ზ ი ს თ რ ე ბ ი.

კ. შათირიშვილი სახალხო სახლის მესაიდუმლე, მისი პედაგო-  
გი და ნიჭიერი ხელმძღვანელი, აღმზდელი აქაურ მსახიობ-სცენისმოყვა-  
რეთა.

მის ნიჭიერ და დაულალავ შრომის ნაყოფია დღევანდელი სახალ-  
ხო სახლის მსახიობთა ჩამოყალიბებული სახეები. მისი ხელი აჩნია ყველა  
ამ პიესებს, რომელითაც დღესაც კი საზღოვრობს სახალხო თეატრი.

მისი მოწაფენი დღეს დამოუკიდებელ ნაბიჯებით დაიარებიან.

მისი რეჟისორობით გაიხსნა სახალხო სახლში 1909 წელს სეზონი  
პიესა „რევიზორი“-თ და ამ დღის შემდეგ დაულალავი და ნეტარ-ხსენებუ-  
ლი მუშაკი აღარ დაშორებია სახალხო სახლს 1922 წლამდე, ვიდრე ძალით  
არ მოჰკლიჯა იგი საყვარელ კერას ულმობელმა სიკვდილმა.

თავის ხანგრძლივ მუშაობაში, იგი რამდენიმე ხანს სახალხო სახლს  
ჩამოსკილდა დროებით, როდესაც იგი მიიწვიეს ქართულ დრამატიულ  
სტუდიაში რეჟისორად, მაგრამ კვლავ დაუბრრნდა მას, რადგან იმ ხნოვან-  
მა მუშაობამ, რომელიც ჯერ კიდევ ავჭალის აუდიტორიიდან იწყება, ჩა-  
უნერგა სიყვარული სახალხო სცენისადმი და მანვა შეიწირა კიდეც მისი  
დადგმა;

„რევიზორი“—გოგოლისა.

„მეზობლები“—რამიშვილისა.



სახალხო სახლის გუშენი და თეატრის კომისარი ჯაფარიძე.



„ნიღაბ ქვეშ“—გერგესელი.

„იმედის დალუპვა“—

„ნამუსისათვის“—შინგანზადე.

და თითქმის სახალხო სახლის მთელი რეპერტუარის მთავარი ნაწილი მის დადგმას ეკუთვნის.

ალ. წუწუნავა სახალხო სახლს ჰქონდა მხატრულ დადგმათა მიღწევა და თვისი მუშაობის უმაღლეს წერტილამდე აყვანა და ეს ხანა აღინიშნება 1911/12 და 1913 წლებით.

ამ წლების სეზონის განმავლობაში სახალხო სახლის ქართულ დასის მუშაობას აჩნევია ხელი დაკვირვებულ, ცოდნით აღჭურვილი რეჟისორის, რომლის თვალს არ ეპარება უბრალო სცენიურ ტეხნიკის მიღწევათა შტრიჩიც კი. უველვან სჩანს გამოცდილება, უველაფერს მხატრული სახე აქვს, უვლა თეატრალურ ხელოვნობის კანონების და მიხედვით სახიერდება.

ალ. წუწუნავას ხელში სახალხო სახლი გამოკაუდა, გაცისკროვანდა და ამაღლდა.

მისი ტეხნიკით დადგმული პიესები დღესაც ამშენებს სახალხო სახლის სცენას და კიდევ დიდხანს არ ასცდება მის რამპას..

მის ხელოვნურ დადგმას ეკუთვნის სახალხო სახლის სცენაზე, რომელიც დღესაც კი მისი გეგმით იდგმება:

„მსხვერპლი—გედევანიშვილი.

„შეშლილი“—ტრ. რამიშვილი.

„მორევში“—ჭანტურიშვილი.

„იორიოს ასული“—და, ანუნციო

„ლალატი“—სუმბათაშვილი.

„პედაგოგები“—

**შალვა დადიანი**—სახალხო სცენის ირგვლივ ჯერ კიდევ ავჭალის აუდატორიაში ჩნდება, მაგრამ მისი ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობა აღსანიშნავია სახალხო სახლის 30 წლის არსებობის მიწურულში—1922/23 წლის სეზონში. სახალხო სახლის ქართული დრამა კრიტიკული იყო და შ. დადიანის რეჟისურულმა ხელმა სახალხო სახლი მიმდინარე სეზონს ისეთი ძლიერებით ასწია ზევით, რომ მის განახლებულ, ნაყოფიერ მუშაობის შესახებ საზოგადოებრივი აზრიც ახმაურდა.

შ. დადიანის ხელშძლვანელობით ამ წელს გადატყდა ძველებურობა და სახალხო სახლმაც გადადგა ნაბიჯი განახლებულ გზისკენ. მის დადგმებს ეკუთვნიან:

„სტუმარ-მასპინძლობა“—

„ომი“—არციბაშვი.

„დამზრალი წალკოტი“—

„გეგმვორი“—

„კაცის სამართალი“—

„ელეონორა“—

„ოჯახის მყუდროებისათვის“—

„madame“ X“—

ივ. ბარველი—ქართულ სცენაზე გამოვიდა პირველად ლადო მესხი-შვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში 1899—900 წლის სეზონში. მას შემდეგ სცენას არ მოშორებია როგორც მსახიობი და რეჟისორი. მსახურებდა ტფილისის, ბათომის, სოხუმის, ჭიათურის და მრავალ პროვინციის თეატრებში. სახალხო სახლში 1923 წელს მეორედ არის მოწვეული რეჟისორად.

მის დადგმებს ეკუთვნის:

„გუშინდელნი“.

„უნიადაგონი“.

„სტუმარ-მასპინძლობა“.

„დამზრალი წალკოტი“.

ამ ხნის განმავლობაში განასახიერა შემდეგი როლები:

სოსიქო—„შენი ჭირიმე“.

კოშია—„გუშინდელნი“.

ნესტორ—„უნიადაგონი“ და სხვ.

აქვს მრავალი ლიტერატურული და დრამატიული ნაწარმოები გადმოკეთებული და ნათარგმნი.

მიხ. ლვამიჩავა—გიმნაზიელობის და სტუდენტობის დროს ქუთაისში და მის ახლო მდებარე პროვინციებში დაიწყო სცენაზე მუშაობა როგორც მსახიობმა. რუსეთში ყოფნის დროს მეცადინეობდა სამხატვრო თეატრის სტუდიასთან და ამის შემდეგ დაეწაფა რეჟისურას. 1920 წელს რეჟისორობდა მუშათა ცენტრალურ კლუბში. ხოლო 1923 წელს მიწვეულ იქმნა სახალხო სახლში.

მის დადგმას ეკუთვნის:

ვინიჩენკო—„ცოდვა“.

ლუნაჩარსკი—„მეფის დალაქი“.

რამიშვილი—„ბედის-წერა“.

სწერდა კრიტიკულის და პრინციპიალურ წერილებს ქართულ თეატრის გარშემო:

ი. გრიშაშვილი.

## მე—განაპირა უბნებზე \*).

სოლომონ ახვლედიანმა მომცა ამ წერილის სათაური. და ნიკო გერგესელის თხოვნით მინდა ორიოდე შტრიხით აღვნიშნო ჩემი სცენიური ნამუშაკევი განაპირა უბნებში.

ეს იყო 1905—6 წელს. დავიწყებ შორიდან. ჩვენი უბანი არეულობის ხანძარში იყო გახვეული. და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ხარფუხმა ბევრი რევოლუციონერი გამოზარდა (მაგ. არსენ ჯორჯიაშვილი და სხვ.) მაგრამ შიგ მაინც ბევრი ბალასტი იყო: ხალხი უვიცი, თავზე ხელალებული.

ვიქნებოდი 16 წლისა. მამა ორი წლის მკვდარი მყავდა. დედა—გათხოვილი. მეღუქნები პატივსა მცემდნენ, როგორც „წიგნის კაცი“ და მეც ხშირად მთელი საათობით წამიკითხავს მათთვის: „ყარამნიანი“, „ქალვაჟიანი“, „ჩარდავრიშიანი“ და საამოდ სასმენელი სხვადასხვა ამბები თუ ზღაპრები.

ამ იარაღით დაუახლოვდი უბნის ქალიშვილებსაც. ჩემი ფრონტი ეხლა ლამაზებში გადავიტანე და წიგნებით გავავლე დემარკაციული ხაზი ოცნებასა და სინამდვილეს შორის.

სიყვარულით არავინ მიყვარდა: ყველას ერთნაირად ველაზლანდარებოდი. მოვწონდი ხანში შესულს ერთ ბანოვანს, რომელსაც—გაუთხოვრად დარჩენისათვის—მეზობლები „ბედმოძვირებულს“ ეძახდნენ. შევეჩვიე. საქმე ისე მოეწყო, რომ ან უნდა შემერთო, ან თავი დამენებებინა. მეზობლები დამცინოდნენ: „ერთი დედა გაისტუმრე სახლიდან და ეხლა მეორე გინდა მოიყვანოვო“. ყური მოვიდვრინე. საქმე, რასაკვირველია, ჩაიშალა. ალპად ამიტომ არის რომ მას შემდეგ „ოჯახურ სიმყუდროვეს“ აღმაცერად შევყურებ. ამ გარემოებას იმ ხანებში მრავალი ლექსი ვუძლვენ, რომელთაც ბალლობის იერი დაპკრავდა. გაიტაცეს ეს ლექსები უბნის ყარაჩოლელებმა და ქუჩა-ქუჩა მოეროდნენ ქეიფის დროს. ბოლოს ბუკინისტ არნაუტოვის წინადაღებით შევაგროვე ეს ლექსები და მისივე გამომცემლობით „გუტენბერგის“ სტამბაში დაიბეჭდა ჩემი ლექსების პატარა კრებული, სახელად: „ფანტაზია“.

ეს იყო 1906 წელს. ამ წიგნში იყო რამდენიმე ბრძოლის პანგზე ასხმული პატრიოტული ლექსი, „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიძლერა“—შაშინდელმა ცენზორმა, ანდ. ლულაძემ აკრძალა. ამ ლექსში გამო-

\* ) ეს მოგონება გვიან მიიღო რედაქციამ და ამისოვის უკანასკნელ ფორმაში მოჭიბეთა მისი მოთავსება.

ყვანილი იყო ჩვენი უბნის ის ქალები, რომელნიც „პაპიროსის ფაბრიკაში“ მუშაობდნენ და ყველა ჭლექით იყო დაავადებული. მაგრამ რაც უმ-თავრესია, ამ წიგნში ინიციალების ქვეშ მოქცეული იყო ჩვენი უბნის, ცო-ტათ თუ ბევრად, პეტიანი ქალიშვილი. ზოგს ვუსაყვედურებდი კარჩაკეტი-ლობას, ზოგს მშობლების უპატივცემლობას, ზოგს ფლირტს, ერთი სიტყვით ჩემი კალმის წკიაშურტი ყველას მოხვდა.

ჩვენი უბნის „მოსოციალისტე“ პირებმა, რომლებმაც ჩემს ლექსებში თავიანთი დები და შეიღები იცვნეს—დამემუქრნენ და რამდენიმე საათით დამამწყვდიეს მიკიტან არუთინას სარდაფში (მაშინ ეს სარდაფი დამნაშა-ვეთა „გამასწორებელი სახლი“ იყო). მათმა ასეთმა მოპყრობამ ერთგვარი ესტეტიური გაკვირვება გამოიწვია ჩემში. მიკვირდა უფრო იმიტომ, რომ თუ ისინი „უბნის იდეის“ დამცველნი ჩყვნენ; ამ იდეიაში, როგორც მათ თანატოლს, მეც მიმიძლოდა ერთგვარი დამსახურება: სომეხ-თათართა შე-ტაკების დროს, როცა ჩვენი უბნის ახალგაზღობა მორიგეობით გამო-დიოდნენ საყარაულოდ: ასეთს ყარაულობას და ორ ძმათა შორის საერთო ენის გამონახვას მეც ვეტანებოდი და ვასრულებდი მათთან ერთად. რა მოხდა? ერთი ტლუ ბიჭი ვიყავი, პატრონი არავინ. მყავდა და მათაც დამა-ბეჩავეს. ერთი ხალხური ლექსი:

„მამა მომიკვდა,  
ლავრჩი ობლადა,  
ლედაც სხვას გაჰყვა,  
პურის მცხობლადა“—

სწორედ ჩემზე იყო გამოჭრილი.

მაგრამ, საზოგადოდ, ბედი მწყალობდა, თორემ ჩემი „პოეტური სი-სულელეები“ აქამდე ერთ უბედურებას შემამთხვევდა. სწორედ ბედზე ბი-ძაჩემს—დედიჩემის ძმას—(ნათესავებში ეს ერთად ერთი-ლა დამრჩა) გაეგო ჩემი ამბავი—და სოლოლაკის უბნიდან ხარფუხში ამოვიდა. ბიძაჩემი კარ-გად იცნობდა მაშინდელ რევოლიუციონერებს. (იყო კატორლაშიაც), იყო მოშაირეც, ბოლოს ხომ „კრივობდა“ ეხლაც მეტ სახელათ „კამბეჩუაშვილს“ ეძახიან და სწორედ თავისი დაჯ (ე. ი. „ლედაჩემი“) იმიტომ მიათხოვა თურმე მამაჩემს, რომ კრივში მამაჩემს დაეჯაბნა იგი და სარევანშოდ ჩაისიძა. ჰოდა, მოვიდა ბიძაჩემი. გამართა მოლაპარაკება „მოთავეებთან“. მოთავეები ცხარობდნენ: „მაგის ლექსებს ყველა ოხერი მლერის, ჩვენი. დები ქუჩაში გაიტანაო“!..

დანიშნეს სამედიატორო სასამართლო. ჩემის მხრივ მედიატორებად იყვნენ მაშინდელი ნამდვილი რევოლიუციონერები: მიხა გურგენიძე, სი-მონ ზოიძე და ვანო კარაპეტოვი (მეტ სახელად „დავახეთქე“), მოპირდა-პირეთგან: კონა, ბოჭა, პამაგალაია; თავმჯდომარეობდა გიორგი შათირი-შვილი.

გადაწყდა, რომ წიგნი დასწევან. ამის სისრულეში მოყვანა მიანდევს მეტვრილმანე იოსებ პეტრიაშვილს. არ ვიცი, მოქ. იოსებაშ დასწვა ჩემი,

„კალბის „ნაცულლუტარი“ თუ არა? მაგრამ ეს კი ვიცი, რომ როცა მის დუქნიდან რამეს ვყიდულობდი ჩემი ლექსების „ფორმებში“ შეხვეული იყო ყველი, შაქარი და სხვა ნავაჭრი.

ასე გათავდა ჩემი პირველი პოეტური კარიერა. ამ წიგნის ერთი ეგზემპლიარი ეხლაც შენახული მაქვს და აღბად ეს არის მიზეზი, რომ ჩემს ბავშვურ შეცდომებს სიამოვნებით ვიგონებ.

\*

ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა რომ მკითხველს გაეგო თუ რამ მაი- ძულა „მოშაირობის“ შემდგომ „მსახიობობას“ შევდგომოდი.

ზევით ვთქვი, რომ საზოგადოთ ბედი მწყალობდა მეთქი! სწორედ ამ სულიერ განმარტოვების დროს, როცა ჩემი მოუსვენარი სული ახალ ასპა- რეზს ეძებდა გასაქანებლათ,— მოვიდა ჩემთან ჩვენუბნელი სომხის მსახიობი დავით გულაზოვი და მეუბნება:

— ჩვენი ბიჭების სასარგებლოდ „მურაშკოს თეატრში“. წარმოდგე- ნასა ვდგამთ ოთხ ენაზე. ქართულ პიესაში სუფლიორი არა გვყავს. გა- ვიგე, რომ შენ ქართულ წიგნებს კარგად კითხულობ. და დროა, რომ მე- დუქნების გარდა ეხლა ჩვენც წაგვიკითხოვთ. დავთანხმდი.

თეატრში პარველად ვიყავი და სუფლიორის ხულა ფანტასტიური ვარსკვლავეთი მეგონა. ქართულად სდგამდნენ— „აღვოკატ მელაძეს“, რუსუ- ლად „წინადაღებას“, თათრულად „კრთ-კრთ“ და სომხურად „ხეჩუას ლელვს“.

თეატრიდან სულ სხვანაირი ეშჩით დავბრუნდი სახლში.

გადავწყვიტე ასეთი წარმოდგენები ჩვენს უბანშიც გამემართა. თეა- ტრიდან დავბრუნდი თუ არა, მაშინვე დავწერე „ტიმოთეს ლელვი“ (ე. ა. სომხურად მოსმენილი პიესა ჩემის მეხსიერების წყალობით იმ სალამოსვე ზეპირად გადავთარგმნე).

კაჭანთ ეზოში ავირჩიე ერთი ფართე აივანი და ვინაიდან „ტიმოთეს ლელვში“ სულ ორი მომქმედი პირია და არც ქალი იყო საჭირო: წარმო- დგენა სხარტულად გათამაშდა და ერთმოქმედებიანი „ტიმოთეს ლელვი“ ერთ სალამოს ორჯელ ზედიზედ ვითამაშეთ.

ამას მოჰყევა სხვა პიესებიც. მომემატნენ უბნის მეგობრებიც და ხარ- ფუხის გარდა ქართულ წარმოდგენებს ვდგამდით: „კამფეტების ქარხანა- ში“ (ორთაჭალაში) და ზაფხულობით კი იქვე „ნადეუროს ბალში“. ჩვენი წარმოდგენები, რასაკვირველია, ხშირად კურიოზული იყო. მაგ. არ დამა- ვიწყდება ჩემი თავი ოტიას როლში (და-ძმა) სადაც მეგრულ ჩოხის ნა- ცვლად ყურთმაჯებიანი კაბა მეცვა...

სულ მოკლე ხანში ქართულ წარმოდგენების ბუნებას უფრო დადები- თად გავეცანი. ჩვენი წარმოდგენების შკოლა არაქსიანის თეატრი იყო, სა- დაც კვირაში ერთხელ გამოუკლებლივ დავდიოდი და ხარბად ვისმენდი მსა- ხიობთა ამონათქამებს და თვალყურს ვადევნებდი პიესების საერთო მსვლე- ლობას. მაშინ ავლაბრის არაქსიანისეულ თეატრში ქართულ წარმოდგენე- ბში. მოხაწილეობდენ: ლ. ბალაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, დ. მელაშვილი,

ნ. მირველოვი, ბ. მაისურაძე, გ. ფირუმოვი, ი. მარკოზაშვილი, ი. ჩევაზიშვილი, შ. გომელაური, რ. სალაყაია, ს. პეპანოვი, გ. გელიქურაშვილი, დავითოვი, პოლოსოვი, ბეგიჯანოვი; ქალებიდან—თ. აფხაზიშვილი, დ. რეულიშვილი, ბუჩუკური, ნ. საყვარელიძე, მ. ქართველიშვილი, კ. ანტონოვისა და სხვა. არაქსიანის თეატრში დრო ვამოშვებით ქართულ წარმოდგენებს ჰმართავდნენ აგრეთვე: ჩჭედლიშვილი, ჩერქეზოვი, მამულოვი, ფურცელაძე, სვიმონიძე, და სხვა. ეს უკანასკნელი ჰბაძავდა არტისტ სვიმონიძეს და მისი ფსევდონიმი დაირქვა, მერე როცა ეს აუკრძალეს: სიმონიძე—ლიმონიძედ გადაიკეთა, რადგან ეს სცენის მოყვარე ლიმონებით მოვაჭრე იყო. მაშინ დიდი არტისტების ბაძა ერთგვარ კომიკურ მდგომარეობაში იყენებდა ავლაბრის სცენის მოყვარეებს: ერთი სცენის მოყვარე ყელზე ხელსახოცაც კი იჭერდა, რომ მისი ხმა ლადო მესხიშვილის ბმას დამსგავსებოდა..

ხართულში წარმოდგენების მართვა რომ მოგვბეჭრდა, ზაფხულობით დავიწყეთ „გასტროლები“... ჩვენი მარშრუტი განისაზღვრებოდა შემდეგი სოფლებით: დილომი, წყნეთი, ავჭალა, მცხეთა. აქ მოგვემატენ შემდეგი სცენისმოყვარენი: მარგველაშვილი, ეპიტაშვილი, გ. დავითოვი, კველაშვილი, გვარამაძე, მალალდაძე და სხვ. სოფლებში წასასვლელად წინა დღით ურბებს ვერამდებრით, ნაშუალამეეს ტფილისიდან გავდიოდით რომ დილით დანიშნულ ადგილას ვყოფილიყავით: ერთხელ ასეთ მოგზაურობის დროს წყნეთის ქუჩაზე ყველანი დაგვიჭირეს და ხარ-კამბეჩებიანად პოლიციაში წაგვასხეს. ჩვენ ეუმტკიცებდეთ, რომ მსახიობები ვიყავით და საგასტროლოდ მივემზავრებით წყნეთში: მაგრამ საქმის გამორკვევამდე კარგა ხანს დაგვჭირდა მოცდა. ჩვენი საქმე იმან უფრო გააზვიადა, რომ პიესებისათვის წამოლებული პარიკები და ფერადები „დაცემის“ ობიექტათ გამოიყენეს და ყაჩალებად გვნათლავდენ, რომ ვითომ სახეშეცვლილს არავის ვეცნეთ. როცა დილით გაუდექით წყნეთის ოკრობოკრო გზებს, ჩვენ ეს „დაპატიმრება“ არ ვიცი. რისთვის და—გვაჯავრებდა კიდეც და გვახარებდა კიდეც.

როცა თითქოს შევიგრძნე თეატრის რაობა, ხართუხის აივნები აღარ მაკმაყოფილებდა. მინდოდა, რომ სართულშიაც ისეთივე თეატრი ყოფილიყო, როგორიც სხვა განაპირო უბნებში. შევკრიბე ჩვენი უბნის „მოინტელიგენტო“ ხალხი (ხართულიდან სათავად-აზნაურო ქართულ სკოლაში მხოლოდ ხუთი ოჯახი სწავლობდა: შათორიშვილები, მეტრეველები, იოსებიძეები, თითბერიძეები და მე), და გამოვიტანეთ დადგენილება, რომ ჩევისათვის მივმართოთ ავლაბრის ქართულ დრამატიურ წრეს. მე და გიგა ჩოჩიაშვილი მიველით არაქსიანის თეატრში, გავაცანით. ჩვენი განზრახვა და მეორე დღეს ამ წრემ გამოგზავნა ხართულში სცენის მოყვარე ბესო მაისურაძე, რომელსაც უნდა დაეთვალიერებინა ჩვენი მიღამოები და იერჩია სათეატრო ძალები.

ბესო მაისურაძე მართლაც გვეწვია, მაგრამ რა ბედი ეწვია „ხართუხის თეატრს“ ეს აღარ მასხოვს. შეიძლება ამის მიზეზი თვით მე ვიყავი,

რადგან მაშინ გ. ფირუმისანმა ავლაბრის თეატრში სუფლიორად დამნიშნა. ამავე ხანებში აქ გავიცანი ქართული დრამის მსახიობი ვ. გუნია, დ. ჩარქვიანი, ი. ბარველი, ი. ივანიძე, ბეგლარა, ქალებიდან—ოლ. ლექავა და სხვ. რომლებიც მაშინ არწრუნისებურ თეატრის შეკეთების გამო კვირაში თითო წარმოდგენას, სახაზინო თეატრის გარდა, ავლაბარშიც სდგამდნენ.

ეს იყო 1907 წელს. როგორც თივით დატვირთულ ურემს,—(ვიტ- ყვით ქალაქურად) მოცელქო ბავშვები გამოაცლიან ხოლმე ერთ ბლუჯა ბალახს—ისე მეც ამ არტისტებმა მომაცილეს ავლაბრის თეატრს და ვ. გუ- ნიას წინადადებით დავინიშნე სუფლიორის თანაშემწედ ქართველ მსახიობ- თა ამხანაგობაში.

ნახტომი განკვირვების ნიშანს დაეჯახა. მაგრამ არ შევშინდი, ცხოვ- რებაში ყოველთვის გამბედაობა მწამდა. სუფლიორობას დიდ ხალხთან ად- ვილად ვერ შევეჩვიე. ხშირად რომელიმე მომქმედი პირის როლს მე თვით ვთამაშობდი ჩემს საბუდარში. და ჩემი „ბუტკიდან“ ხან გაფარჩეულ ხე- ლებს ჰქედავდა მაყურებელი, ხან კი თავზე წამოყირავებულ „ბუტკას“.

დამითხოვეს.

გუნიამ იცოდა ჩემი „პოეტობის ამბავი“ და შემაჩვია თავის „ნიშა- დურს“. ამ უურნალში ავიდვი ფეხი. აქ პირველი ლექსი ილიას სიკვდილის გამო დავწერე. „ტყემ მოისხა ფოთოლი“ შევცვალე: „ტყეს სცვივდება ფოთოლი“ (ეს ლექსი დაიბეჭდა 1907 წ. ნიშადურის № 9—) რომელსაც შემდგომ გაბუნია-ცაგარლისა მღეროდა კიდეც.

მაგრამ სცენაზე თამაშობა მაინც მიყვარდა. მე მგონი ეს საერთო სენი უნდა იყოს ყოველი ახალგაზრდასი. და მეც ახლა ჩემი სცენიური მუშაქო- ბა გადავიტანე ავჭალის აუდიტორიაში. პარალელურად, ხან თუ „ნიშა- დურში“ კორექტურას ვასტორებდი და კარიქატურებს შაირებს ვაწერდი, ხან კიდევ—ჩემის უახლოეს მონაწილეობით წარმოდგენებს ვდგამდი ავჭა- ლის აუდიტორიაში, ვეტცელის თეატრში, რენესანსის ბალში, რუსულ დრა- მატიულ სტუდიის დარბაზში, ხოლო იშვიათად ვერის აუდიტორიაში, სა- დაც გამგეობის წევრად ითვლებოდა გ. ყურულაშვილი. ჩემს დასში იყვნენ: ა. გოგაშვილი თავის მეუღლით, მ. ლელაშვილი თავის ქალიშვილით, ფრან- გიშვილი, ქურხული (დღეს ოპერაშია), კუდუხაშვილი, ცალქალაშვილიძე, წით- ლანაძე, და სხვ. აქ უმთავრესად იდგმებოდა ჩემი პიესები, რომელთა სახე- ლებიც აღმართ აქ ჩამოთვლილ პირებს თუ ახსოვთ. ჯაბაურს, გოცირიძეს, მეტრეველს, რომანიშვილს, ანაშვილს, ჭანკვატაძეს და ხანდოელს ვერ ვეკა- რებოდით—გვერიდებოდა. მაშინ ისინი უკვე სახელმოხევეჭილი სცენისმოყვა- რენი იყვნენ და მათი სცენიური გამარჯვება ჩვენ ხშირად გვამარცხებდა.

წერილს ვათავებ და ვლალატობ ჩემს ჩვეულებას: ეს წერილი აღარ მინდა მეორედ გადავწერო. არ მინდა იმიტომ რომ მეშინიან ვაი თუ უფ- რო მეტი ლირიკა იყოს მაშინ! ეს წერილი კი ჭაბრეტენზიო გულწრფელი მოგონებაა და დაწერილია ერთი კალმის მოსმით, გაბმით და დატეხილ ხა- ხებად.

რასაკვირველია, გამომრჩებოდა ბევრი ეპიზოდური მოვლენანი, საინტერესო სცენები, მსახიობთა თავდაჭერილი ხუმრობანი და სხვ... მაგრამ აქ უკანასკნელ სიტყვას სხვას ვუთმობ.

მკითხველი აღბად დავტვირთე ამდენ დეტალებით. მაგრამ ასეთი „ისტორია“ ცირკის გასართობი ხომ არ უნდა იყოს? ამ წვრილმანებს იშიტომ გამოვეყიდე, რომ ეს ერთგვარ ილუსტრაციად ყოფილიყო იმისი თუ როგორი წინასწარი საფეხურები გაიარა ქართულმა ნიჭმა; თუ რა გაჭივრებით, რა ახალგაზრდულის ენერგიით ინასკვებოდა ის რკინის ძაფი, რომელსაც ეხლა სახალხო თეატრი ეწოდება.

აი, ასე ვიყავით გადაფანტულნი ტფილისის განაპირა უბნებში და დღეს გული სიხარულით მევსება რომ ეს დაქაქსული ტალღები შეჯგუფლნენ და მოთავსდნენ ერთ დიდ მდინარეში.

გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მსახიობთა წრეში ყოფნამ აღმზრდელობითი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. არც ერთ წიგნს არ შეეძლო ჩემთვის იმდენი სულიერი საზრდო მოეცა, რაც მომცა იმ მოგზაურობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რომ იმართებოდა მესხის, მესხიშვილის და გუნიას ინიციატივით.

აქ იყო რაღაც თბილი გრძნობა, პრიმიტიული განცდანი. ამხანაგური მოპყრობა უმაღლეს წერტილამდე აღიოდა, თუ გინდ მაშინ როცა რომელიმე ქალაქში სასტუმროების სივიწროვის გამო ქალები და კაცები ერთ ოთახში ვიყავით. ეს თემა გაფართოვებას მოითხოვს, მაგრამ ეს წერილი ისედაც გაგრძელდა. ჩემი მოვონების პორიზონტი მოთავსებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ საში წლის ფარგლებში (1905—1907 წ.), როცა ჯერ კიდევ „გრიშაშვილი“ ფირუზად იყო ცნობილი.

ქუდის ვიხდი იმ ძველ მეგობრების წინაშე, რომლებმაც თავიანთი უნარი შესწირეს სახალხო წარმოდგენების იდეას, არ გაღავიდნენ რომელიმე დიდსამსახურში, აირჩიეს პატარა ასპარეზი, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობით განათებული.

მგოსნური სალამი სახალხო თეატრის მსახიობებს.

# ს ი პ

იმ პირთა ჩომელთავ 30 წლის განმავლობაში სახალხო თეატრის აღორძინების საქმეში ღვაწლი მიუძღვით, სხვადასხვა ხანებში და სხვადასხვა მოვალეობებში:

## კ ა ლ ე ბ ი:

ვ. ქართველიშვილი (მიქაბერიძისა), მ. არლუტინსკი, ე. წულუკიძე, ა. ჩაჩიბაია, ო. მაქსიმიძისა, ო. ხავთასი, ბ. ავალოვისა, ე. ჩერქეზიშვილი, მ. დემურია, ნ. ნაკაშიძე, ს. ლომაური, მ. აბაშიძე, თ. ქუჩუკაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ნ. ჩაგუნავა, ე. ჩიჯავაძე, თ. ჩიჯავაძე, ს. ბეჭანიშვილი, ნ. ჭია-ბრიშვილი, ნ. ქუმისშვილი, ნ. დავითაშვილი, ს. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. ჯავახიშვილი, თ. აფხაზიშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძე, ნ. გაბუნა-ცაგარელისა, ელ. ანდრონიკაშვილი, ე. ლომაური, ე. ხერხეულიძე, ს. ციციშვილისა, ქ. მამრაძე, ქ. მახვილაძისა, მ. მდივანი, ტ. აბაშიძე, კუ-ნდელი (რონელი), ო. გაბიტაშვილისა, ე. იოსელიანი ბერიშვილისა, ო. ლევავა, ე. მესხიევისა, მ. ვაჩნაძე, ნ. ბაქრაძისა, ა. ივანოვისა, ნ. დავითა-შვილი-მაჩაბლისა, ა. ნინიკაშვილი, ე. ციმაქურიძე, თ. ნარაკიძე, ნ. ნინონი, ც. ამირაჯიბ, პიერეტტა (საგინაშვილისა), ს. ანკარა, ს. შალამბერიძე, მ. გოგოლაშვილი, ეფ. მესხი, გამრეკელი-თორელი კალანდარიშვილი. ქ. ბედიშვილისა, ქ. მგალობლიშვილი, ა. ქიქოძე, თ. ბაქრაძე, ო. ჩაგუნა-ვა, კარგარეთელი. ნ. ქილარჯიშვილი, ა. მიქაძე, მ. შაუკულაშვილი, ბ. ასათიანი, დ. ივანიძე-ჩარკვიანისა, თ. კიკნაძე, თ. გოგოლაშვილი, ბაბიკო-ვა, ო. კასრაძე. თ. მელანია, ქ. საგინაშვილი, ნ. კოლხიდელი, ა. ჩირგაძე, შოთაძე, ნ. კობიევა, ს. ყოჩიაშვილი, სიხარულიძე, ბეჭანოვა, ო. ანტუანეტ-ტა. (გაბუნია), ბ. ტანელი (ამბრიევა) ფეიქაროვა, ზარდალიშვილისა, მატა-რიძისა, ე. ბარათაშვილი, ბ. ყიფშიძისა-ნიბლია, მ. ქართველიშვილი, სულ-ხანიშვილი, ვ. მარგველაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, მლ. იანქოშვილი, გეგე-შვილისა, ნ. მინდელი, ს. ეპიტაშვილი, მ. მარგველაშვილი, ელ. ავალიშვი-ლი, პელ. ლორთქიფანიძე, აპ. ჩარქვიანი, ნ. ჩიხლაძე.

## კ ა ლ ე ბ ი:

ნ. სვიმონიძე (გოცირიძე), ვ. გვრიტიშვილი, ვ. იანქო, ქ. შარვაშიძე, ა. ანანიაშვილი, ქ. ცაგარელი, ვ. თევდორაშვილი, ვ. აბაშიძე, მ. კანდე-ლაკი, გ. თულაევი, მ. მათიკაშვილი, გ. ჯაბაური (ნინიკაშვილი), ზ. საფა-როვი, ა. ადამიძე, ნ. გვარამაძე, ვ. გამყრელიძე, ს. სვიმონიძე, ქ. შათირი-შვილი, ი. მჭედლიშვილი, ვ. გუნია, მ. გედევანოვი, ნ. რატიშვილი, ი. იმე-დაშვილი, დ. შველიძე, გ. მურმანიშვილი, ა. ნიკოგოსოვი, ი. სუხიშვილი,

ვ. სუხიშვილი, ს. მჭედლიძე, ვ. ინასარიძე, შ. თევდორაშვილი, ნ. ხუდა-  
ღოვი, ი. ქუთათელაძე, გ. ლასხიშვილი, ს. მგალობლიშვილი, თ. სასოკია,  
ი. ნაკაშიძე, დ. სხირტლაძე, ნ. ავალიშვილი, ხოსროევი, კალანდაძე,  
დიასამიძე, ქვიტირელი, ჯაყელი, ი. ხაშმელი (იმედაშვილი), ნ. ვაშაკი-  
ძე, საყვარელიძე, ალიბეგაშვილი, ი. ბარათაშვილი, ს. რომანიშვილი,  
ლომაძე, ი. ზურაბიშვილი, ი. გრიშაშვილი, ბ. ავალიანი, ძნელაშვილი,  
მ. თუშმალიშვილი, ჯანიაშვილი, ნ. ჩაგუნავა, ყალაბეგაშვილი. ჩაჩიბაია,  
ნ. სარჯველაძე, ნ. ცაბაძე, ი. ევდოშვილი, ი. ჯილაური, რ. ზალაყაია, მ.  
გელიკურაშვილი, ი. ბესელიძე, რაკვიაშვილი, გ. ლომიძე, დ. ქაჩაური,  
იმერიძე, რევაზოვი ვ. ჭელიძე, ბეგლარიძე, ა. იმედაშვილი, გ. ქობულოვი,  
დ. ღუმბაძე, პ. ბახულაშვილი, რ. ყანჩელი, ა. ველაშვილი; გ. მჭედლიძე, დ.  
გომართელი, მ. დიბიჩაძე, ა. ხავთასი, ბ. ბერიაშვილი, ვ. რიონელი, მ.  
ქორქია, შ. დაღიანი, კ. ჯაფარიძე, ზაალიშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ი.  
ივანიძე, დ. აწყურელი (გამყრელიძე), კ. ბილანაშვილი, პ. მარტოლევკიშვილი,  
ა. გვაცაძე, ნ. თაქთაქიშვილი, გ. ბაკურაძე, გ. ლიხურელი, დეკანოზიშვი-  
ლი, არაქელაშვილი, პ. ბახუტოვი, იორდანიშვილი, კამკამიძე, ი. ჭავჭა-  
ვაძე, ა. ავალაშვილი, კ. ჭელიძე; ს. ტოროშელიძე, ა. ბაქრაძე, ღ. ბაქრაძე,  
ე. გულისაშვილი, ვ. გუნცაძე, ლ. ლეჟავა, ვ. ღურგლიშვილი. ი. კოპალეი-  
შვილი, ა. ჭიაბრიშვილი, ა. მეტრეველი, ჩოხელი, ვ. ნინიძე, ნ. ვაჭევე-  
ლი, მ. ჭიაურელი, ლ. სამადაშვილი ი. მინდიაშვილი ნ. ჭანკვეტაძე, ს.  
ტარუაშვილი, მ. ანაშვილი, ა. წუწუნავა, ა. ჭიქოძე, კორინთელი, თუ-  
ხარელი, გ. პირიაშვილი, ა. მაისურაძე, ს. ლითანოვი, ალ. შანშიევი, გ.  
ფრონისპირელი, დ. ჩიქოვანი, მიხ. ქართველიშვილი, ს. თავდიშვილი, გ.  
სვანელი, ჭუმბურელი, შ. ხონელი (გოგოლაშვილი), ა. ბადრიძე, გოდერ-  
ძიშვილი, ა. კავსაძე, ვ. ურუშაძე, ვ. მდივანიშვილი, კ. კახელი, ო. მარა-  
ნელი, კ. კიკაბიძე, ი. ვარაზაშვილი, ნ. ჩხეიძე, ტოგონიძე, ამბ. ივერელი,  
(შანშიაშვილი) გ. იშხნელი, (არადელი) ი. უივიძე, ნ. ახმეტელაშვილი, გ.  
ყურულაშვილი, გ. აბელიშვილი, ი. ჭანტურია, ლ. ცაგარელი, ბ. მდი-  
ვანი; შ. შარაშიძე, ვ. გუნცაძე, ვ. იმნაშვილი, ბ. მამაჯანოვი, შ. დედანა-  
შვილი, ვ. შარიკაშვილი, ზ. ბერიშვილი, ბ. მუსხელიშვილი, ლობჯანიძე,  
ს. შალამბერიძე, მ. ორჯონიკიძე, დ. ჩარკვიანი, დოლიძე, ვ. დარჩია, ა.  
პეპანოვი, შ. გომელაური, ვ. ვანაშვილი, ნ. ირეშიძე, ი. ზარდალიშვილი;  
ა. ნარი, (ნეიმაზ) ვ. ხახანაშვილი, ვ. მატარაძე, ვ. გველესიანი, ლ. კულა-  
შვილი, გ. თაზიშვილი, კ. ხახანაშვილი, ს. ფრთაძე, შ. ბერიშვილი, კ. მეს-  
ხი, მერბარაშვილი, ე. წუწუნავა, შ. ტატიშვილი, ვ. ყორალელი, ა. ბიაშვი-  
ლი გ. მელიქიშვილი, პ. დადვაძე, პ. ფრანგიშვილი, ალყდიურიშვილი, პ.  
არეშიძე, მ. იანქოშვილი, იაშვილი, ყირსიმაშვილი, კ. სალირაშვილი, ვ. არა-  
ბიძე, კავაძე, ალვერდელი, ა. სანდალა, უურული, მირიანაშვილი, მ. აბ-  
დუშელი, ე. ერტელიშვილი, გ. ნუქრაძე, თ. ლოლიძე, თ. ყიფშიძე, ლ. ბა-  
ლაშვილი, კ. თარალაშვილი, ვ. კობახიძე, (კობელი) ა. გუგუშვილი, ათო-

ნელი, დ. მგალობლიშვილი, ხატელიშვილი, ნ. გოძიაშვილი, რ. ჯიბლაძე, ი. გიორგაძე, ნ. თოიძე, ხარიტონაშვილი, გორდელაძე, ხიმშელი, ალ. თავდგირიძე, ვ. ჩხიკვაძე, კ. იმერლიშვილი, ა. ალექსიშვილი, ბერიძე, გ. ჯაბადარი, ფირიძიშვილი, მაჩხანელი, ა. კუპრაძე, შ. გომართელი, ჭ. გელეიშვილი, ნ. გერგესელი, ა. ხორავა, ვლ. აღამიძე, გ. გარსიაშვილი, ლეკიშვილი, ი. ელიაშვილი, დალაქიშვილი, არსენ თოდრია, ტრიფონ რამიშვილი, ანტ. ლითანიშვილი, ს. ხოფერია, ა. ცაბაძე, კ. ლეონიძე, ს. ახვლედიანი, ის. გარაზაშვილი, ი. ჭელიძე, ი. ბუთლიაშვილი, არ. გიორგაძე, დ. გულიასაშვილი, ლ. კანდელაკი, ნ. კრავეიშვილი, ა. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე, დ. მაისურაძე, გ. მაჩხანელი, ა. თვარაძე, გ. ძნელაძე, თ. ლეონიძე, გ. ონიკაშვილი, ი. ზაუტაშვილი, მ. ჭანიშვილი.

### გამგეობის წევრთა სია სხვა და სხვა დროს.

მ. დემურია, გ. ლასხიშვილი, ი. ქუთათელაძე, ს. ჯულელი, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ალლაძე, მ. ანანიშვილი, ს. მგალობლიშვილი, ს. ტოროშელიძე, ი. ბესელიძე, კ. ხახანაშვილი, ე. გლეისაშვილი, სოფიო რომანიშვილი, დ. ბაქრაძე,, ს. რომანიშვილი, მ. ქობულოვი, ნ. გოცირიძე, დ. ნახუცრიშვილი, გ. მარსაგოვი, ლ: სამაღაშვილი, ვ. დურგლიშვილი, დ. საღირაშვილი, ა. ჭიაბრიძიშვილი, ა. ლომთათიძე, მანჯგალაძე, გ. ცინცაძე, გ. ყურულაშვილი, ა. მამულაშვილი, ვ. კოპალეიშვილი, ვ. ხახანაშვილი, ს. ლომაური, შ. დავითაშვილი, გ. ანაშვილი, ს. თავდიშვილი, ა. ბებურიშვილი, ტ. მაჩაბელი, ვ. რაკვიაშვილი, ვ. ნინიძე, გ. თაზიშვილი, ქ. ჯაფარიძე, ი. ჭანტურია, გ. აბელიშვილი, ნ. ახმეტელაშვილი, ნ. ელიავა, ა. თოდრია, მ. გელოვანი, ი. მინდიაშვილი, გ. მაჭავარიანი ა: სალირაშვილი, ტრ. რამიშვილი, ა. თავდგირიძე, ს. ახვლედიანი, ი. ვარაზაშვილი. ნ. გერგესელი.

### მ თ კ ა რ ნ ა ხ ე ნ ი:

მ. თუშმალიშვილი, ს. ბაქრაძე, ს. ტოროშელიძე, ვ. ხახანაშვილი, ვ. იმნაშვილი, ჭანტურიშვილი, ა. გუგუშვილი, ვ. რატიშვილი, ჭ. გელეიშვილი, გ. ამალლობელი, ა. ცაბაძე.

### რეზისორის თანამემონი:

ალ. ყალაბეგიშვილი, ალ. ბადრიძე, ნ. ჭანკვეტაძე, გ. გარსიაშვილი, ს. ხოფერია, შ. გომართელი.

### მუშაგი. როგორებიც ტესნიდურად მუშაობდნენ.

ი. ერტელიშვილი, მ. არტ. სტეპანოვი, მიხ. სტეპანოვი, გ. ანდოიანი, ი. მარგიშვილი, ტ. ზოლოტოვა, ნ. მაისურაძე, მ. დანეცკაია, ნ. პალატნიკოვა ე. მარაგიშვილი, მ. რადიმოვი, მ. სოლლომონიძე, ლ. ყიფიანი, ვ. პატრონოვა, გ. ნათაძე, მ. ვებინგერი ჭ. ლიაპინი, ვ. კალატოზაშვილი, ა. სმირნოვი, ა. სემიონოვი თათარიშვილი, მამაჯანოვი, ს. ნასყიდაშვილი, ს. აზიზოვი, ვ. კუპაბა, ნ. სილვაჩინსკი, ლ. ქიტიაშვილი, ა. თათარაშვილი, ვ. ხუნდაძე. გ. მაისურაძე, ვ. ჭაჭიშვილი, ვ. ხომასურიძე, მ. სარქისოვი, ს. ხადური. ლ. ანდოიან, ვ. არუთინოვი, ქ. კაზარიანც, თ. ურუბაძე, ვ. გოცირელი, ს. ხომასურიძე, შ. ედიშერაშვილი, ქ. სუდაკოვი, ა. როსტიაშვილი.

## ბოლოსითვათბა

საიუბილეო კრებულს უთუოდ ექნება ნაკლი.

ამას თავიდანვე ამჩნევდა სარედაქციო კოლეგია.

მაგრამ არის საპატიო მიზეზებიც.

უმთავრესი დაბრკოლება: იუბილე სამჯერ გადაიდო და მეოთხეჯერ როგორც იქნა მოეწყო, და მუდამ როცა ინიშნებოდა დრო საიუბილეო კრებულის დაბეჭდვისა, წინასწარი ვადა 10 დღე, ან უფრო ნაკლები იყო. სარედაქციო კოლეგია ასეთს პირობებში უხერხულ მდგომარეობაში ვარ-დებოდა და ვერ იცავდა ელემენტალურ სისტემასაც. წერილებიც რეგუ-ლიარულად ვერ მივიღეთ და მკითხველი დაინახუს რომ დალაგებაში არ არის დაცული საჭირო წესი.

კრებულის სამი ფორმა დაიბეჭდა შაშინ, რაცა იუბილე პირველად დაინიშნა. მერე რამოდენიმე თვე შეჩერდა. უკანასკნელად როცა იუბილე საბოლოოდ გადაწყდა აღნიშნული სამი ფორმის გაუქმება და ახლად დაწ-ყება შეუძლებელი გახდა. და ამისთვის საჭირო შეიქნა კრებულის დასაწ-ყისში რომაული ციფრებით დაგვესტამბა მონოგრაფიის შევსება. ზოგი ადგილი განმეორებაა იმისი რაც მეორეში (სახალხო თეატრის განვითარების მოქლე მიმოხილვა) უკვე მოხსენებულია, მაგრამ მჟღაიანი შეზავება ორი-ვე მასალის ტეხნიკურად მოუხერხებელი შეიქნა.

სარედაქციო კოლეგიის განხრახვა იყო კრებული ყოფილიყო მთლი-ანი სურათი სახალხო თეატრის ყოველმხრივი განვითარება-აღორძინებისა და ვცდილობდით ყოველი უბრალო დეტალიც არ გამორჩენილიყო. ამ მიზნით კრებულში შეტანილ იქნა მუშაკთა მოკლე ბიოგრაფიები. მკით-ხველი დაინახავს; რომ ბიოგრაფიები სრული არ არი მაგრამ ეს მიეწე-რება მასალის უქონლობას, და ამ მდგომარეობის რამ ჩენიმეთ შესასწო-რებლად შევადგინეთ საერთო სია—საერთო მუშაკთა შეიძლება აქაც იყ-ვეს ვინმე გამორჩენილი. მაგრამ არა განხრას.

დასურათხატებაშიაც ბევრი გამოაკლდებოდა დანისეულნი, მაგრამ აქაც დაბრკოლება: სურათების უქონლობა და ამასთან კრებულში ადგი-ლოც არ იყო.

ყველა ასეთი ნაკლის შემდეგ სარედაქციო კოლეგია მაინც ფიქრობს, რომ კრებული დაახლოებითი წამოდგენას მისცემს მკითხველს სახალხო თეატრის განვითარება-აღორძინებისას. და მათთან კიდევ, იუბილესადმი თბილ დამოკიდებულების სიტყვებსაც მოისმენს.

მთლიანი და ყოველმხრივი შესწავლა 30 წლის მოღვაწეობის ისტო-რიულ თავდადებისა მიგვინდვია იმ ისტორიკოსისთვის, რომელიც აუცი-ლებლად მოევლინება ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას და ღრმად გვწამს მის ხელში 30 წლის მოღვაწეობა უფრო ობიექტიურ ფაქტებში და ლამაზ ფერებში გაიშლება.

სარედაქციო კოლეგია.

## უმთავრესი კორეფტურული შეცდომები.

გვერდი.	სტრიქონი.	არის.	უნდაიყოს.
3	5-ქვემ.	ხილხისთვის	ხალხისთვის
4	7-ზემ.	ღეკორაციებად	ღეკორაციებად
7	7-ზემ.	მართვის	მართავს
7	9-ქვემ.	სვიმონისძე	სიმონიძე
8	19-ქვემ.	უნებში	უბნებში
9	1-ზემ.	ტოროშეშიძეს	ტოროშელიძეს
11	3-ქვემ.	მატრაძეს	მატარაძეს
12	6-ზემ.	1911	1909
12	16-ზემ.	იდგმეგვა	დაიდგა
14	3-ზემ.	აკადემური	აკადემიური
22	19-ქვემ.	ყვველივე	ყოველივე
24	4-ქვემ.	სიამაყესადა	სიამაყესა და
24	15-ქვემ.	სიდუხჯირად	სიდუხჭირით
24	24-ქვემ.	აქცეს	აქცევს
25	11-ზემ.	მიუხედავალ	მიუხედავათ
26	8-ქვემ.	გაიწრენონ	გაიწვრონან
27	15-ქვემ.	მღიცე	მტკიცე
29	22-ქვემ.	შეგულების	შეგუების
31	7-ქვემ.	გაიძაოდენ	გაიძახოდენ
33	1-ქვემ.	მოცელი	მოცული
34	1-ქვემ.	წარმოდგენები	წარმოდგენების
34	5-ქვემ.	ქართლ	ქართულ
35	5-ზემ.	1863	1909
36	17-ზემ.	აგიზმიაზებული	აგუზგუზებული
37	2-ქვემ.	კვლავი	კვლავ
39	11-ქვემ.	იმდენა	იმდენი
39	17-ქვემ.	გებრმანეთში	გერმანეთში
39	17-ქვემ.	ოცნებაში	ოცნებაში
41	13-ზემ.	უმშნიერესი	უმშვენიერესი

41	14-ზემ.	გამარჯუება	გამარჯვება
42	5-ზემ.	გაკაღნირსდა	გაკაღნიერდა
43	6-ქვემ.	გამოეპარ	გამოეპარა
43	13-ქვემ.	როვორი	როვორი
46	6-ქვემ.	დაუშრელელი	დაუშრეტელი
47	10-ქვემ.	სწყეტდა	სწყვეტდა
47	12-ქვემ.	ხელოვების	ხელოვნების
47	11-ზემ.	იცინებს	იციალებს
52	13-ქვემ.	გაიართოს	გაიმართოს
53	6-ქვემ.	თეტრიდან	თეატრიდან
58	1-ქვემ.	კუთხეები	კუთხეებში
65	5-ზემ.	ნებისად	ნებსიდ
65	15-ზემ.	მთავრობასაც	მთავრობა
65	17-ზემ.	მსახიობითა	მსახიობთა
67	17-ზემ.	იუბელის	იუბილე
80	9-ქვემ.	წოლკიტი	წალკოტი
84	6-ქვემ.	დაუბრრნდა	დაუბრუნდა
96	8-ქვემ.	მახთან	მასთან

# შ ი ნ ა ტ რ ი ს ი.

- 1 სახალხო თეატრის 30 წლის არსებობა.  
 2 სახალხო თეატრის განვითარების მოკლე მიმოხილვა.  
 3 სახალხო დრამატიული დასის ოპერტუარი . . . . . ი. გომართელი.  
 4 ქართული დრამა სახალხო სახლში . . . . . შ. დადიანი.  
 5 ჩემი მოგონება . . . . . ტ. რამიშვილი.  
 6 უღელტეხილზე . . . . . ნ. გერგესელი.  
 7 ავჭალის აუდიტორია . . . . . ელო. ანდრონიქაშვილი.  
 8 პროფილში (ლექსი) . . . . . გ. გარსიაშვილი.  
 9 სახალხო თეატრი . . . . . გ. საქარისქედელი.  
 10 ხალხური თეატრი . . . . . ი. იმედაშვილი.  
 11 ძველი ლეგენდა . . . . . შ. გომართელი.  
 12 30 წლის შესრულებისას . . . . . გ. ჯაბაშვილი.  
 13 მოგონება . . . . . ს. რომ—დგებუაძისა.  
 14 გახსენება იუბილესთვის . . . . . ნ. ჭანკვატაძე.  
 15 როგორ გავთი მე სცენის მოყვარე . . . . . რ. ჯიბილ.  
 16 მოგონება . . . . . ფ. ბუთლიაშვილი.  
 17 სახალხო თეატრი . . . . . გორისელი.  
 18 თალხიანი ფურცლები . . . . . კ. განელი.  
 19 შშენება და ხელოვნება . . . . . ა. ც—რელი.  
 20 სახალხო თეატრზე . . . . . ა. სუმბათაშვილი.  
 21 ჩემი აზრი სახალხო თეატრზე . . . . . აკაკი ფალავა.  
 22 სახალხო თეატრი . . . . . შიხ. ბოჭორიშვილი.  
 23 ახალ საზღვარზე (ლექსი) . . . . . კ. რატიშვილი.  
 24 ძველებს—სალამი, ახლებს—გამარჯვება . . . . . ვ. ბარველი.  
 25 სახალხო თეატრის მნიშვნელობა . . . . . ი. ვარაზაშვილი.  
 26 ნათელი მატიანე . . . . . შ. ლვამიჩავა.  
 27 მომავლის პერსპექტივები . . . . . ს. ხოცერია.  
 28 მოგონების ნაწყვეტი . . . . . ს. ტორო—ძე.  
 29 30 წლის იუბილეს გამო . . . . . ლ. რუხაძე.  
 30 სახალხო წარმოდგენები ტფილისში . . . . . თ. სახოკია.  
 31 სახალხო თეატრის დღესასწაული . . . . . პ. მირიანიშვილი.  
 32 სახალხო დასთან არსებული ქართული დრა-  
მის მუშაქნი. . . . .  
 33 მე—განაპირა უბნებში . . . . . ი. გრიშაშვილი.  
 34 სია—მოღვაწეთა . . . . .  
 35 ბოლოსიტყვაობა . . . . . სარელაქციო კოლეგია.

792

б 361

ნებაღართ. მთავლიტი № 866.

შეკვ. № 2690.